ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 2

მასწავლებლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა

II კლასი

მასწავლებლის წიგნი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – II კლასი

მასწავლებლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-569-6

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ....4
II. ინფორმაცია მოსწავლის წიგნისა და რვეულის შესახებ 5
III. დეტალური კომენტარები სახელმძღვანელოს სტრუქტურულ ელემენტებთან დაკავშირებით 6
1. ძირითადი ტექსტები....6
2. ლექსიკონი 8
3. კითხვები....9
4. მოძებნე და წაიკითხე 10
5. „ეს საინტერესოა“....10
6. „სასაუბრო“ 10
7. იმუშავეთ ჯგუფებად ან წყვილებად....11
8. „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“ 11
9. დახატე 11
10. სააზროვნო და შემეცნებითი ფუნქციების განმავითარებელი სავარჯიშოები 11
11. „სახალისო“....12
12. ენობრივი მასალის ბლოკი 12
13. კომენტარები წერითი სამუშაოების სტრუქტურულ ელემენტებთან დაკავშირებით....17
14. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა....19
15. დამატებითი მასალა 21
1. დამოუკიდებლად საკითხავი მასალის შეფასების ცხრილები 21
2. დამატებითი მასალა წერითი სამუშაოებისათვის 27
IV მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი: 32
1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები 32
2. გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუში 33
3. სცენარები 37
V. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ 45
1. გამჭოლი კომპეტენციები 45
2. მეტაკოგნიცია 46
3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში....47
4. დიფერენცირებული სწავლება....49
5. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები 49
VI. შეფასება....50
1. განმავითარებელი შეფასების მიზნები, საგანი, მეთოდები და უკუკავშირი 50
2. აქტივობის ორგანიზება და წესები....53
3. შეფასების ცხრილები....52
VII. ინკლუზიური განათლება....58
VIII. მეორე კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენაში....61
IX. საგნის სწავლების მიზნების, ამოცანების, სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა. 68
X. კოგნიტური ცხრილებისა და ისტის გამოყენების სქემა....126
XI. რეკომენდებული მეთოდური ლიტერატურის სია მასწავლებელთათვის....127

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ

II-IV კლსის სახელმძღვანელოები ერთ-ერთი იყო იმ სახელმძღვანელოთა ციკლში, რომელმაც გრიფირების რამდენიმე კონკურსი წარმატებით გაიარა. ყოველი მათგანი ახლებურად შეგვაფასებინებდა ხოლმე გავლილ ეტაპს, რასაც არაერთი სიახლე და პროგრესული ხედვა შემოჰქონდა სახელმძღვანელოებში. ამას ერთვოდა მასწავლებლებთან თანამშრომლობით მიღებული გამოცდილება და პრაქტიკული რჩევები. ასე რომ, ავტორთა ჯგუფი, ერთი მხრივ, დიდი გამოცდილების მქონეა, მეორე მხრივ, ღიაა სიახლეების მიმართ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ წიგნების ავტორთა ჯგუფი შერჩეული იყო იმ პრინციპით (მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლიტერატორი და ენათმეცნიერი), რომ სახელმძღვანელო გამართული ყოფილიყო პედაგოგიურად, ფსიქოლოგიურად, ლიტერატურულად და ენობრივად.

სახელმძღვანელოთა კომპლექტი მოიცავს I-IV კლასებს, მიუხედავად იმისა, რომ I კლასის სახელმძღვანელო საანბანო წიგნია და მას განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს, მასში დაწყებული სასწავლო ამოცანები გრძელდება მომდევნო კლასებში, ეს ნათლად ჩანს რუბრიკების დონეზეც კი. აქ დაწყებული საქმე გრძელდება სხვა კლასებშიც, თუმცა, ასაკობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში ქრება რომელიმე რუბრიკა, ზოგ შემთხვევაში რთულდება, ზოგჯერ კი ახალი ამოცანები და რუბრიკაც ჩნდება.

სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, რომელშიც შესულია აგრეთვე დამოუკიდებლად საკითხავი მასალა და შემაჯამებელი სამუშაოები.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოები ითვალისწინებს ლიტერატურული ტექსტებისა და ენობრივი ამოცანების ერთ მთლიან, განუყოფელ სწავლებას. ლიტერატურულ ტექსტს ახლავს ის ენობრივი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ამავე ტექსტიდან და ორგანულად არის დაკავშირებული სათანადო ტექსტის აღქმასა და ათვისებასთან, ენობრივი გრძნობის განვითარებასთან. ეს მიდგომა ავტორთა ჯგუფისათვის პრინციპულია და გამომდინარეობს შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობიდან: ამ ასაკის ბავშვი (II-IV კლასელი) აქტიურად იყენებს მშობლიურ ენას, თითქმის გამართულადაც მეტყველებს, მაგრამ მას არ შეუძლია სიტყვა და სიტყვათა ენობრივი მიმართებები თავისი გაცნობიერებული მსჯელობის საგნად აქციოს. მისთვის ენა „გამჭვირვალეა", მას მეტყველებისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება აქვს და არა თეორიული. ენისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების შედეგად ბავშვს უყალიბდება ე. წ. „ყოფითი ცნებები" მეტყველების ელემენტების მიმართ, მაგრამ ეს არ არის განზოგადებული და სისტემატიზებული ცოდნა.

ჩვენი სახელმძღვანელოების მეთოდიკა ეყრდნობა ამ ასაკის ბავშვების შემეცნებითი განვითარების აღნიშნულ თავისებურებას. ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ენისადმი მოსწავლეების პრაქტიკულ დამოკიდებულებას. ვცდილობთ, პრაქტიკული და არა თეორიული გზით, ვაქციოთ ენა ბავშვის შემეცნების საგნად. ხოლო მომავალში პრაქტიკული გზით მიღებული და სათანადო სავარჯიშოებით განმტკიცებული გამოცდილება დავუკავშიროთ თეორიულ დეფინიციებს.

ამგვარი მეთოდური მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების მეტ აქტიურობას, მონაწილეობას, ინიციატივას გაკვეთილის მსვლელობისას, და არა პასიური „მიმღების" როლში ყოფნას, როგორც ეს ენობრივი წესების (ცნებების, დეფინიციების) სისტემური სწავლებისათვის არის დამახასიათებელი.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ მიღებული ცოდნის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ ცოდნის აქტიურად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, პროგრესული და თანაბარზომიერად ზრდადი პრინციპით მეორდება, როგორც სახელმძღვანელოში, ასევე რვეულში, რუბრიკები და ამოცანები, რასაც ასაკობრივი პრინციპების გათვალისწინებით ემატება ახალი ამოცანებიცა და რუბრიკებიც.

ამასთანავე, სახელმძღვანელოების ციკლი (II-IV კლ.) ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალური ყოფის მდგრადი განვითარების პრინციპებს, საწყის მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც იმით უნდა დავიწყოთ, რომ მოსწავლეებს შევუქმნათ სასწავლო პროცესისა და გარემოსადმი მიკუთვნებულობის განცდა; განცდა იმისა, რომ ისინი თავად ახდენენ გავლენას წესებსა და გად-

აწყვეტილებებზე; ასევე შეუძლიათ მასალის შინაარსის დაკავშირება თავიანთ გამოცდილებასა და სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონტექსტთან.

ჩვენი სახელმძღვანელოების ციკლში შეტანილი რუბრიკები და სამუშაოები ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების, მეტყველების, მოსმენისა და წერითი უნარების განვითარებას. საინტერესო, ასაკობრივ მოთხოვნებზე გათვლილი და გემოვნებით შერჩეული ტექსტები, რუბრიკაში „ეს საინრერესოა“ შეტანილი შემეცნებითი მასალა მოსწავლეს უღვივებს კითხვის ინტერესს და ნელ-ნელა წიგნიერ ადამიანად აყალიბებს.

სასწავლო კომპლექტის ნაწილია რვეული, საკლასო სამუშაოებისათვის. მასში შესულია როგორც წერითი, ასევე ლექსიკური, ენობრივი, სააზროვნო და საკითხავი სავარჯიშოები. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა თავისი ტესტებითა და შემაჯამებელი სამუშაოებით. თითოეული სამუშაო მიემართება ძირითად ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაო ამოცანებს, გათვლილია კლასში დამოუკიდებელი მუშაობისათვის და მიზნად ისახავს ნასწავლი მასალის განმტკიცებას. ზოგ შემთხვევაში კი მონიტორინგის ფუნქციაც აქვს.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოთა ციკლი ეყრდნობა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და ზრუნავს მისი ყოველი მიმართულების სრულყოფილ განვითარებაზე.

II. ინფორმაცია მოსწავლის წიგნისა და რვეულის შესახებ

მოსწავლის წიგნს აქვს თავისი ზუსტად განსაზღვრული სტრუქტურა, რომელიც ავტორთა ჯგუფის კონცეფციიდან გამომდინარეობს. წიგნის განუყრელი ნაწილია რვეული, საკლასო სამუშაოებისათვის, რომლის გარეშეც მასალის დამუშავება და დასმული ამოცანების რეალიზება არ იქნება სრულყოფილი.

ქართული ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილის ძირითადი მასალაა ტექსტი, რომლის შინაარსი ეყრდნობა ბავშვის ასაკობრივ სპეციფიკასა და სასწავლო ამოცანებს, აქედან გამომდინარე, ხდება სამუშაოთა რუბრიკებისა და სავარჯიშოების შერჩევა. რვეული ემსახურება დამუშავებული მასალის განმტკიცებას, მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას.

II კლასის სახელმძღვანელოს რუბრიკებია: „სიტყვის სკივრი“, კითხვები, „სასაუბრო“, „დააკვირდი, როგორ იწერება“, „დაიმახსოვრე“, სავარჯიშოები, წერითი დავალება, „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“, „იმუშავეთ ჯგუფებად“, მოძებნე და წაიკითხე, აღწერე სურათი,“ეს საინტერესოა,““სახალისო“, კოგნიტური სამუშაოები, დახატე, დამხმარე მასალა: ანდაზა, გამოცანა. ეს რუბრიკები მთელ სახელმძღვანელოში თანაბრად არის განაწილებული.

ყველა ტექსტს ახლავს ლექსიკონი, იგივე „სიტყვის სკივრი“, და კითხვები. ეს უპირველესი სამუშაო ამოცანებია, რადგან ტექსტის შინაარსის გაგებას უკავშირდება. ტექსტის შინაარსის გაგების შემდეგ, მიზანშეწონილია მისი გააზრება, რასაც ემსახურება „სასაუბრო“, „ჯგუფური სამუშაოები“, „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“ , „სახალისო,,, „ეს საინტერესოა“. დამხმარე მასალა კი აფართოებს ტექსტის გააზრების არეალს. ენობრივი ცნობიერების პრაქტიკულ გააზრებას ემსახურება რუბრიკა „დაიმახსოვრე“, სავარჯიშოები, “დააკვირდი როგორ იწერება“. რუბრიკას „მოძებნე და წაიკითხეს“ შეიძლება ლიტერატურული, ლექსიკური ან ენობრივი ამოცანა ჰქონდეს .თითოეულ რუბრიკას თავისი ჩარჩო და წარწერა ახლავს, ან აქვს გამოკვეთილი ემბლემა, მაგალითად: კითხვებს გადაშლილი წიგნი და კითხვის ნიშანი აქვს; „მოძებნე და წაიკითხეს“ გადაშლილი წიგნი და ძახილის ნიშანი; სააზროვნო სამუშაოებს კი გასაღები აქვს მიხატული. იმ ნახატებს, რომლებსაც განსაკუთრებული სასწავლო ფუნქცია გააჩნია, ქვეშ აქვს მიწერილი ინსტრუქცია. სავარჯიშოები ჩარჩოებითაა გამოყოფილი. ვფიქრობთ, წიგნი ისეა დასტრუქტურებული, რომ მოსწავლეების და მასწავლებლებისთვისაც ადვილი მოსახმარია.

როგორც უკვე ითქვა, რვეული ემსახურება ნასწავლი მასალის განმტკიცებას ან გავლილი მასალის გამეორებას. ერთი სასწავლო ძირითადი ტექსტისა და მასთან დაკავშირებული თემებისათვის განკუთვნილი მასალა სამი პუნქტისაგან შედგება. რვეულის ყოველ სამუშაო მასალასთან მითითებულია თემის სათაური, დანომრილია სამუშაოები. პირველი და მეორე დავალება შეიძლება იყოს:

ლექსიკური, ენობრივი, სააზროვნო, ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული, არეული ტექსტის დალაგება, სასვენი ნიშნების დასმა. მათი შესრულება არ მოითხოვს დიდ დროს, მოსწავლე ძირითადად იყენებს ხაზგასმას, ხაზებით შეერთებას, ტექსტის დანომვრას. მესამე დავალება კი საწერ ბადეში სრულდება. მისი თემატიკაც მრავალფეროვანია და განპირობებულია სასწავლო მიზნებით. რვეულიც შესაბამისადაა დასტრუქტურებული.

მასწავლებლის სახელმძღვანელოს შესაბამის თავში დეტალურადაა აღწერილი თითოეულ რუბრიკაზე მუშაობის მეთოდოლოგია.

III. დეტალური კომენტარები სახელმძღვანელოს სტრუქტურულ ელემენტებთან დაკავშირებით

1. ძირითადი ტექსტები

ქართულის, როგორც მშობლიური ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოს მთავარი საყრდენია სასწავლი ტექსტი, ავტორთა ჯგუფს მიაჩნია, რომ დიდი თემატური გაერთიანებები უნდა უკავშირდებოდეს თემატურ შინაარსს ან ენობრივ მასალას. წიგნისა და ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციით ენა უნდა ისწავლებოდეს მისი პრაქტიკული გააქტიურებისა და გამოყენების მიზნით, რაც არ გულისხმობს მის თეორიულ სწავლებას და ამიტომ უნდა გამომდინარეობდეს ლიტერატურული ტექსტიდან და საკომუნიკაციო ამოცანებიდან. ერთ თემაზე ხანგრძლივად გაჩერება, თემით მასალის გაერთიანება მნიშვნელოვან სასწავლო მიზანს მშობლიური ენის სწავლებისას ვერ დაისახავს, ამიტომ სახელმძღვანელოში სასწავლო ამოცანები კონკრეტული სასწავლო ტექსტის ირგვლივ არის დაჯგუფებული.

სახელმძღვანელოში შეტანილია მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა: ქართული საბავშვო კლასიკა და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა, მსოფლიო კლასიკიდან ნათარგმნი, გადმოქართულებული და ადაპტირებული ტექსტები, სპეციალურად სახელმძღვანელოსათვის დაწერილი ნაწარმოებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები. წიგნის შემდგენლები შეეცადნენ, ყოველი ტექსტი ყოფილიყო სათანადო მხატვრული დონის და ენობრივად გამართული. არანაკლები ყურადღება მიექცა მასალის აღმზრდელობით მნიშვნელობას; თუმცა ზოგიერთი ნაწარმოები მხოლოდ ლიტერატურულ ამოცანას ემსახურება; მასში შეიძლება აშკარად არ იყოს გამოკვეთილი აღმზრდელობითი ფუნქცია, მაგრამ სახალისოა, ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, პასუხობს მის ფანტაზიას, უშუალო ხედვას, თამაშის ტენდენციებს, ეხმიანება ბავშვის სულიერ სამყაროს.

II კლასის სახელმძღვანელოს აქვს თავისი შინაგანი კომპოზიცია: კომპოზიციურ ხაზს წარმართავს „სიტყვის კაცი“. წიგნში ჩართულია ოთხი მოთხრობა „სიტყვის კაცი“, „ეკამ წერილი მიიღო“, „საახალწლო ლექსიკონი“ და „უცნაური მგზავრი“. ამ მოთხრობებში ერთი და იგივე პერსონაჟი მოქმედებს – ესაა სიტყვის კაცი, რომლის სახელსაც უკავშირდება ენობრივი რუბრიკა. ეს ნახევრადზღაპრული პერსონაჟი თითქოს სიტყვის ჯადოქარია, რომელიც ბავშვებს მრავალ სახალისო ენობრივ ამოცანას სთავაზობს. გარდა ამისა, წიგნში შეხვდებით მცირე თემატურ რკალებს, რომლებიც წელიწადის დროებს, საახალწლო თემას, სოციალურ-აღმზრდელობით თემებს უკავშირდება.

სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტები არა მარტო თემატურად და შინაარსობრივად არის მრავალფეროვანი, არამედ ჟანრობრივადაც. სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები,ხალხური ზღაპრები, ლიტერატურული ზღაპრები, იგავ-არაკები, ჩანახატის ტიპის ნაწარმოებები, შემეცნებითი ხასიათის ტექსტები, ლექსები, ხალხური პოეზიის ნიმუშები და ა.შ.

ტექსტზე მუშაობა შეიცავს სამუშაოთა მთელ კომპლექსს: თავად ტექსტი, სიტყვის სკივრი, კითხვები, ანდაზები, გამოცანები, რუბრიკა „ეს საინტერესოა“ (მასში ზოგჯერ ხატოვანი გამონათქვამები ან ტექსტთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალაა მოცემული) და სხვა.

ტექსტის დამუშავება იწყება მისი წაკითხვით, მერე მოდის კომენტირებული კითხვა, მისი ლექსიკური დამუშავება: აქ გამოვიყენებთ ყველა შესაბამის მასალას, მათ შემდეგ ისევ წავიკითხავთ

ტექსტს და დავსვამთ კითხვებს. წავაკითხებთ ტექსტს მოსწავლეებს, გამოვყოფთ მის შინაარსობრივ ელემენტებს, შესაძლოა შევადგინოთ მისი გეგმა. არსებობს კითხვის უამრავი სტრატეგია, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის არაერთი წიგნი გამოვიდა კითხვის სწავლების ეფექტურ მეთოდებთან დაკავშირებით, არსებობს საინტერესო გზამკვლევები (მათ ჩვენ შესაბამის ჩამონათვალში მივუთითებთ).

ცნობილია, რომ გამართულად კითხვისთვის მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მომენტია სიტყვის მთლიანობით კითხვაზე გადასვლა, რაც ხელს უწყობს კითხვის ტექნიკის დახვეწას, რის მერეც მკითხველის ძალისხმევა მიმართულია ტექსტის კონსტრუირებისაკენ. II კლასის დასაწყისში მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამჟღავნებს გარკვეულ სიძნელეებს კითხვის ტექნიკაში. ამ ეტაპისათვის მნიშვნელოვნია მასწავლებლის, როგორც დამხმარეს როლი, მართალია, იგი ეხმარება ახალი ტექსტის კონსტრუირებაში მოსწავლეს, მაგრამ პარალელურად აქტიურად იყენებს საკითხავ სავარჯიშოებს (სამუშაო რვეულიდან) კითხვის ტექნიკის გასავითარებლად, მოგვიანებით კი კითხვის ისეთ სტრატეგიებს იყენებს, სადაც მოსწავლეს ეძლევა მეტი დამოუკიდებლობა. პრობლემების გადასალახად მას უწევს წინარე ცოდნის გააქტიურება, რაც თავდაპირველად მასწავლებლის დახმარებით დააგროვა, არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მიზანია მოსწავლის მაქსიმალური სამუშაო აქტივობა და დამოუკიდებლობა, ამ მომენტისათვის მასწავლებელიც აქტიურად იყენებს დამოუკიდებლად საკითხავ ტექსტებს.

ყველა ნაწარმოები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ. 1-2 სტროფიანი ლექსები), II კლასში მოსწავლეებს უნდა მივცეთ ჯერ კითხვით სასწავლად. ამ ასაკის ბავშვი კარგი მეხსიერებით გამოირჩევა, განვითარებული აქვს ზეპირი მეტყველება. ამიტომ კლასში ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ შესაძლებელია მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა მოყოლა შეძლოს კიდეც, მაგრამ ვერ მოახერხოს გამართულად წაკითხვა. ამჯერად ტექსტები ისეთი შინაარსისა და მოცულობისაა, რომ ძნელია მათი დაზეპირება, ამიტომ მოსწავლე იძულებული იქნება, კითხვით დასწავლის პროცესში იგი შინ რამდენიმეჯერ წაიკითხოს. ეს, ერთი მხრივ, განავითარებს კითხვის ტექნიკას, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ტექსტთან მიახლოებით თხრობას, მისი დეტალების დაფიქსირებას.

მოზრდილი ლექსები და მოთხრობები სასურველია გაიყოს კიდეც. ნახევარი ერთ დღეს მივცეთ კითხვით დასასწავლად, მომდევნო დღეს – I ნახევარი ზეპირად ან თხრობით, ხოლო II ნახევარი – კითხვით. მესამე დღეს კი გამთლიანდეს ლექსი ან მოთხრობა. ხოლო მცირე ზომის ნაწარმოებების შესწავლას დასჭირდება ორი დღე (I – კითხვით, II – თხრობით).

ტექსტს თხრობით სასწავლად მხოლოდ მას მერე ვაძლევთ ბავშვს, რაც კითხვით იგი უკვე დაძლეულია – ბავშვი კითხულობს სათანადო ტემპით, სწორი ინტონაციებით, სიტყვის ამოკითხვაში აღარ უშვებს შეცდომებს. აღწერითი ტექსტების თხრობა ბავშვს უფრო უჭირს, ვიდრე სიუჟეტიანი მასალისა. შესაძლოა იგი არ მივცეთ თხრობით, თუმცა აღწერითი ტექსტის თხრობა მოსწავლეს აჩვევს დეტალებზე ყურადღების გამახვილებას. როდესაც მოსწავლე ტექსტს ჰყვება, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რამდენად თანმიმდევრულად გადმოსცემს შინაარსს, რამდენად ახსოვს დეტალები, ხომ არ გამოტოვა რაიმე, რამდენად მნიშვნელოვანია გამოტოვებული ადგილი მთლიანი ტექსტისთვის, რამდენად გაიგო ნაწარმოების დედააზრი, რამდენად გააცნობიერა პერსონაჟთა ქცევის მოტივი, რამდენად აკავშირებს მას საკუთარ გამოცდილებასთან, გარე სამყაროსთან ან რამდენად იძენს ახალ გამოცდილებას,

მოსწავლე ნელ-ნელა უნდა მივაჩვიოთ ჩუმ კითხვასაც. სასურველია, ჯერ ვთხოვოთ ბავშვებს რომ ყველამ თავისთვის ჩუმად წაიკითხოს ნაწარმოები, შემდეგ აღვადგინოთ იგი კითხვებით, ბოლოს კი გავამთლიანოთ. მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ გამოკრებით კითხვასაც. მაგალითად, ტექსტის დამუშავების, მისი წაკითხვის, შინაარსის გამთლიანების შემდეგ დავაყენოთ ამოცანა – მოძებნონ და წაიკითხონ ესა თუ ის ადგილი. რა თქმა უნდა, შერჩეულ ეპიზოდს თავისი დატვირთვა უნდა ჰქონდეს. როგორც კითხვაში, ასევე თხრობაში მოსწავლე უნდა შეეჩვიოს სხვისი ნაამბობის გაგრძელებას, გამოკრებით რომელიმე ეპიზოდის თხრობას, რაიმე ამოცანის მიხედვით როლებად განაწილებული ტექსტის წაკითხვას და თხრობას. ამგვარი მუშაობა ხელს შეუწყობს ტექსტის სრულყოფილ შესწავლას.

ზოგიერთი ტექსტის შესწავლისას საჭირო მარტივი გეგმის შედგენა. მოსწავლეები სათანადო ინტონაციითა და აქცენტებით თანმიმდევრულად წაიკითხავენ მასწავლებლის მიერ მითითებულ

მოთხრობის თითო-თითო, შინაარსობრივად შეკრულ ეპიზოდს. მოსწავლეები მისი დახმარებით დაასათაურებენ მას, მასწავლებელი გეგმას წერს დაფაზე. ამგვარი გეგმა კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ტექსტის შინაარსობრივ თანმიმდევრობას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, რომ გეგმის თითოეული პუნქტი იყოს ლაკონიურად, სწორად გადმოცემული.

ზოგიერთი ტექსტი კი მხოლოდ კითხვით ეძლევათ მოსწავლეებს. ისინი ან საინფორმაციო ხასიათისაა ან ესთეტიკური მუხტის შემცველია და უდიდეს ფუნქციას ასრულებს ბავშვის გონებრივ და ესთეტიკურ ფორმირებაში. ამგვარი ტექსტების მოყოლა ძნელია, არ არის საჭირო ბავშვს იგი დავაზეპირებინოთ. აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე.

როგორც ითქვა, არ არის აუცილებელი ყველა ტექსტის თხრობით გადმოცემა ან ყველა ლექსის დაზეპირება. თუმცა ეს ავტორთა ჯგუფის პოზიციაა და მასწავლებელს თავისი გადაწყვეტილებაც შეუძლია მიიღოს. არ დაგვავიწყდეს, რომ სწავლა, განსაკუთრებით I–IV კლასებში არ უნდა იყოს დამთრგუნველი. ტექსტის დამუშავებასთან დაკავშირებულ რუბრიკებზე ცალკე გვექნება საუბარი. ამჯერად ვისაუბრეთ მხოლოდ ტექსტის გაგებაზე და არა მის გააზრებასა და განზოგადებაზე.

ვფიქრობთ, მასალისა და სამუშაოების მრავალფეროვნება საინტერესოს გახდის როგორც სწავლებას, ასევე სწავლის პროცესს.

2. ლექსიკონი

პირველი აუცილებელი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ტექსტს ახლავს, არის „სიტყვის სკივრი“ ანუ ლექსიკონი.

„სიტყვის სკივრი“ II კლასში შემოვიდა როგორც სიტყვის კაცის თანმხლები ელემენტი, ერთგვარი მეტაფორა, რომელიც ენის ლექსიკურ საგანძურს გულისხმობს. „სიტყვის სკივრი“,პირველ რიგში, ცხადია, იმ დანიშნულებას ასრულებს, რაც ჩვეულებრივ ლექსიკონს ეკისრება – ნათლად და მისაწვდომად განმარტოს თითოეული სიტყვა, რომელიც შეიძლება უცნობი ან დასაზუსტებელი აღმოჩნდეს კონკრეტული ტექსტის დამუშავების დროს.

თავდაპირველად, რამდენიმე გაკვეთილის მანძილზე, მასწავლებელი მიუთითებს ხოლმე ლექსიკონის ადგილმდებარეობას, შემდეგ აუხსნის ბავშვებს მის მნიშვნელობას. ჯერ კლასს ჰკითხავს ამა თუ იმ ასახსნელი სიტყვის მნიშვნელობას. შემდეგ პასუხს მიიღებს თუ არა, მიმართავს ლექსიკონს – „აბა, ვნახოთ ლექსიკონში, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა“, მასწავლებელი კითხულობს მას. მოსწავლეებიც თვალს ადევნებენ. მოგვიანებით, როდესაც მოსწავლეები ამ ტიპის სამუშაოს მიეჩვევიან, მასწავლებელი ნაწილ სიტყვებს თავად კითხულობს (იმას, რაც უფრო რთულია), ნაწილს – სთხოვს ბავშვებს, მოძებნონ და წაიკითხონ (ყველას მოაძებნინებს და ერთ-ერთს წააკითხებს). საბოლოოდ ბავშვებს გამოუმუშავდებათ ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული ჩვევები, მასწავლებლის შეკითხვის შემდეგ ისინი თვითონ მოძებნიან ყველა სიტყვას. შესაძლებელია ტექსტში რაიმე სიტყვა გასამარტავი აღმოჩნდეს და იგი არ იყოს ლექსიკონში შეტანილი. მას განმარტავენ ზეპირად, მასწავლებლის დახმარებით.

„სიტყვის სკივრში“ მხოლოდ გაუგებარი სიტყვები არ იყრის თავს. მასში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც საკმაოდ აქტიურ ლექსიკას ეკუთვნის და არც კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს ძნელად გასაგები. ამ შემთხვევაში ლექსიკონი ემსახურება რაიმე შინაარსის (მნიშვნელობის) ნათლად და ლაკონიურად ჩამოყალიბების ჩვევების გამომუშავებას, განმარტების „ხელოვნების“ დაუფლებას, რაც ნაცნობი მასალის მოხმობით უფრო ეფექტურად განხორციელდება. შესაძლებელია, ერთი და იმავე სიტყვის განმარტებას სხვადასხვა ტექსტთან შევხვდეთ.შესაძლებელია, ეს განმარტებები ნიუანსობრივად განსხვავებულიც აღმოჩნდეს, რამდენადაც სიტყვის მნიშვნელობას გარკვეულწილად კონტექსტიც განსაზღვრავს და ამ ნიუანსების გათვალისწინება ტექსტის უფრო ზუსტად (ღრმად) გაგებას უკავშირდება.

ამასთან ერთად, მოსწავლეები ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ ლაკონიური შინაარსის ერთი ლექსიკური ელემენტით გამოხატვას, ასევე სიტყვის განმარტებას. ამგვარი სამუშაო დიდად უწყობს ხელს არა მარტო ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, არამედ ლოგიკური აზროვნების განვითარებასაც. ამ ამოცანების განმამტკიცებელი სამუშაოები საკლასო სამუშაოების რვეულშიცაა შეტანილი.

ამდენად, „სიტყვის სკივრს“ არ უნდა მოვეკიდოთ, როგორც მხოლოდ დამატებით პრაქტიკულ აპარატს და სწავლების ამ ეტაპზე მას მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ, როგორც გარკვეული ენობრივი ამოცანის გადაწყვეტისა და აზრის ზუსტად გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას.

3. კითხვები

თითოეულ ტექსტს ახლავს კითხვები, რომლებიც ძირითადად ემსახურება შინაარსის თანმიმდევრობისა და მისი დეტალების დაფიქსირებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვის სწავლების მთავარი მიზანია, დავეხმაროთ ბავშვს შინაარსის სრულყოფილად გაგებაში. ამგვარი მუშაობა კლასშიც ტარდებოდა, მაგრამ ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული მასწავლებელი. ამჯერად კი წიგნში კითხვების შეტანით ჩვენ ვცდილობთ, თანდათან, და არა ერთბაშად, შევამციროთ მასწავლებლის როლი და მოსწავლე მივაჩვიოთ კითხვაში მოცემული ამოცანის დამოუკიდებლად წაკითხვასა და გაგებას. ეს, რა თქმა უნდა, რთული ამოცანაა, მაგრამ ხელს შეუწყობს კითხვის შესწავლას, რადგან ხშირად მოსწავლე იგებს მარტივი შინაარსის მქონე ტექსტს, მაგრამ ვერ იგებს უმარტივეს ინსტრუქციასაც კი.

ა)კითხვები, ძირითადად, შინაარსობრივი ხასიათისაა და მოსწავლეს ეხმარება შინაარსის თანმიმდევრობის დადგენაში, მის დეტალურ აღდგენაში. ეს კი ერთ-ერთი საშუალებაა კითხვაში გავარჯიშებისათვის. ტექსტის წაკითხვისა და მისი ენობრივი დამუშავების შემდეგ იწყება კითხვებზე მუშაობა. კითხვების ადგილმდებარეობაზე მიგვანიშნებს სიმბოლო. ამ სიმბოლოზე მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება, რათა მომავალში ბავშვმა ადვილად მიაგნოს მას. პირველად, რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში, მასწავლებელი უკითხავს კითხვებს ბავშვებს, ისინი კი თვალს ადევნებენ, შემდეგ კი პასუხობენ. ნელ-ნელა ამ პროცესში მოსწავლეც ერთვება. ჯერ მასწავლებელი ავალებს მას წაიკითხოს მოკლე, მარტივი კითხვა. შემდეგ კი ნელ-ნელა უფრო აქტიურდება მოსწავლის როლი. ერთი კითხულობს შეკითხვას, მეორე – პასუხობს.

ბ) ზოგჯერ კითხვებში საანალიზო კითხვაცაა ჩართული, მაგრამ ეს ამოცანა ბავშვისათვის დამოუკიდებლად ძნელი გადასაჭრელია. ამიტომ საანალიზო კითხვებს, ძირითადად, მასწავლებელი სვამს. ტექსტის ანალიზი ხშირად ხდება მსჯელობის საგანი, ბავშვებს უჭირთ პირდაპირ ერთმნიშვნელოვანი და სწორი პასუხის გაცემა. ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი, დამაზუსტებელი კითხვების დასმა. მასწავლებელს წარმმართველი როლი აქვს. იგი წარმართავს მოსწავლეთა მსჯელობას, მიჰყავს კლასი სწორი პასუხისაკენ. ჩნდება ალტერნატიული აზრებიც. ამ შემთხვევაში მსჯელობის გზით უნდა მივიდეთ სწორ აზრამდე. ამგვარი ტიპის კითხვები წიგნში ცოტაა შეტანილი. როგორც ითქვა, იგი არ გამოდგება დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

გ)სახელმძღვანელოში შეტანილია დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განმავითარებელი კითხვებიც.

ამ კითხვების საშუალებით მოსწავლე მსჯელობს თავისი გარემოსა და გამოცდილების გათვალისწინებით.

დ) ლიტერატურულ ტაქსტთან მიმართებაში შერჩეული დამხმარე მასალა.

ლიტერატურულ ტექსტთან მიმართებაში შერჩეული დამხმარე მასალა, რა თქმა უნდა, ამდიდრებს სახელმძღვანელოს. ამგვარ მასალაზე მუშაობას თავისი დიდი ტრადიცია აქვს. იგი მასწავლებელთათვის ახალი არ არის, ამიტომ ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ამ საკითხზე.

ანდაზების წაკითხვის შემდეგ, საანალიზო კითხვების საშუალებით, მასწავლებელი კლასთან ერთად ხსნის ანდაზის შინაარსს, შემდეგ მას უკავშირებს ტექსტს. ცხადია, ანდაზების ცოდნა, ერთი მხრივ, ამდიდრებს მოსწავლის ინტელექტს, მეორე მხრივ, აჩვევს აზრის განზოგადებას, ეხმარება ნაწარმოების გაანალიზებაში, რადგან ანდაზაში ხშირად მზა ფორმულის სახით არის გადმოცემული ნაწარმოების დედააზრი. ზოგჯერ მოსწავლემ ანდაზებიდან უნდა შეარჩიოს ის, რომლითაც გამოხატულია ნაწარმოების დედააზრი, ასეთი ამოცანა პირდაპირ უკავშირდება ტექსტის გაგებას.

ამოცანები კი ახალისებს სწავლების პროცესს. მოცანებიც უფრო ხშირად თემატურად უკავშირდება ნაწარმოებს, ზოგჯერ კი მათ სრულიად ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეები

მათ ადვილად იზეპირებენ, მოგვიანებით შეიძლება თამაში-შეჯიბრებაც მოვაწყოთ, ვის უფრო მეტი გამოცანა თუ ანდაზა ახსოვს. შესაძლოა, ამას ჯგუფური ფორმაც ჰქონდეს.

ნახატს, როგორც ტექსტის დამხმარე მასალას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგჯერ იგი უბრალოდ მხოლოდ ილუსტრაციის როლს ასრულებს და ხელს უწყობს ტექსტის ვიზუალიზაციას. ხშირ შემთხვევაში, ნახატს ან ფოტოს შეესაბამება სასწავლო ამოცანა. ზოგჯერ მოსწავლეებს ვთავაზობთ ერთ თემაზე შექმნილ ლიტერატურულ მასალასა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება აღწერონ, როგორ გამოსახა მხატვარმა ბუნების სურათი – პეიზაჟი, როგორ გადმოსცა იგი პოეტმა. ზოგჯერ ნახატის მიხედვით ქმნიან სიუჟეტს, მოთხრობას ან პოულობენ ტექსტში ილუსტრაციის შესაბამის ან განმასხვავებელ ნიშნებს.

ვფიქრობთ, ყველა ეს დამხმარე მასალა, ერთი მხრივ, გააღრმავებს სწავლების პროცესს, მეორე მხრივ კი, სახალისოს გახდის მას.

4. „მოძებნე და წაიკითხე“

ეს რუბრიკა მოსწავლეებს აჩვევს ტექსტზე მუშაობას, ისინი ენობრივი ან ტექსტუალური დავალების შესასრულებლად მიმართავენ ტექსტს, მაგალითად: მოძებნე და წაიკითხზე ძახილის წინადადებები ან წაიკითხე მოცემული გეგმის შესაბამისი ეპიზოდები და სხვ. ამ რუბრიკას აქვს თავისი შესაფერისი ჩარჩო და ემბლემა – გადაშლილ წიგნზე ძახილის ნიშანი. თავდაპირველად, შეიძლება მასწავლებელმა მიუთითოს ტექსტის მონაკვეთი, მოგვიანებით კი მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ.

5. „ეს საინტერესოა“.

II კლასში შემოდის რუბრიკა „ეს საინტერესოა“. ამ რუბრიკის მიზანია გააფართოოს მოსწავლის თვალსაწიერი. სასწავლო მასალასთან მიმართებით მისცეს ბავშვს დამატებითი ინფორმაცია. ამასთან ერთად, ამგვარი მასალა მოსწავლეს აჩვევს საინფორმაციო ტექსტების კითხვასა და გაგებას, ასეთი ტექსტების გამოყენებას სასწავლო ტექსტის უკეთ გასაგებად. ეს კი თავისთავად ხელს უწყობს წიგნზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მაგალითად, ტექსტთან „თბილი ქვეყნებისაკენ“ მოცემულია „ფრინველების გადაფრენა“, ეს მასალა ინფორმაციით ავსებს თემას, მას კითხვებს ერთვის, ასევე მოსწავლეები ავსებენ დაფაზე მოცემულ ცხრილს: რა ვიცოდი რა გავიგე, რა მაინტერესებს. აქ შესაძლებელია ინტერნეტში მოიძიონ ახალი ინფორმაცია ან თემა განივრცოს ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე. ამავე რუბრიკაში მოცემულ მასალას „რა ვიცით წიგნის შესახებ“მოსწავლეს ვაცნობთ წიგნის სტრუქტურულ ელემენტებს, რასაც მოსდევს პრაქტიკული სამუშაო: აღწეროს სხვა წიგნები. ამ რუბრიკაში ზოგჯერ მოცემულია ლექსიკური ან ენობრივი საინტერესო მასალა, მაგალითად, ლექსში „გაბაასება“ მოცემულია სიტყვათა შემოკლებული ვერსიები და მათი ლიტერატურული ვარიანტები. ამავე რუბრიკით შემოგვაქვს წიგნში ორი სხვა რუბრიკა „სიტყვის სკივრი“ და „დააკვირდი როგორ იწერება“, ამით ვცდილობთ ხაზი გავუსვათ მათ მნიშვნელობას.

6. „სასაუბრო“

ეს რუბრიკა პირდაპირ უკავშირდება ზეპირმეტყველებისა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. იგი მსჯელობისა და დისკუსიის საწყისი ფორმაა. მოსწავლეებს ეძლევათ ტექსტთან დაკავშირებული სასაუბრო თემა. ზოგ შემთხვევაში ეს თემა პირად გამოცდილებას უკავშირდება, ზოგჯერ – არგუმენტის მოძიებას, ხან – პერსონაჟების ქცევის მოტივაციასა და მათ შეფასება-დახასიათებას. ეს რუბრიკა თემატურად მრავალფეროვანია. მისი მართვა იქნება უფრო ორგანიზებული, თუ მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავებთ და ფორმატზე ჩამოვწერთ ამ რუბრიკაზე მუშაობის წესებს. მაგალითად: არ წამოვიძახოთ, მოვუსმინოთ ერთმანეთს, აღარ გავიმეოროთ უკვე ნათქვამი მოსაზრება, აზრთა სხვადასხვაობის დროს უბრალოდ დავეთანხმოთ ან ერთ, ან მეორე პოზიციას. შევეცადოთ ჩვენი მოსაზრება დავადასტუროთ ფაქტით და ა.შ. გააჩნია საუბრის თემას. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ეს რუბრიკა მრავალფეროვან სასწავლო ამოცანას უკავშირდება.

7. იმუშავეთ ჯგუფებად ან წყვილებად

ამ ტიპის სამუშაოებს მასწავლებელი ხშირად მიმართავს და ბავშვებსაც მოსწონთ, მაგრამ მას სჭირდება კარგი მართვა და შესაბამისი შეფასების სქემები. ამ რუბრიკის უმთავრესი ფუნქციაა თანამშრომლობის, შრომის ორგანიზების უნარის განვითარება. რა თქმა უნდა, იგი მიზნად ისახავს სხვა სასწავლო ამოცანებსაც. მაგალითად: ვიდრე მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტს „დახუჭობანა", მათ მოცემული აქვთ ამ ტექსტის სიუჟეტური ილუსტრაცია, რის მიხედვითაც უნდა შეადგინონ მოთხრობა, შემდეგ ერთმანეთს წაუკითხონ თავიანთი ნამუშევრები, შემდეგ კი შეადარონ მოთხრობის შესაბამის ეპიზოდს. ამ ტიპის შემოქმედებითი სამუშაოსათვის კარგია თანამშრომლობა. როდესაც მოსწავლე ეცნობა საგნის თვისების გამომხატველ სიტყვებს, ისინი წყვილებად მუშაობენ და ჩამოწერენ ამა თუ იმ საგნის ნიშან-თვისებებს, მაგალითად, როგორი შეიძლება იყოს ვაშლი. ზოგჯერ ჯგუფებს ეძლევათ მსგავსი ამოცანა, რომლებიც მცირე ნიუანსით განსხვავდება. მაგალითად: ტექსტთან „მეზღაპრე" ასეთი ჯგუფური სამუშაოა მოცემული – შეადგინეთ 4 ჯგუფი: ყვითელი, წითელი, წვანე და ლურჯი ფერისა. მოიფიქრეთ ზღაპარი, მთავარი როლი თქვენს ზღაპარში თქვენი ფერის ნივთებს უნდა ჰქონდეს. წაიკითხეთ თქვენი ზღაპარი, ახლა ფანქრები მოიმარჯვეთ და ნახატებით გააფორმეთ იგი. ჯგუფური მუშაობის მართვა შესაძლებელია შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების ცხრილით, რაც მოცემული იქნება შესაბამის თავში.

8. „ვთამაშობთ და ვსწავლობთ"

საინტერესო და სახალისო რუბრიკაა, რომელსაც თავისი სასწავლო და სოციალური ფუნქცია გააჩნია. მასში ზოგჯერ მთელი კლასია ინდივიდუალურად ჩართული. მაგალითად: პლაკატის შექმნა „გავუწოდოთ ერთმანეთს მეგობრობის ხელი." მოსწავლეები იღებენ ფორმატს, რიგრიგობით ადებენ ხელს, შემოხაზავენ და ანაბეჭდში ჩაწერენ თავიანთ სახელს, ეს იქნება მათი მეგობრობის პლაკატი. ზოგჯერ წარმოსახვითი სიტუაცია თამაშდება, მაგალითად, წარმოიდგინეთ რომ, სკოლაში სტუმარი გეწვიათ, როგორ წარუდგენთ მას თქვენს თავსა და სკოლას. ხანდახან მას მართლაც თამაშის ფორმა აქვს. მაგალითად, თამაში „აფრინდა აფრინდა", რომელიც სულიერ და უსულო სახელებს შეგვიძლია დავუკავშიროთ. საინტერესოა თამაში სარითმო სიტყვებსა და რიცხვებზეც.

ამავე რუბრიკაშია ჩართული როლური კითხვა და როლური თამაშები. თამაშის დაწყებისათვის მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა შეახსენოს ამ კონკრეტული თამაშისათვის განსაზღვრული წესები.

9. დახატე

თემატური ხატვა ხშირად გამოიყენება ჯგუფურ მუშაობაში, მაგრამ ზოგჯერ ამ რუბრიკას აქვს თავისი ჩარჩო და ლოგო – ფერადი ფანქარი. მოსწავლე ხატავს ეპიზოდს, აღწერით ტექსტზე დაყრდნობით, რაც შემოქმედებით აქტივობასთან ერთად ტექსტის გაგების ამოცანასაც ისახავს მიზნად. როდესაც წიგნის სტრუქტურა განვიხილეთ მოსწავლეებს მიეცათ დავალება შეექმნათ ზღაპარ „წითელქუდას" ყდა.

10. სააზროვნო და შემეცნებითი ფუნქციების განმავითარებელი სავარჯიშოები

გრამატიკულ-ენობრივი და ლიტერატურული სავარჯიშოების გარდა, სახელმძღვანელოში მოცემულია ბავშვის შემეცნებითი ფუნქციების (აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება) გასავარჯიშებელი, ასევე თვალსაწიერის გასაფართოებელი სავარჯიშოები.

აზროვნების გავარჯიშების მიზნითვიყენებთ კლასიფიკაციის, შინაარსობრივი დაჯგუფების სავარჯიშოებს. მაგ.: ბავშვს ეძლევა 5 სიტყვა, რომელთაგან ერთი განსხვავებულია დანარჩენებისგან (4სიტყვა – ხილი და 1 – ბოსტნეული). ბავშვმა უნდა შეძლოს მსგავსი, ანუ ერთი კატეგორიის საგნების გაერთიანება და თან ახსნა, და შემდეგ – ცნების დასახელება.

მეორე ტიპის სავარჯიშოებია ე.წ. ასოციაციები – ეს სავარჯიშოები ხელს უწყობს ბავშვის აზროვნების, საზრიანობის გავარჯიშებას. ამ შემთხვევაში მოცემულია ჩამონათვალი, მაგ.: „ისარი, წიკწიკი, დრო“; ბავშვმა უნდა დაასახელოს –„საათი“, ანუ ის სიტყვა(საგანი), რომელიც გამაერთიანებელია დანარჩენი სიტყვებისა, ანუ რამდენიმე სიტყვა მახასიათებელია რომელიმე საგნის ან მოვლენის, მან უნდა მოიფიქროს, გააანალიზოს ეს ცალკეული სიტყვები და მოიაზროს ის ერთი საგანი, რომელსაც ყველა ეს სიტყვა შეესაბამება, დაასახელოს ამ საგნის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგ.: ნიგოზი, თათარა, ძაფი – ამ სიტყვების საერთო გამაერთიანებელი სიტყვა – „ჩურჩხელა“. ან სიტყვების ჩამონათვალმა ასოციაციით უნდა გაახსენოს მას ჩურჩხელა.

ამავე ტიპის სავარჯიშოებია – ზმნების ჩამონათვალი, რომელშიც ზმნების მეშვეობით აღწერილია თითოეული წელიწადის დრო – ბავშვმა უნდა გამოიცნოს რომელ წელიწადის დროს ეკუთვნის თითოეული ჩამონათვალი, მაგ.: თოვს, ყინავს, ცივა და ა.შ.

სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია მსგავსი, მაგრამ უფრო გართულებული სავარჯიშოები, რომლებშიც მხოლოდ ერთი სიტყვაა მოცემული. ბავშვმა უნდა დაასახელოს ის საგნები და მოვლენები, რომელიც მოცემულ სიტყვას მოაგონებს. მაგ.: ზამთარი – თოვლი, რთველი –?... მოცემულია სიტყვა „კატა“ და ბავშვმა უნდა გაიხსენოს ის სიტყვები, რომლებიც დამახასიათებელია კატისთვის. მაგ.: კუდაპრეხილი, მწვანეთვალება, ულვაშა.

სავარჯიშოების ერთ-ერთი ჯგუფი ემსახურება თვალსაწიერის გაფართოებას, ინფორმაციის სისტემაში მოყვანას. მაგ.: რომელი ცხოველი რას ჭამს? რა როგორ მოძრაობს? რა რისი ნაშიერია? და სხვ.

ამ ტიპის სავარჯიშოების შეტანა, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, ვინაიდან ისინი ხელს უწყობს მოტივაციის გაჩენას; ბავშვებს ძალიან უყვართ ასეთი ტიპის სავარჯიშოების შესრულება. სწორედ ისინი მატებენ წიგნს სიხალისესა და დინამიკურობას.

11. „სახალისო“

ამ რუბრიკაში გაერთიანდა მრავალფეროვანი, მართლაც, სახალისო სამუშაოები. შესწავლილ ნაწარმოებზე შექმნილი მულტფილმის ნახვა და ახალი ეპიზოდების თხრობა მულტფილმის მიხედვით. ნასწავლ ტექსტზე არსებული სიმღერის მოსმენა და მისი შესრულება. ლოგიკური სახალისო ამოცანის შესრულება – ვინ რომელ რიგში ზის. აპლიკაციური ნაძვის ხის შექმნა საახალწლო სურვილებით, ვის რისი კეთება შეუძლია ყველაზე უკეთ და სხვ. კლასის ორგანიზება დამოკიდებულია სამუშაოს შინაარსზე. ზოგჯერ მუშაობა არის საკლასო, ზოგჯერ – ინდივიდუალური, ზოგჯერ – ჯგუფური.

12. ენობრივი მასალის ბლოკი

ა) დააკვირდი, როგორ იწერება

ზოგიერთ თემას ახლავს რუბრიკა „დააკვირდი, როგორ იწერება“. ამ რუბრიკაში ლიტერატურული ტექსტიდან გამოტანილია ყველა ის სიტყვა, რომელმაც შეიძლება რაიმე თვალსაზრისით გამოავლინოს მართლწერის სირთულე. მართებული ორთოგრაფიული ერთეულები აქ ვიზუალური დამახსოვრების მიზნით არის გამოტანილი და წიგნიერი მეტყველების „პასიური“ ათვისების ჩვევების გამომუშავებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე მეორდება. ასევე, ამგვარი მიდგომა სულაც არ მოითხოვს ორთოგრაფიული ერთეულების გარჩევას, იმის მიუხედავად, რთულ კატეგორიას განეკუთვნება ის, თუ – მარტივს. რამდენადაც აქ ანალიტიკური ათვისების ამოცანა კი არა დგას, არამედ – მექანიკური დამახსოვრების. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმძღვანელოში შეტანილი ლიტერატურული ტექსტები გამართულია (ადაპტირებულია) თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით, რათა იმავე „ვიზუალური ეფექტით“ ბავშვის მეხსიერებაში მცდარი ფორმებიც არ აღიბეჭდოს. ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღების საგნად არის ქცეული ის შემთხვევები, როდესაც ლიტერატურული ტექსტი ამგვარი უმართებულო ფორმების გასწორების შესაძლებლობას არ იძლევა.

იმ იშვიათ შემთხვევებში გამოყენებულია საგანგებო რუბრიკა–„ასე არ იწერება!“, რომელიც ხსნის სიტყვის უმართებულო გამოყენების მიზეზებს და საგანგებოდ მიუთითებს ორთოგრაფიულ ნორმაზე.

ამ რუბრიკაში შეტანილ მასალაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს მასწავლებელმა.

ეს რუბრიკა ჯერ გაკვეთილზე მუშავდება, შემდეგ კი იქცევა გამეორებისა და გამოკითხვის საგნად – აბა, გავიხსენოთ, როგორ იწერება ესა და ეს სიტყვა. ამავე დროს კარნახისათვის მომზადებულ ტექსტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ რუბრიკის მასალა.

ბ) დაიმახსოვრე

ენობრივ მასალაში საგანგებო ადგილი უჭირავს რუბრიკას „დაიმახსოვრე“, რომელიც იმ აუცილებელი საკითხების მიწოდებას ემსახურება, რისი თეორიული განმარტებაც სწავლების ამ ეტაპზე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. სახელდობრ, ამ სახელმძღვანელოებში ტრადიციული გრამატიკული საკითხები მხოლოდ ამგვარი აუცილებელი ფრაგმენტებით არის შემოთავაზებული და მათაც მაქსიმალურად პრაქტიკული, ევრისტიკული ფორმა აქვს მიცემული.

II კლასში გრამატიკული კატეგორიების დაწვრილებითი დეფინიციების შემოტანა ავტორთა ჯგუფს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ჯერ კიდევ პირველ კლასში ჩვენ აქტიურად ვიყენებდით „სიტყვას“ და „წინადადებას“, მაგრამ არ მიგვიცია ბავშვისთვის მათი დეფინიცია. ამ ორი ცნების არსებობა ბავშვისთვის თვალსაჩინო გახდა პრაქტიკული გამოცდილების დონეზე. ასევე პრაქტიკული გამოცდილების დონეზე გაიაზრებოდა წერტილის დასმა წინადადების ბოლოს, შემოვიტანეთ კითხვის ნიშანიც. II კლასში ამ ორ ნიშანს დაემატა ძახილის ნიშანი. შემოდის ძალიან გამარტივებული განმარტება წინადადების შესახებ, საკუთარი სახელები, მსგავსი სიტყვები, მოკლე შინაარსი, მარცვალი, კითხვა: როგორი? მხოლობითი და მრავლობითი: ვინ?, რა? კითხვის დასმა, მოქმედების გამომხატველი სიტყვა, სრული და უსრული პასუხი. დანარჩენ შემთხვევაში ენობრივი სავარჯიშოები მთლიანად ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს ბავშვს, მასში შინაგანად არსებული ენობრივი ფენომენის გაცნობიერება დაიწყოს, ანუ დაკვირვების ობიექტად აქციოს. გავარჯიშების შედეგად დაგროვილი კონკრეტული გამოცდილება კი დაეხმარება ბავშვს სამომავლოდ სწორი დასკვნების გამოტანაში. სწორედ ეს გამოცდილება შემოინახება მეხსიერებაში და შემდგომში განზოგადების გზით აზროვნებაში გაშინაგანდება.

გ) სავარჯიშოები

სავარჯიშოთა შინაარსი:

- ***ტექსტთან მიმართებაში მოცემული სავარჯიშოები:***

გეგმის მიხედვით ეპიზოდების წაკითხვა;
ხატოვანი გამონათქვამების გაგება;
ტროპის სახეების გაგება;
პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის დადგენა;
პერსონაჟის თვისებების გამოყოფა;
ანდაზების მიმართება ტექსტთან;
ლექსის განწყობილების ამოცნობა.

- ***ენობრივი სავრჯიშოები:***

ზემოთ აღნიშნულმა პრინციპებმა, როგორც ითქვა, ავტორთა ჯგუფს საშუალება მისცა სავარჯიშოებში შესულიყო როგორც ლექსიკოლოგიის, ასევე ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები. მაქსიმალურად არის გამოყენებული ბავშვის სამყაროში არსებული შინაგანი ენობრივი ფენომენი და შესაძლებლობები. აღნიშნული სავარჯიშოები ააქტიურებს ამ შესაძლებლობებს და ამა თუ იმ ენობრივ ფაქტს დაკვირვების ობიექტად აქცევს.

სახელმძღვანელოებში შეტანილია შემდეგი ტიპის სავარჯიშოები:

- ***ლექსიკოლოგიური:***

სინონიმების(მსგავსი) და ანტონიმების(საპირისპირო)სიტყვების მოფიქრება ან მოძებნა უკვე ნასწავლ ტექსტში;

ხაზგასმული სიტყვის ჩანაცვლება მსგავსი სიტყვით;

სიტყვის განმარტება;

ხატოვანი გამონათქვამების განმარტება;

ტიპურ გამონათქვამებზე ყურადღების გამახვილება, რომლებშიც შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია; მაგალითად: ბოდიში მოუხადა , მადლობა გადაუხადა.

ლექსიკური კლასიფიკაცია;

სიტყვის ლექსიკური კონტექსტის განსაზღვრა; მაგალითად: რომელი სიტყვები მიესადაგება გათენებას, რომელი – დაღამებას.

- ***ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება:***

ხმოვან-თანხმოვნის გარჩევა;

სიტყვებში გამოტოვებული ბგერების ჩასმა.

ერთნაირი დაბოლოების მოძებნა;

მარცვლებით სიტყვების აწყობა.

- ***მორფოლოგიური:***

საერთო ფუძის მოძებნა;

იმ სახელების გამორჩევა, რომლებსაც საერთო ფუძე აქვთ.

სიტყვათწარმოება;

დეფისიანი კომპოზიტები;

ენობრივ მასალასთან – რუბრიკა „დაიმახსოვრესთან" დაკავშირებული სავარჯიშოები; მაგალითად: სულიერი და უსულო სახელების დასახელება ან მოძებნა ტექსტში, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება ან მოძებნა და მისთანანი.

ზედსართავის ხარისხის ფორმების წარმოება ნიმუშის მიხედვით;

შეცდომების გასწორება.

- ***სინტაქსური***

ლექსიკური ერთეულის ან გრამატიკული ფორმის კონტექსტის მიხედვით შერჩევა;

წინადადების შედგენა;

წინადადების დასრულება ან განვრცობა;

წინადადებების ამოცნობა შინაარსის მიხედვით;

წინადადების ბოლოს სასვენი ნიშნების დასმა.

სავარჯიშოთა ტიპები

ანალოგიის პრინციპით აგებული სავარჯიშოები;

მაგალითის, ანალოგიის პრინციპით აგებული სავარჯიშოები ყველაზე აქტიურადაა გამოყენებული სახელმძღვანელოში. ასეთია სავარჯიშოები სიტყვათწარმოებაზე: კომპოზიტების შედგენა, ზედსართავისა და მისი ხარისხების წარმოება, დანიშნულების, ხელობის სახელების წარმოება, ზმნების წარმოება და ა.შ. ამგვარი სავარჯიშოების აგების პრინციპი ერთნაირია. საწყისი მაგალითი მოცემულია თავად ტექსტში. ნიმუში ეძლევათ სავარჯიშოს ინსტრუქციაშიც, შემდეგ კი მოსწავლე ანალოგიის გზით თავად ქმნის საჭირო ფორმებს. ერთ სავარჯიშოში მხოლოდ ერთი ტიპის მაგალითებია მოცემული. ანალოგიის პრინციპით მოსწავლის პრაქტიკული გავარჯიშება მხოლოდ სიტყვათწარმოებით არ შემოიფარგლება. იგი ხშირად ფრაზაზეც გადის და ათასგვარ მორფოლოგიურ, სინტაქსურ თუ სტილურ ამოცანას ისახავს მიზნად. ანალოგიის პრინციპით შედგენილი სავარჯიშოები მრავალფეროვანია. ამგვარი სავარჯიშოების შესრულება ძალიან ეხალისებათ მოსწავლეებს და, რაც მთავარია,

მეხსიერების გააქტიურებითა და პრაქტიკული გავარჯიშების გზით, მოსწავლე ითვისებს უამრავ პრაქტიკული დანიშნულების ენობრივ საკითხს.

მაგალითად, ანალოგიის პრინციპითაა აგებული შემდეგი სავარჯიშოები:

დააკვირდი მაგალითს:

მოშავო – ოდნავ შავი; უშავესი – ძალიან შავი,

რომელი რას ნიშნავს?

მოწითალო, ულურჯესი, მომწვანო, მოლურჯო, უმწვანესი, უწითლესი.

სამოცამდე არის „დაახლოებით სამოცი“.

ხაზგასმული სიტყვები შეცვალე ერთი სიტყვით:

გიგა პაპას <u>დაახლოებით ოცდაათი</u> ცხვარი ჰყავს და ა.შ.

მაგალითად:

როგორია ეს ლექსი? შეარჩიე სწორი პასუხი:

- დამაფიქრებელი;
- სევდიანი;
- მხიარული;
- ჭკუისსასწავლი.

როგორ გესმის გამონათქვამი: „კალათა სავსე იყო მეგობრების სიყვარულით“ შეარჩიე სწორი პასუხი:

1. კალათა სავსე იყო მეგობრებისათვის განკუთვნილი საჩუქრებით:
2. ეს კოპწია კალათა კიკნა ბიჭს მეგობრების სიყვარულმა გააკეთებინა.

მოცემული ჩამონათვალიდან საჭირო მასალის გამოკრება და დასახელება;

მაგალითად:

მოცემულ ჩამონათვალში რომელია ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები: ... დაასახელე,

რომელ სიტყვებს დაესმის კითხვა – ვინ? რომელს – რა? ...

და ა.შ.

გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით მაგალითის მოფიქრება და დასახელება;

მაგალითად: მოიფიქრე მსგავსი სიტყვები:

დედოფალა –... გაამშვენიერა –...კოხტა – ...

და ა.შ.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული მასალა იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია თითოეული მათგანის სტრუქტურისა და მიზნის განხილვა. ერთი კი ცხადია, მეთოდიკა გათვლილია ბავშვის შესაძლებლობებზე და არაჩვეულებრივად ავითარებს კითხვის, სწორად წერისა და მეტყველების უნარ-ჩვევებს, ამდიდრებს და ააქტიურებს ლექსიკას, ავითარებს აზროვნებასა და ანალიზის უნარს.

სავარჯიშოებზე მუშაობის მეთოდიკა

სავარჯიშოებზე მუშაობა სწორად უნდა წარიმართოს, რათა მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ ამგვარი დავალებების შესრულების უნარ-ჩვევები. რაღა თქმა უნდა, მეორეკლასელთათვის ერთმნიშვნელოვნად ადვილი არ არის სავარჯიშოს ინსტრუქციის წაკითხვა და გაგება, ეს სავარჯიშოები განკუთვნილია ზეპირი მუშაობისათვის.

ა)თავდაპირველად, მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს სავარჯიშოს ადგილს. ჯერ თავად კითხულობს ინსტრუქციას, შემდეგ დაფაზე წერს სავარჯიშოს მაგალითს (ინსტრუქციის გარეშე). ერთ მაგალითს თავად აკეთებს და მასაც წერს დაფაზე, შემდეგ დარჩენილ მაგალითს აკეთებინებს მოსწავლეებს და სწორ პასუხებს წერს დაფაზე. შემდეგ მოსწავლეები ერთხელ კიდევ წაიკითხავენ ინსტრუქციას და შესრულებულ სამუშაოსაც. მასწავლებელს შეუძლია ზეპირი მუშაობის გზით, ანალოგიური მაგალითებითაც განავრცოს სავარჯიშო.

როდესაც სავარჯიშოს პასუხი ტექსტშია მოსაძებნი, მასწავლებელი თავიდან, სანამ ბავშვები ტექსტზე მუშაობას მიეჩვევიან, მიუთითებს ადგილს, სადაც უნდა ეძებონ სასურველი სიტყვა თუ ფრაზა.

ნეიტრალური სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტს არ უკავშირდება, შეიძლება შესრულდეს ახალი მასალის მიცემის დღესვე, ხოლო ტექსტთან დაკავშირებული სავარჯიშო კი უნდა დამუშავდეს მას შემდეგ, როცა მოთხრობა უკვე შესწავლილია.

ზოგიერთი ტიპის სავარჯიშო (მაგალითად, მუშაობა კლასიფიკაციაზე, სიტვათა შესაბამისი წყვილების შეერთება ხაზებით)არ მოითხოვს დაფაზე გადატანას, ამას მოსწავლეები ისედაც გაართმევენ თავს.

რაც უფრო მეტად გაიწაფებიან მოსწავლეები ინსტრუქციის გაგებასა და სავარჯიშოზე მუშაობაში, მით უფრო მეტი დამოუკიდებლობა უნდა მისცეს მათ მასწავლებელმა. თუმცა შესასრულებელი ამოცანა უფრო ხშირად მაინც დაფაზე უნდა ეწეროს, რათა თვალსაჩინოდ დაფიქსირდეს სწორი პასუხი, რათა მოსწავლეებმა არა მარტო სმენით, არამედ მხედველობითაც აღიქვან იგი. დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდში დაფაზე მოცემული სწორი პასუხების შესაბამისად ჩაასწოროს შეცდომები თავის რვეულში.

მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს წააკითხებს სათანადო წინადადებას. ამ წინადადებიდან გამოატანინებს საჭირო ფრაზას და გვერდით მიუწერს შესაბამის სინონიმურ გამონათქვამს.

როდესაც სავარჯიშო მარცვლებით სიტყვების აგებაზე ან გამოტოვებული ასოების ჩასმაზეა, მასწავლებელი ინსტრუქციაზე მუშაობის შემდეგ დაფაზე დაწერს შესაბამის მასალას და ყოველ სწორ პასუხს დაფაზევე აღნიშნავს.

იმ ტიპის დავალებებზე მუშაობისას, როდესაც მოსწავლემ უნდა შესაფერისი წყვილები შეაერთოს ხაზებით, აუცილებელია, მოსწავლეებს მივუთითოთ, რომ მათ წაიკითხონ ორივე სვეტის ყველა სიტყვა. შემდეგ ჯერ ის წყვილები შეაერთონ, რომლებიც ზუსტად იციან (არ არის აუცილებელი მუშაობისას თანმიმდევრობის დაცვა), შემდეგ კი დარჩენილი ვარიანტებიდან ამოარჩიონ უფრო შესაფერისი.

მოკლე ინსტრუქციის მერე, რაც დასაწყისში ითქვა, ბავშვებს უნდა მივცეთ დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება (სასურველია ეს დავალებები შესრულდეს ფანქრით, რათა გასწორების საშუალება მოგვეცეს), შეცდომები გაანალიზდეს და მსჯელობის ლოგიკა გამოიკვეთოს.

სააზროვნო, ტესტის ტიპის დავალებებზე მუშაობაც დაახლოებით ასეთივე მეთოდით უნდა წარიმართოს. მოსწავლეებმა ჯერ დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, მხოლოდ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ ინსტრუქცია ესმით. შემდეგ კი ერთ-ერთმა მოსწავლემ დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილების სისწორე. მაგალითად: ჩამონათვალში – ფიჭვი, ნაძვი, მუხა – რატომ არის ციყვი ზედმეტი? ჩამოთვლილი სიტყვები ხეებია, ხოლო ციყვი – ცხოველი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, შეიძლება სავარჯიშოებზე მუშაობა სამ ეტაპად დაიყოს:

I – სავარჯიშოებზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების პერიოდი;

II – დამოუკიდებლად მუშაობის პერიოდი;

III – დამოუკიდებელი წერითი სამუშაოს, ტესტირების, პერიოდი.

I ეტაპი

ა) მასწავლებელი მიუთითებს სავარჯიშოს ადგილს;

ბ) წაიკითხავს ინსტრუქციას;

გ) წააკითხებს ინსტრუქციას მოსწავლეს;

დ) მასწავლებელი დააზუსტებს და გაიმეორებს ინსტრუქციას;

ე) გაამეორებინებს შესასრულებელ დავალებას მოსწავლეს;

ვ) მოსწავლეებს წააკითხებს თითო-თითო მაგალითს;

ზ) თითოეული მაგალითი იწერება დაფაზე;

თ) მასწავლებელი აძლევს ბავშვებს დამხმარე კითხვებს და მითითებებს;

ი) მოსწავლეები ასრულებენ დასმულ ამოცანას;

კ) სწორი პასუხი იწერება დაფაზე;

ლ) როცა ამოიწურება სავარჯიშო, მოსწავლეები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ინსტრუქციას და დაფაზე დაწერილ შესრულებულ ამოცანას.

II ეტაპი

ა) მასწავლებელი მიუთითებს სავარჯიშოს;

ბ) მოსწავლე კითხულობს ინსტრუქციას;

გ) მოსწავლე იმეორებს ზეპირად შესრულებულ ამოცანას;

დ) მოსწავლე წაიკითხავს პირველ მაგალითს;

ე) მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, წერს მაგალითს დაფაზე;

ვ) მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს მოსწავლეებს დამხმარე კითხვებს და მიუთითებს;

ზ) მოსწავლეები ასრულებენ დასმულ ამოცანას;

თ) საჭიროების შემთხვევაში, სწორი პასუხი იწერება დაფაზე;

ი) როცა ამოიწურება სავარჯიშო, მოსწავლეები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ინსტრუქციას და ზეპირად გაიმეორებენ შესრულებულ ამოცანას.

III ეტაპი

ა) მასწავლებელი მიუთითებს სავარჯიშოს სახელმძღვანელოში ან სამუშაო რვეულში და ავალებს წერით შეასრულონ იგი;

ბ) მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა გაიგოს ინსტრუქცია;

გ) მოსწავლემ ყოველგვარი კომენტარისა და ნიმუშის განხილვის გარეშე უნდა შეასრულოს სამუშაო;

ჟ) მოსწავლემ უნდა შეძლოს სემესტრული შემაჯამებელი ტესტის შესრულება.

13. კომენტარები წერითი სამუშაოების სტრუქტურულ ელემენტებთან დაკავშირებით

ა) წერითი დავალება

წერითი სამუშაოების ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაწყებით სკოლაში. სწორედ აქ ეყრება საფუძველი წერითი მეტყველების კულტურის განვითარებას. ბავშვი ნელ-ნელა უნდა მივაჩვიოთ დამოუკიდებელ წერას, სხვადასხვა ამოცანის ნაწერში გადმოტანას.

სახელმძღვანელოს თითქმის ყოველ ტექსტს ახლავს წერითი საშინაო დავალება. წერით დავალებაში მოცემულია ისეთივე მრავალფეროვანი მასალა, როგორიც სხვადასხვა რუბრიკებსა და სავარჯიშოებში.

წერითი დავალებების თემატიკა:

- ენობრივ მასალასთან დაკავშირებული სავარჯიშოები (მაგ.: ამოწერე საკუთარი სახელები);
- პერსონაჟის მარტივი დახასიათება (როგორია?);
- მოთხრობის მოკლე შინაარსი;
- საკუთარი გამოცდილების წერილობით გადმოცემა;
- კითხვებზე პასუხი;
- კომუნიკატორული ტექსტი;
- ნაწარმოების მორალის დაფიქსირება (რა უნდა გვახსოვდეს);
- სურათის აღწერა;
- ეპიზოდის შინაარსი;
- სხვადასხვა შინაარსის (კითხვითი ან ძახილის) წინადადებების ტექსტიდან ამოწერა;
- მოცემული გამონათქვამებით (მაგ.: თვალი ზედ დარჩა, სულმა წასძლია) წინადადებების შედგენა.
- პერსონაჟის ქცევის შეფასება;
- ლექსის შინაარსის გადმოცემა;
- ტექსტში შეცდომების (და გამოტოვებული ასოების) გასწორება.

ბ) რვეული საკლასო სამუშაოებისათვის

აღსანიშნავია, რომ ყველა სასწავლო ტექსტს ახლავს საკლასო სამუშაო. საკლასო სამუშაოს რვეული დასტრუქტურებულია. თითოეული თემა დასათაურებულია. ყოველი თემა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ორი ნაწილი შედგება ენობრივი, ლექსიკური, კოგნიტური, ლიტერატურული, ორთოგრაფიული და სხვა ტიპის ამოცანებისაგან, აქვე შეხვდებით არეული ტექსტის დალაგებას. მესამე დავალება კი არის ბადეში საწერად განკუთვნილი, იგი იმავე ტიპის დავალებებს აერთიანებს, რასაც საშინაო წერითი დავალებები. გარდა ამისა, აქ შეხვდებით კარნახებსა და მოსმენილი ტექსტის შინაარსებს.

კარნახის ტექსტი უნდა იყოს მარტივი. არ არის აუცილებელი, იგი რაიმე დასრულებულ ამბავს შეიცავდეს. შესაბამისი ტექსტი მასწავლებელსაც შეუძლია შეადგინოს. სასურველია, გამოვიყენოთ ის სიტყვები, რომლებიც მოცემულია რუბრიკაში „დააკვირდი, როგორ იწერება“. წერაში გამოსაყენებელ სიტყვებს კი არაერთხელ უნდა მივუბრუნდეთ წინა გაკვეთილების განმავლობაში. კარნახის ტექსტების ვარიანტებს მასწავლებელს შევთავაზებთ მომდევნო ქვეთავში.

მოსმენილი ტექსტის შინაარსისათვის განკუთვნილი მასალა უნდა იყოს მარტივი, თუმცა იგი უნდა შეიცავდეს გარკვეულ, ძალიან მოკლე, ნათელ ამბავს. თუ მასწავლებელი ამისათვის იყენებს რაიმე იგავს, ან ეპიზოდს, სასურველია, მან იგი წინასწარ გაამარტივოს. წასაკითხი ტექსტის ვარიანტებსაც მასწავლებელს შევთავაზებთ მომდევნო ქვეთავში.

თავდაპირველად (I სემესტრის მანძილზე) მასწავლებელი პირველი ან მეორე წაკითხვის შემდეგ სვამს ფრონტალურ კითხვებს შინაარსის ზუსტი თანმიმდევრობის შესაბამისად, შემდეგ კიდევ ერთხელ წაუკითხავს და აწერინებს. ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, რომელიც შეიძლება უცხო არ არის, მაგრამ იშვიათად ხმარებულია, სასურველია დაფაზეც დავუწეროთ. გვახსოვდეს, ბავშვებს არ უნდა მივცეთ ის ამოცანა, რომელსაც ვერ დაძლევენ.

კითხვებიც, რომელზედაც პასუხის გაცემას ვთხოვთ მოსწავლეებს, როგორც წესი, ნასწავლი ტექსტიდანაა. ტექსტი უნდა იყოს წინა გაკვეთილებზე სათანადოდ დამუშავებული. მოსწავლეები შევაჩვიოთ სრული და გამართული პასუხის გაცემას.

მარტივ თავისუფალ თემას ძალიან იშვიათად ვაძლევთ, ფაქტობრივად, ეს თემა არ არის, იგი მხოლოდ დამოუკიდებელი, პირადი აზრის გამოხატვის ელემენტებს შეიცავს. მაგალითად, „რატომ მიყვარს შემოდგომა“.

მარტივი აღწერითი ტექსტის წერისთვისაც უნდა მოვამზადოთ მოსწავლე. მაგალითად, თუ გვინდა, რომ ერთი-ორი გაკვეთილის შემდეგ ვაწერინოთ რომელიმე ცხოველის, ვთქვათ, ძაღლის აღწერა, წინასწარ ზეპირად დავახასიათებინოთ კატა, აქ ჩვენ გამოვიყენებთ დამატებით კითხვებს: შინაური ცხოველია თუ გარეული? სად ცხოვრობს? რა უყვარს? რას ჭამს? როგორია გარეგნობით? როგორია ბუნებით? და ა.შ. წერის დროს, თავდაპირველად, შეიძლება დამხმარე კითხვები დაფაზე ჩამოიწეროს.

გვახსოვდეს, უპირველეს ყოვლისა, სწავლება, შემდეგ კი – იმის შემოწმება, როგორ ისწავლა.

გ) როგორ შევამოწმოთ წერითი სამუშაოები

შემოწმებისას ჩვენ შეგვიძლია ორი მეთოდი გამოვიყენოთ:

1. საკლასო მუშაობის პროცესში შემოწმება;
2. ინდივიდუალური შემოწმება რვეულის გასწორებით.

1. საკლასო მუშაობის პროცესში შემოწმებისას, მოსწავლეები კითხულობენ შესრულებულ დავალებას, სწორი პასუხები იწერება დაფაზე, ყველა მოსწავლე დაფიდან ამოწმებს სწორ პასუხს და ასწორებს შეცდომებს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უნდა იყოს მარტივი დავალება, რომელსაც მოსწავლე ზეპირადაც ხშირად აკეთებს გაკვეთილზე, ან ტექსტის დალაგება, ან გადახაზე ზედმეტი სიტყვა, ან შეართე ხაზებით, ან ქვეშ ხაზი გაუსვი და მისთანანი. ამასთან, მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს, როგორ შეასწორეს მოსწავლეებმა შეცდომები.

2. რვეულის გასწორებისას, მასწავლებელი შეასწორებს არა მხოლოდ ერთ თემას, კარნახს, მოსმენილის შინაარსს ან კომუნიკატორულ ტექსტს, არამედ შეაფასებს რამდენად კარგად მუშაობს მოსწავლე რვეულში, რამდენად კარგად შეასრულა ან შეასწორა კლასში დამუშავებული დავალებები. შესაბამის ცხრილში მოინიშნავს შენიშვნებს.

მასწავლებელი გარკვეული პერიოდულობით მოსწავლეს გააცნობს მისი მუშაობის ძლიერ მხარეებს, შეაქებს და მისცემს რჩევებს, რას მიაქციოს ყურდღება, როგორ იმუშაოს ამა თუ იმ ტიპის დავალებაზე. სწავლის სირთულეების შეთხვევაში მასწავლებელი შეიმუშავებს მოსწავლეზე ადაპტირებულ პროგრამას.

14. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა

ა) ზოგადი მიზნები და ამოცანები

დამოუკიდებლად საკითხავი მასალა შეტანილია მოსწავლის რვეულში. მისი მიზანია:

1. მოსწავლეში კითხვის მოტივაციის განვითარება;
2. დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
3. მიღწეული შედეგების დადგენა-შეფასება;

დამოუკიდებლად საკითხავ ბლოკში მოცემულია 16 თემა, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ უნდა ჩატარდეს. თემა მოიცავს ლიტერატურულ ტექსტს თავისი სამუშაო აპარატით და საკითხავ სავარჯიშოებს.

დამოუკიდებლად კითხვას დაეთმობა ერთი მთლიანი გაკვეთილი (იხ. მიზნებისა და შედეგების რუკა). დამოუკიდებლად საკითხავ მასალასთან დართული სამუშაოები ითვალისწინებს მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მასალას, სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა განიხილოს შესრულებული სამუშაო, ეს ხელს შეუწყობს მეტაკოგნიციის უმარტივესი და პირველადი ჩვევის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა გაასწოროს დამოუკიდებლად საკითხავი მასალის რვეულები, ერთი მხრივ, იგი შეამოწმებს ცოდნასა და სასკოლო უნარ-ჩვევებს, მეორე მხრივ – მეტაკოგნიციის უნარს. ამასთან, მასწავლებელმა ყოველი სამუშაო უნდა შეაფასოს განმავითარებელი შეფასებებით, აღრიცხოს შესაბამის ცხრილში.

მასწავლებელი გადააშლევინებს შესაბამის გვერდს და მისცემს ინსტრუქციას – ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და შეასრულონ ყველა დავალება. სასურველია, მასწავლებელი არ ჩაერიოს მუშაობის პროცესში. განსხვავებით I კლასის დამოუკიდებლად საკითხავი მასალის დავალებებისაგან, II კლასში შემოდის ახალი სამუშაოები, კერძოდ, დამოუკიდებელი წერის ელემენტები. ბოლო ათი წუთის განმავლობაში ხდება სამუშაოს შემოწმება. მოსწავლეები კითხულობენ პასუხებს. სწორი პასუხი იწერება დაფაზე. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – სწორი პასუხი გადაამოწმონ დაფაზე. თუ შეცდომა დაუშვეს, იგი გადახაზონ და შემოხაზონ სწორი პასუხი. რაც შეეხება საწერ დავალებას, მას წავაკითხებთ რამდენიმე მოსწავლეს და ბავშვებთან ერთად ვიმსჯელებთ, რამდენად სწორად და სრულფასოვნად შესრულდა იგი.

ბ) კითხვის უნარ-ჩვევის გასავითარებელი სავარჯიშოები

პედაგოგიური საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ კითხვის, წერისა და ანგარიშის აკადემიური უნარები ბაზისურია ყოველი მოსწავლისათვის და მის მთელ შემდგომ განათლებას ედება საფუძვლად. კითხვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება I-დან IV კლასის ჩათვლით მიმდინარეობს და V კლასისათვის უკვე მთლიანად ფორმირებული უნდა იყოს. საამისოდ საჭიროა მუდმივი ზრუნვა, კითხვის უნარის გამოყენებით მრავალფეროვანი აქტივობების სისტემატური განხორციელება.სწორედ ამ მიზანს ისახავს ჩვენ მიერ დაგეგმილი კითხვის უნარ-ჩვევის განმავითარებელი სავარჯიშოები. ეს სავარჯიშოები შეტანილია მოსწავლის რვეულში. სავარჯიშოები შესრულდება კლასში (იხილეთ მიზნებისა და შედეგების რუკა).

წარმოდგენილია შემდეგი ტიპის სავარჯიშოები:

- გაბმულ ნაწერში სიტყვათა შორის საზღვრების პოვნა, წინადადებების გამოცალკევება.

მიზანი: სიტყვის მთლიანობითი ხატის ჩუმად ამოკითხვაში გავარჯიშება. წინადადებების საზღვრებზე ყურადღების გამახვილება.

სავარჯიშოს აღწერა: სიტყვები დაბეჭდილია გაბმით, ინტერვალების გარეშე, სტრიქონში.

აქტივობა: მოსწავლემ სიტყვები და წინადადებები ერთმანეთისაგან უნდა გამოაცალკევოს ხაზების ჩამოსმით.

ინსტრუქცია: „წაიკითხე ყურადღებით. ყოველი სიტყვის შემდეგ ჩამოუსვი ერთი ხაზი, ყოველი წინადადების შემდეგ – ორი ხაზი.“

ამ ტიპის სავარჯიშოს პირველად შესრულების დროს სასურველია, რომ მასწავლებელმა შეამზადოს მოსწავლეები სავარჯიშოს შესასრულებლად. ამ მიზნით მასწავლებელი სათანადო გვერდზე გადააშლევინებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად საკითხავ ტექსტს, შემდეგ მიაქცევინებს მოსწავლეებს ყურადღებას ნაწერის თავისებურებაზე, სადაც სტრიქონში არც ერთი გამოტოვებული ადგილი არ არის. ამის შემდეგ შეიძლება გავიმეოროთ ინსტრუქცია და დავავალოთ ბავშვებს დაშვებული შეცდომების გასწორება. როდესაც ყველა მოსწავლე შეასრულებს სამუშაოს, წავაკითხოთ მათ სიტყვები და წინადადებები. სასურველია, რომ წინადადებები რამდენიმე მოსწავლეს წავაკითხოთ, ხოლო კლასს დავავალოთ, ყურადღებით შეამოწმონ, როგორ შეასრულეს თანაკლასელებმა სამუშაო, ხომ არ გამორჩათ რომელიმე სიტყვა.

- ორი ტექსტის შედარება

მიზანი: სიტყვისა და წინადადებების ჩუმად კითხვაში ვარჯიში, კითხვის პროცესში ყურადღების კონცენტრაციის უნარის გავარჯიშება.

სავარჯიშოს აღწერა: ხაზის მარცხნივ და მარჯვნივ დაბეჭდილია მცირე ზომის ამბავი. ტექსტში გამოყენებულია სინონიმები ანუ მოცემულია განსხვავებული სიტყვები.

აქტივობა: მოსწავლემ უნდა შეადაროს ხაზის მარცხნივ და მარჯვნივ დაბეჭდილი ტექსტი და იპოვოს განსხვავებული სიტყვები და ქვეშ ხაზი გაუსვას.

ინსტრუქცია: შეადარე ჩარჩოში მოცემული ტექსტები ერთმანეთს. ქვეშ ხაზი გაუსვი განსხვავებულ სიტყვებს.

ამ სავარჯიშოს პირველად შესრულების დროს სასურველია, რომ მასწავლებელმა ინსტრუქცია სიტყვიერად მიაწოდოს ბავშვებს. უჩვენოს, რომ მარცხნივ და მარჯვნივ წერია ერთი და იგივე ტექსტი, ოღონდ ზოგიერთი სიტყვა განსხვავებულია. შესაძლებელია მოსწავლეებმა ერთი განსხვავებული სიტყვა მასწავლებელთან ერთად მოიძიონ. ამით უკეთ გაიგებენ სავარჯიშოს შესრულების პრინციპს.

სავარჯიშოს შესრულების შემდეგ კლასში გაარჩევენ. მასწავლებელი დასვამს კითხვას, თუ რომელი სიტყვები იპოვეს ბავშვებმა, შეაქებს მათ, სთხოვს კლასს, შეამოწმონ, ყველამ იპოვა თუ არა დაკარგული სიტყვები და კიდევ ერთხელ გაიმეორებს გამორჩენილ სიტყვებს. სპეციალურად მიმართავს მოსწავლეებს, რომ თუ ვინმეს გამორჩა რომელიმე სიტყვა, გაასწოროს შეცდომა, იპოვოს გამორჩენილი სიტყვა.

- გამოტოვებული ასოების ჩასმა ტექსტის შემადგენელ სიტყვებში

მიზანი: აზრიანი კითხვის უნარის განვითარება, მცდარად კითხვის ჩვევის დაძლევა.

სავარჯიშოს აღწერა: პატარა, საინტერესო და სახალისო ამბავში ზოგიერთ სიტყვაში გამოტოვებულია ასოები.

აქტივობა: მოსწავლემ ჩუმად უნდა წაიკითხოს ამბავი და ჩაწეროს სიტყვებში გამოტოვებული ასოები.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ ასოების ჩაწერას, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა წააკითხოს მოსწავლეებს ეს ტექსტი. მისასალმებელია გაგრძელებებით კითხვა.

- კროსვორდი

მიზანი: სიტყვის ანალიზ-სინთეზზე ვარჯიში.

სანამ მოსწავლეებს კროსვორდის ამოხსნას შევთავაზებდეთ, დაგვჭირდება მაგალითის მოყვანა. დავხაზოთ დაფაზე მარტივი კროსვორდი: ვერტიკალურად განვალაგოთ ხუთი უჯრა. პირველ უჯრას გავუკეთოთ ორი ჰორიზონტალური უჯრა მარჯვნიდან. ვერტიკალურ უჯრებში ჩავწეროთ სიტყვა ჩანთა. დაფაზე ჩამოვწეროთ სიტყვები: ჩაი, ნუში, თითი. შემდეგ მივმართოთ ბავშვებს: „შეეხედოთ სიგრძეზე ჩამწკრივებულ უჯრებს. რა სიტყვა წერია ამ უჯრებში? ახლა შეეხედოთ ცარიელ უჯრებს (ვუჩვენოთ გარკვევით პირველი ჰორიზონტალური მწკრივი უჯრებისა). დაფაზე ჩამოწერილი სიტყვებიდან რომელი სიტყვა შეიძლება ჩავწეროთ ამ უჯრებში? შეხედეთ, თითო უჯრაში მხოლოდ ერთი ასოს ჩაწერა შეიძლება. როგორ ფიქრობთ, რა ასოზე უნდა იწყებოდეს ეს სიტყვა? რამდენი ასო უნდა იყოს ამ სიტყვაში?“

ასე დავამუშავებთ, ბავშვებთან ერთად, დანარჩენ ორ ჰორიზონტალურ მწკრივსაც. მხოლოდ ამის შემდეგ დავავალებთ მოსწავლეებს კროსვორდის დამოუკიდებლად შესავსებას.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის საკითხავი სავარჯიშოები განსაკუთრებით საჭიროა იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც აქვთ პრობლემები კითხვის უნარ-ჩვევებში: ჯერ კიდევ ვერ კითხულობენ მთლიანი სიტყვებით, უჭირთ წინადადების აზრის გაგება, კითხულობენ ასოების გამოტოვებით, „გამოცნობით“.

გ) დამოუკიდებლად საკითხავი ლიტერატურული ტექსტები

რვეულში შეტანილია 16 დამოუკიდებლად საკითხავი სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ლიტერატურული ტექსტი. თითოეულ მათგანს ახლავს მრავალფეროვანი სამუშაო, რომლებსაც სხვადასხვა სასწავლო მიზანი აქვს. ესენია:

ა) ტექსტის გაგების სავარჯიშოები, სადაც ყურადღება გამახვილებულია როგორც შინაარსზე, ასევე დეტალებზე, პერსონაჟის ქცევასა და მთავარ სათქმელზე.

ბ) ლექსიკური სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტის გაგებას ემსახურება;

გ) ეპიზოდის, პერსონაჟისა და მისი ქცევის შეფასება;

დ) ჟანრის ამოცნობა;

ე) არეული ტექსტის დალაგება;

ვ) შეცდომების გასწორება;

ზ) ანალოგიით კომუნიკატორული ტექსტის შედგენა;

გ) მოქმედების თანმიმდევრობის დაფიქსირება და აღდგენა;

დ)კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემა.

ვფიქრობთ, ის მრავალფეროვანი მასალა, რომელიც რვეულშია შეტანილი, ერთი მხრივ, საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს, მეორე მხრივ, მოსწავლეს განუვითარებს არაერთ საგანმანათლებლო და სასკოლო სოციალურ უნარ-ჩვევვას. აქედან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ რვეული სასწავლო პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

დამოუკიდებელი საკითხავი მასალის შეფასება.

15. დამატებითი მასალა

1. დამოუკიდებლად საკითხავი მასალის შეფასების ცხრილები:

დავალება № 1

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით დახურული ტესტის შევსება;			
2	ტექსტის მთავარი სათქმელის გაგება;			
3	გადაბმულ ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) მარტივი შინაარსის, კომპოზიციის და ლექსიკურად ადვილი ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

დავალება № 2

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	პერსონაჟის გარეგნობისათვის დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირება;			
2	შინაარსობრივ კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა.			
3	ტექსტის გააზრების საფუძველზე შესაბამისი პასუხის მოძებნა;			
4	რამდენიმე ლექსიკური ერთეულით განსხვავებული ტექსტების შედარება და განსხვავების აღმოჩენა.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) ახალი ლექსიკური ერთეულების კონტექსტის მიხედვით გაგება
ბ) შედარებით რთული შინაარსის, კომპოზიციის და ახალი ლექსიკური ერთეულების შემცველი ტექსტის გაგება და გააზრება;
გ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

დავალება №3

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის სტრუქტურის აღქმა			
2	კომუნიკატორული ტექსტის (წერილის) გამოყოფა ძირითადი ტექსტისგან;			
3	მოთხრობის გაგება;			
4	კომუნიკატორულ ტექსტის სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა და დაფიქსირება.			
5	გადაბმულ ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთისგან გამიჯვნა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) სტრუქტურულად რთული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, გაგება და გააზრება;
ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

დავალება №4

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის ფაბულაში დეტალების დაფიქსირება;			
2	მითითებული ეპიზოდის მოძებნა და გადმოწერა;			
3	მოთხრობის გაგება			
4	კროსვორდის შევსება.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) დეტალებით დატვირთული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კროსვორდის შევსება.

დავალება №5

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	პერსონაჟთა ქცევის დაფიქსირება			
2	პერსონაჟთა საქციელის შეფასება;			
3	მოთხრობის გაგება			
4	მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა			
5	გადაბმულ ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთისგან გამიჯვნა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის დანახვა და მათი დახასიათება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

დავალება №6

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	კომუნიკატორული ტექსტის (წერილის) ფუნქციისა და სტრუქტურის გაგება			
2	წერილის შედგენა			
3	კროსვორდის შევსება			

მოსწავლემ შეძლო:

ა) წერილის სტრუქტურას დაფიქსირება და მოცემული ტექსტის ანალოგიით წერილის დამოუკიდებლად შედგენა;
ბ) ყურადღების კონცენტრირება და კროსვორდის შევსება;

დავალება № 7

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის გაგებასთან დაკავშირებული დახურული ტესტი			
2	კოგნიტური სავარჯიშო (ღია ტესტი)			
3	რამდენიმე ლექსიკური ერთეულით განსხვავებული ტექსტების შედარება და განსხვავების აღმოჩენა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) კონტექსტუალურ დეტალებზე ორიენტირებული შინაარსისი დამოუკიდებლად გაგება;
ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

დავალება №8

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	კონტექსტის გათვალისწინებით ღია ტესტის შესრულება			
2	ამოცანის შესაბამისი ტექსტის ამოწერა ტექსტიდან			
3	გამოტოვებული ასოების ჩასმა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) კომპოზიციურად რთული ტექსტის გაგება, კონტექსტის გათვალისწინებით დეფორმირებული ტექსტის გასწორება

ბ) კონტექსტის გათვალისწინებით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა და გამოტოვებული ასოს ჩასმა.

დავალება№9

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	შინაარსის გაგების დახურული ტესტის შესრულება			
2	ზღაპრის ნიშანთა დადგენა და შესაბამისი ტექსტის ამოწერა			
3	გადაბმულ ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთისგან გამიჯვნა			
მოსწავლემ შეძლო: ა) პერსონაჟთა ქცევის მოტივაციისა და ხასიათების განსაზღვრა; ბ) ზღაპრის სტუქტურის დადგენა; გ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.				

დავალება №10

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული დახურული ტესტის შესრულება			
2	არეული ტექსტის დალაგება			
3	რამდენიმე ლექსიკური ერთეულით განსხვავებული ტექსტების შედარება და განსხვავების აღმოჩენა			
მოსწავლემ შეძლო: ა) კომპოზიციურად რთული ტექსტის გაგება, შინაარსის თანმიმდევრობის დადგენა; ბ) ტექსტის ჟანრის განსაზღვრა; გ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.				

დავალება №11

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული დახურული ტესტის შესრულება			
2	ლექსიკური სავარჯიშოს შესრულება			
3	კროსვორდის შევსება;			
მოსწავლემ შეძლო: ა)ლექსიკურად მრავალფეროვანი ტექსტის დამუშავება; გ) ყურადღების კონცენტრირება და კროსვორდის შევსება.				

დავალება.№12

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	დახურული და ღია ტესტის შესრულება			
2	ტექსტთან დაკავშირებული კოგნიტური ტესტის შესრულება.			
მოსწავლემ შეძლო: ა)შედარებით რთული მხატვრული ტექსტის გაგება და მასში მოცემული კოგნიტური ამოცანის შესრულება.				

დავალება.№13

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	დახურული და ღია ტესტის შესრულება			
2	ყურადღება გაამახვილა სათაურსა და ავტორზე			
3	გადაბმულ ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.			
მოსწავლემ შეძლო: ა)შედარებით რთული იგავური ტექსტის გაგება, ავტორისა და სათაურის მნიშვნელობის დადგენა. ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.				

დავალება.№14

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	დახურული ტესტის შესრულება;			
2	რამდენიმე ლექსიკური ერთეულით განსხვავებული ტექსტების შედარება და განსხვავების აღმოჩენა;			
მოსწავლემ შეძლო: ა) შედარებით რთული ფაბულის მქონე ტექსტის გაგება; ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.				

დავალება№15

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	დახურული ტესტის შესრულება			
2	გადაბმულ ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.			
მოსწავლემ შეძლო: ა) შედარებით რთული მხატვრული ტექსტის გაგება; ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.				

დავალება№16

მოსწავლის გვარი, სახელი			**კლასი**	**თარიღი**
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	დახურული ტესტის შესრულება			
2	ტექსტის მიხედვით ლაბირინთის გავლა;			
მოსწავლემ შეძლო: ა) დეტალიზირებული რთული ფაბულის მხატვრული ტექსტის გაგება; ბ) ყურადღების კონცენტრაციის უნარის გამოვლენა.				

2. **დამატებითი მასალა წერითი სამუშაოებისათვის**

ა) მასალა კარნახისათვის:

ჩვენი მურა

ჩვენი მურა კავკასიური ნაგაზია. ის ჯერ პატარა ლეკვია. მურა ძალიან ჭკვიანია. იცის უცხოსა და შინაურის გარჩევა. ჩემს ლეკვს ყველაზე ძალიან მე ვუყვარვარ.

სათევზაოდ

ირაკლი და ვახო დილაადრიან სათევზაოდ წავიდნენ. ტბაზე ნისლი დახვდათ. ირგვლივ არაფერი ჩანდა. მზე რომ ამოვიდა, ნისლი აიკრიფა და გამოჩნდა ტბა. ბიჭებმა ანკესები ჩაუშვეს წყალში.

ციგაობა

ზამთრის ქათქათა დილა გათენდა. ქუჩა ჟრიამულით აივსო. დაეშვებიან ბავშვები ციგებით ფერ-დობზე და ყიჟინით მიქრიან ხრამისაკენ, ბოლოს ჩაეშვებიან და ამოკოტრიალდებიან თოვლში.

დიდედა მარიამი

დიდედა მარიამი პატარა ლუკას მეგობარია. დიდედა მარიამი ბიჭს ჯერ წიგნს წაუკითხავს, მერე სკვერში მიდიან. დიდედა სკამზე ჩამოჯდება, ლუკა კი ქვიშაში კოშკებს აშენებს.

მეგობრები

სანდრო და ნიკუშა მეგობრები არიან. ნიკუშა ჭადრაკს კარგად თამაშობს. ის ყოველთვის უგებს სანდროს. სანდრო კი ფეხბურთზე დადის და სჯობნის მეგობარს. ისინი არასოდეს ჩხუბობენ.

პატარა ნაძვის ამბავი

ერთ უღრან ტყეში პატარა ნაძვი ცხოვრობდა. მას უამრავი და-ძმა ჰყავდა. ისინი მწვანედ ხასხასებდნენ და დათოვლილ ტყეს ამშვენებდნენ. ერთ დღეს მოვიდნენ ადამიანები, მოეწონათ პატარა ნაძვი, მაგრამ მოსაჭრელად დაენანათ, ამიტომ ფესვებიანად ამოიღეს, წაიღეს და ეზოში დარგეს. ნაძვმა თავიდან ძალიან მოიწყინა, მაგრამ როდესაც ლამაზი სათამაშოებით მორთეს, ძალიან გამხიარულდა.

ახალი ბინადარი

ზოოპარკში უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი. უკვე ორი კვირაა, რაც პატარა სპილო ჩამოიყვანეს, მაგრამ ღია ვოლიერში დღეს პირველად გამოუშვეს. პატარა სპილოს ჭკვიანი თვალები, გრძელი ხორთუმი და დიდი ყურები აქვს. ვოლიერის რიკულებზე აბრა არის გაკრული, რომელზედაც წერია: „ჩვენი ახალი ბინადარი ბაჩო...“

არწივი

არწივს ფრინველთა მეფედ თვლიან. იგი დიდი და ძლიერი ფრინველია. არწივი ძალიან მაღლა დაფრინავს, მაგრამ თავის მსხვერპლს შორიდანაც კარგად ხედავს. მას შეუძლია თავისი ძლიერი კლანჭებით ნადავლი ცაში აიტაცოს და თავის ბარტყებს წაუღოს ბუდეში. არწივის ნაშიერს მართვე ჰქვია.

სამზადისი

არდადეგები დაიწყო. სალომე და დათუნა სოფელში მიდიან. დედამ ტანსაცმელი ჩაულაგა, ნინო მამიდა საგზალს ამზადებს. სალომე კი თოჯინებს, სათამაშო ჭურჭელს და ავეჯს აწყობს პატარა ყუთში. დათუნა უკვე სკოლაში დადის და არდადეგებზე წასაკითხ წიგნებს არჩევს. ძალიან უხარიათ სოფელში წასვლა.

ბ) მასალა წაკითხულის შინაარსისათვის

ჩვენი კნუტი

დედამ ნინიკოს დაბადების დღეზე პატარა კნუტი აჩუქა. კნუტს მწვანე თვალები, პატარა ყურები და ფუმფულა კუდი ჰქონდა. ნინიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გოგონას თოჯინის საწოლიც კი არ დაენანა, შიგ პატარა ჭრელი ბალიში ჩაუდო, ვარდისფერი საბანი ჩააფინა და კნუტი ჩააწვინა.

— ეს სათამაშო ხომ არ არის, ცოცხალი არსებაა, მაგ საწოლში არ გაჩერდება — უთხრა დედამ ნინიკოს. ცოტა ხანში კნუტი მხიარულად დაცუნცულებდა სახლში და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა ყველაფერს. ბოლოს, სავარძელში მოიკალათა და ჩაეძინა.

ამაყი ყვავილი

ნაკადულის პირას ლამაზი წითელი ყვავილი გაიშალა. ყველას მოსწონდა ყვავილი, ეფერებოდნენ, აქებდნენ. ნაკადული ხომ თავს ევლებოდა, წყალს ასმევდა, უმღეროდა, აგრილებდა.

ერთხელ, ყვავილის სილამაზით თავბრუდახვეულმა ნაკადულმა შხეფები შეაწუწა თავის რჩეულს. — მომწყდი თავიდან, როგორ გაბედე ჩემი ლამაზი კაბის ასე გაწუწვაო! — გაუბრაზდა ყვავილი ნაკადულს. ეწყინა ნაკადულს, გული დაწყდა, ჩარაკრაკდა ქვებში და დაიკარგა.

შუადღემ მოატანა, მზემ მაღლა აიწია, დააცხუნა და დააცხუნა. დასცხა ყვავილსაც, ახლა კი ინატრა თავისი ცელქი მეგობარი და ინანა ასე უსამართლოდ რომ აწყენინა.

თავის გაწირვა მტრისათვის

ყველამ იცოდა, რომ ლაშა და მამუკა მტრები იყვნენ. ის კი აღარავის ახსოვდა, რისთვის გადაემტერნენ ერთმანეთს. დღე ისე არ გავიდოდა, რომ არ ეჩხუბათ. ერთხელაც მდინარის პირას წაეკიდნენ ერთმანეთს, იმდენი იძიძგილავეს და იჭიდავეს, სანამ ლაშას ფეხი არ დაუცდა და ადიდებულ წყალში

არ გადავარდა. ბავშვები შეშინდნენ, ვერავინ ბედავდა წყალში შეცურვას. მხოლოდ ნაპირ-ნაპირ მიყვებოდნენ მდინარეს და ყვიროდნენ:

— უშველეთ, უშველეთ, ცურვა არ იცის, უშველეთ!

მოულოდნელად მამუკა გადახტა წყალში. თავგამეტებით მიაპობდა ტალღებს. აი, დაეწია კიდეც, ჩაავლო ხელი და ნაპირისკენ გამოცურა. გაჭირდა გამოსვლა, მდინარემ ერთი ორჯერ უკან ჩაითრია ბავშვები. ბოლოს, მაინც გამოაღწიეს ნაპირზე.

ონავარი ტყუპები

კოტე და ზურა ტყუპები არიან. ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მასწავლებლებს ერევათ კიდეც. ხან კოტეს მაგივრად ზურას სჯიან, ხან კი ზურას მაგივრად კოტეს აქებენ. ტყუპები ზარმაცი და ონავარი ბავშვები არიან. ეზარებათ საშინაო დავალების შესრულება და თუ მაინც შეასრულეს, ყველაფერს უკუღმა წერენ. ამიტომ ხან ერთია დასჯილი, ხან — მეორე, ხან კი ორივე ერთად. ერთი რამ კი ყველას აოცებს, ზურას და კოტეს ერთმანეთის გარეშე ვერსად ნახავთ. ერთი რომ ავად გახდება, მეორეც მიუწვება ხოლმე გვერდით, ერთი თუ დაეცა, მეორეც რაღაც ხიფათს უნდა გადაეყაროს. უერთმანეთოდ არც ჭამენ, არც სვამენ და არც სძინავთ. მართლაც რომ ტყუპები არიან.

გ. მიზნობრივ-დიდაქტიკური თამაშები

მიზნობრივი თამაშები, როგორც I კლასის სახელმძღვანელოს მეთოდიკაში ითქვა, ერთი მხრივ, სახალისოს ხდის სწავლის პროცესს, მეორე მხრივ, ავითარებს სოციალურ ჩვევებსა და სხვადასხვა ტიპის უნარს. იგი საუკეთესო საშუალებაა ინდივიდის საზოგადოებაში ადაპტაციისათვის, უვითარებს მოსწავლეს გუნდურობის განცდას და მუშაობის ჩვევებს: ინსტრუქციის მოსმენა, გააზრება და შესრულება, შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების დაცვა, სხვისი მოსმენა და ა.შ. თამაშ-ვარჯიშები შესანიშნავი საშუალებაა სხვადასხვა უნარების ჩვევაში გასამტკიცებლად, მეხსიერების, ყურადღების, აზროვნების გასავარჯიშებლად.

პირველ სემესტრში ავტორთა ჯგუფი მასწავლებლებს სთავაზობს სამი ტიპის თამაშს. მიზნობრივი თამაშის ჩატარება ორ კვირაში ერთხელ იგეგმება;

I ტიპის თამაში გამიზნულია ყურადღების გავარჯიშებაზე;

II ტიპის თამაში მთელისა და ნაწილის ვერბალურ ურთიერთმიმართებაზეა აგებული (ასოციაციების გამოყენებით);

III ემსახურება ენობრივ ამოცანას, კერძოდ, მსგავსი სიტყვების ამოცნობის უნარის ჩვევაში გადატანას.

თამაში №1

კლასი გაიყოფა ორ გუნდად, თითოეულში არ უნდა იყოს ათ მოსწავლეზე მეტი. შემდეგ თითოეულ მოსწავლეს მივანიჭებთ თავის რიცხვით ნომერს, ვეტყვით: „შენი რიცხვია ორი, შენი — ხუთი“ და ა.შ. შემდეგ ვუხსნით: ერთი იწყებს თამაშს და ამბობს: — „გზაზე მიდის (მაგალითად) ხუთი კაცი.“ უპასუხებს ის, ვისი რიცხვიცაა ხუთი და ეუბნება: „რათა ხუთი?“ მთქმელი ეკითხება: „მაშ, რამდენი?“ იგივე მოსწავლე, ვისაც რიცხვი ხუთი ჰქონდა მინიჭებული, ასახელებს ნებისმიერ რიცხვს ერთიდან ათამდე (თუ თამაშში ათი მოსწავლეა ჩართული), მაგალითად, ორს. აქ მას გამოეხმიანება მოსწავლე, ვისი რიცხვიც ორია და ეკითხება: „რათა ორი?“ მთქმელი, ვინც ორიანი დაასახელა, ეკითხება: „მაშ, რამდენი?“, ორიანის მფლობელი კი ასახელებს ახალ რიცხვს, მაგალითად, შვიდს და ასე გრძელდება. თამაშიდან გავარდება ის, ვისაც ან დასახელება დაავიწყდება ან რიცხვი აერევა.

ამჯერად ინსტრუქციის მხოლოდ სიტყვიერი ახსნა არ იქნება საკმარისი. სასურველია, ჯერ მასწავლებლის დახმარებით ჩატარდეს ე.წ. „რეპეტიცია“, შემდეგ კი მასწავლებელი გამოაცხადებს: „ახლა კი ვიწყებთ თამაშს, ვისაც დაავიწყდება თავის რიცხვზე გამოხმაურება, ე.ი. პასუხის გაცემა, დატოვებს გუნდს“.

ითამაშებს ჯერ ერთი გუნდი, შემდეგ — მეორე. თამაში გათვლილი იქნება დროზე, ვთქვათ 7-7 წუთი. რომელ გუნდშიც მეტი მოთამაშე დარჩება, ის იქნება გამარჯვებული.

თამაში №2

კომპლექტდება ჯგუფები (4-5 მოსწავლე). თამაშში ერთდროულად ერთვება ორ-ორი გუნდი. გუნდელს ეძლევა ფურცელი, რომელზედაც წერია რაღაც საგნის სახელი, საიდუმლო სიტყვა, მაგალითად — ლომი. ამ ფურცელზე ბავშვებმა უნდა ჩამოწერონ ლომთან დაკავშირებული სიტყვები და ფრაზები, მაგალითად: აქვს ფაფარი, მტაცებელია, მეფეა, გარეული ცხოველია და ა.შ.

ერთი გუნდი კითხულობს ამ სიტყვებსა და ფრაზებს, მეორე გუნდმა კი უნდა გამოიცნოს, რა საიდუმლო სიტყვა წერია ფურცელზე. შემდეგ მეორე გუნდი კითხულობს სიტყვებსა და ფრაზებს, პირველი კი გამოიცნობს საიდუმლო სიტყვას.

თამაშის დაწყებამდე სასურველია ნიმუშის განხილვა. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს: „მე ჩავიფიქრე რაღაც სიტყვა, ახლა დაფაზე ჩამოვწერ დამხმარე სიტყვებს, თქვენ კი გამოიცანით რა ჩავიფიქრე“. შემდეგ წერს დაფაზე: „შინაურია, აქვს ბრჭყალები, ფუმფულა კუდი, პატარა ყურები და ულვაშები, თაგვების მტერია“. პასუხი უნდა იყოს: „კატა“.

მხოლოდ ასეთი ნიმუშის განხილვის შემდეგ ეძლევათ ბავშვებს ანალოგიური დავალება. მოსწავლეებს ე.წ. „საიდუმლო სიტყვად“ უნდა მიეცეთ ისეთი სიტყვა, რომელსაც ბავშვი კარგად იცნობს და რომელიც გამოკვეთილი ნიშნების მქონე საგანს აღნიშნავს. მაგ.: ლომი, სპილო, აქლემი, ჟირაფი.

გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც სიტყვებსა და ფრაზებსაც სწორად შეარჩევს და მოწინააღმდეგე გუნდის საიდუმლო სიტყვასაც გამოიცნობს. შეიძლება თამაში ფრედაც დამთავრდეს.

თამაში №3

კლასი იყოფა გუნდებად (4-5 მოსწავლე). გუნდები თამაშობენ ერთდროულად. თითოეულ გუნდს ეძლევა რვა ბარათი. თითოეულზე წერია თითო სიტყვა: აქედან ექვსი სიტყვა ადგენს მსგავსი სიტყვების სამ წყვილს, ხოლო ორი სიტყვა კი ზედმეტია. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება — ერთად, ერთმანეთის გვერდით დააწყონ მსგავსი სიტყვები, ცალკე გადადონ ორი ზედმეტი სიტყვა, რომელიც ვერ ადგენს მსგავს სიტყვასთან წყვილს, ანუ რომელსაც ვერ მოუძებნეს მსგავსი სიტყვა. შემდეგ თითოეული გუნდი, რომელმაც უკვე შეასრულა დავალება, აწევს ხელს და კითხულობს დავალებას. თუ სწორად არის დავალება შესრულებული, მას ეძლევა სამი ქულა, თუ ერთი წყვილია არასწორი, გუნდს აკლდება ერთი ქულა და ა.შ.

ლექსიკური ვარიანტები თამაშებისათვის:

ა) პატარა, პაწია, ლამაზი, მშვენიერი, ღუმელი, ქურა, საქმიანი, მართალი. ბ) უჭკუო, სულელი, ძლიერი, ღონიერი, სიო, ნიავი, ბეჯითი, ბოროტი.

გ) ფიფქი, ფანტელი, ჭკვიანი, გონიერი, ღარიბი, ღატაკი, ზარმაცი, კეთილი.

თამაში №4

მოსწავლეები იყოფიან გუნდებად. თითოეულ გუნდში უნდა იყოს ოთხ-ოთხი მოსწავლე. ყოველ გუნდს ეძლევა ბარათები. თითოეულ ბარათზე წერია ფრაზა. გუნდებს ეძლევათ დავალება, გადაინაწილონ წელიწადის დროები. ერთი მოსწავლე გაზაფხულია, მეორე — ზაფხული, მესამე — შემოდგომა, მეოთხე — ზამთარი. უნდა ამოარჩიონ ბარათები წელიწადის დროების მიხედვით. როდესაც მზად იქნებიან, აწევენ ხელს. თითოეული მოსწავლე წაიკითხავს თავის ბარათებს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ყველაზე ადრე, უშეცდომოდ დააჯგუფებს ბარათებს წელიწადის დროების მიხედვით.

მასალა ბარათებისათვის: ფრინველები ბრუნდებიან. ამოდის ყვავილები. ამწვანდა ველ-მინდვრები. მზე აცხუნებს.

ქალაქებიდან აგარაკებზე მიდიან. იწყება ყველაზე დიდი არდადეგები. ფრინველები მიფრინავენ.

იმართება რთველი. ხეებს ფოთლები სცვივა.

დგება შობა-ახალი წელი. ცივი ქარი უბერავს. თოვლი მოდის.

წელიწადის თითოეულ დროზე სამ-სამი ბარათია. სულ იქნება თორმეტი ბარათი. ეს ბარათები გუნდებს არეულად ეძლევათ. მათ კი ევალებათ დაჯგუფება და გადანაწილება.

თამაში №5

კლასი იყოფა სამ-ოთხ კაციან გუნდებად. გუნდებს ურიგდებათ ბარათები, რომლებზედაც წერია სიტყვები. სულ თერთმეტი სიტყვა. უნდა შედგეს საპირისპირო სიტყვების წყვილები. ერთი სიტყვა კი ზედმეტია. თითოეულ ბარათზე წერია თითო სიტყვა. მოსწავლეებმა საპირისპირო სიტყვები ერთმანეთის გვერდით უნდა დაალაგონ, ხოლო ზედმეტი სიტყვა გვერდზე გადადონ. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ყველაზე ადრე და უშეცდომოდ დააჯგუფებს ბარათებს.

მასალა ბარათებისათვის:

კეთილი, ბოროტი, მაღალი, დაბალი, პატარა, დიდი, სიცილი, ტირილი, მწარე, ტკბილი, ტყუილი.

თამაში №6

მოსწავლეები იყოფიან გუნდებად. თითოეულ გუნდში უნდა იყოს ოთხი-ხუთი მოსწავლე. ყოველ გუნდს ეძლევა ბარათები.

ბარათებზე წერია ცალ-ცალკე ეპიზოდებად დაშლილი ტექსტი. ბარათები არეულად მიეცემათ ბავშვებს. მათ ევალებათ აზრის თანმიმდევრობით ტექსტის დალაგება. გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც ყველაზე ადრე და სწორად დაალაგებს ტექსტს. ბოლოს, წაიკითხავენ ტექსტს, დაასათაურებენ და იმსჯელებენ მისი შინაარსისა და იდეის შესახებ. მოსწავლეები შეიძლება წავახალისოთ დისკუსიაში მონაწილეობისა და ზეპირმეტყველების გამოც.

მასალა ბარათებისათვის:

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხელმწიფე.

. . . . . .

ხელმწიფეს ჰყავდა ათი ვაჟი. ათივენი ძლიერები და კარგი ვაჟკაცები იყვნენ.

. . . . . .

ვაჟები ხშირად დაობდნენ და კამათობდნენ — არა მე უფრო ძლიერი ვარ, არა — მეო.

. . . . . .

ერთხელ, ხელმწიფემ ვაჟებს ისრების კონა მისცა და უთხრა: აბა, რომელი გადატეხავთ ამ ისრების კონასო?

. . . . . .

ვერც ერთმა მათგანმა ისრების კონა ვერ გადატეხა. მაშინ მეფემ დაშალა კონა. ვაჟებმა ადვილად გადაამსხვრიეს თითო-თითო ისარი.

. . . . . .

მაშინ მეფემ უთხრა ვაჟებს: — შეწყვიტეთ კამათი და ქიშპობა. ხომ ხედავთ, შეკრული კონა ვერც ერთმა ვერ გადატეხა. თუ ერთად იქნებით, ვერავინ მოგერევათ.

IV მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები

გაკვეთილების დაგეგმვა სასურველია გაკვეთილის გეგმის სქემის შედგენით დავიწყოთ.

ქვემოთ მოგვყავს გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა. ამ სქემაში მოცემულია ყველა ის საკითხი, რაზედაც უნდა აიგოს გაკვეთილი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს არის ჩონჩხი, რომელსაც უნდა შევასხათ ხორცი.

გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა

მასწავლებელი	
გაკვეთილის ჩატარების თარიღი	
გაკვეთლის თემა	
სწავლების საფეხური და კლასი	
საგაკვეთილო დრო	
მოსწავლეთა რაოდენობა	
ინდ.სასწ. გეგმის არსებობა	
სასწავლო მიზნები	
ესგ-თი განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ ინდიკატორები	
გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები	
გაკვეთილის თანამიმდევრობა/ აქტივობები	
დავალება, დავალების შეფასება	
სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები	
შეჯამება	
შეფასება	
თვითშეფასება	

გაკვეთილის კონსტრუირების მეორე საყრდენი ბურჯია გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და მასალის წარდგენის ფაზები. ეს ფაზებია:

გამოწვევის ფაზა

I – მოტივაციის შექმნა

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საჭიროა კონკრეტულ თემასთან მიმართებით მასწავლებელმა შეარჩიოს შესაბამისი აქტივობა და მოიფიქროს, რა დამატებითი რესურსები შეიძლება გამოიყენოს. ამასთან ერთად, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, მის მიერ შერჩეული აქტივობები და დამატებითი რესურსები რამდენად შეუწყობს ხელს გარკვეული გამოცდილების საფუძველზე ახალი ინტერესების გაჩენასა და მოტივაციის ამაღლებას; რამდენად ემსახურება იგი მასალის უკეთ გააზრებას.

II – საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებლის მიერ განსაზღვრული მიზნისა და მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების მიზნისა და ამოცანის ნათლად განსაზღვრა და მოსწავლეებისათვის განმარტება.

სიღრმისეული წვდომის ფაზა

I – ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება წინასწარ შერჩეული მეთოდებითა და აქტივობებით.

II – მოსწავლეების ორგანიზება სამუშაოს დამოუკიდებლად შესასრულებლად, ზუსტად განსაზღვრული აქტივობებითა და ნათელი, ცხადი ინსტრუქციით.

რეფლექსიის ფაზა

I – შესრულებული სამუშაოს შემოწმება და გასწორება წინასწარ დაგეგმილი მეთოდებითა და სამუშაოს ზუსტი ორგანიზებით.

II – საშინაო დავალების შემოწმება. შესრულებული სამუშაოს შეჯამება, შეფასება და თვითშეფასება.

შეჯამების ფაზა

შესრულებული სამუშაოების განმტკიცება – შეჯამება. საშინაო დავალების მიცემა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი მაინც გაკვეთილის მიზანზეა დამოკიდებული. ზოგიერთი გაკვეთილი შეიძლება იყოს ერთი დიდი ექსპერიმენტი, ან პროექტი. მაგალითად, ზღაპრის გათამაშება, თოჯინების თეატრის წარმოდგენა, ან კულინარიის დღე. მთავარი ის არის, რომ გაკვეთილის თემა აჩენს იდეას, მაგრამ იდეის განხორციელება უნდა დავიწყოთ სტანდარტთან მიმართებით; სტანდარტიდან გამომდინარე, დავსახოთ მიზნები, მიზნებიდან გამომდინარე, განვსაზღვროთ შედეგები, შედეგების მისაღწევად დავსახოთ სტრატეგიები, შევარჩიოთ მეთოდები და მეთოდების შესაბამისად განვახორციელოთ აქტივობები, აქტივობების შესაბამისად განვსაზღვროთ შეფასების კრიტერიუმები. მაგრამ ვიდრე ყოველივე ამას შევაფასებდეთ, უნდა განვსაზღვროთ ყველაზე მთავარი – რა ტიპის სწავლება უფრო წაადგება მოსწავლეს. თუ ჩვენ გვინდა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარება, ამისათვის ყველაზე მისაღებია კონსტრუქტივისტური მეთოდი, როდესაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს თავად ააგოს ცოდნის ლოგიკური ჯაჭვი, აღმოაჩინოს, დაადგინოს, განაზოგადოს და დასკვნა გამოიტანოს. ამგვარი გაკვეთილების ჩატარება ალბათ ძნელია, მით უმეტეს, დაწყებით კლასებში, სადაც სასწავლო რუტინას დიდი დრო მიაქვს. მაგრამ თუ გვინდა სწავლა სახალისო და შედეგიანი იყოს, სწორედ კონსტრუქტივისტური მეთოდი უნდა იყოს წარმმართველი.

2. **გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუში**

საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა	
მასწავლებელი	. . . .	
საფეხური, კლასი	დაწყებითი საფეხური, მე-2 კლასი	
მოსწავლეები	. . . მოსწავლე, სსმ მოსწავლე . . .	
თემა	„ერთი გემი“	
აქტუალობა	მგრადი განვითარების პრინციპებთან ინტეგრირება; გარემოს დანაგვიანების პრობლემა.	
სტანდარტთან შესაბამისობა	8.1; 9.1; 9.2; 10.3; 12.1; 13,2; 13,1; 14,1; 14.2; 14.6	
სასწავლო მიზანი	გამოავლინოს ტექსტზე მუშაობის უნარი; შეძლოს თანამშრომლობა; გაიაზროს პრობლემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.	
მოსალოდნელი შედეგები	შეძლო ტექსტის შინაარსის გაგება და დეტალების დაფიქსირება; შეძლო პერსონაჟთა ქცევის შეფასება და მთავარი იდეის გაგება; შეძლო ტექსტში დასმული პრობლემის საკუთარ გამოცდილებასთან და საზოგადოებრივ პრობლემასთან დაკავშირება.	

მოსწავლის წინარე ცოდნა	იცის ტექსტზე მუშაობა; შეუძლია თავისი ასაკისათვის შესაფერისი ნაწარმოების მთავარი სათქმელის გაგება; იცის აზრის გამოხატვა; იცის წერილობით მარტივი ამოცანის გადაჭრა. აქვს საწყისი სოციალური ცნობიერება;	
სასწავლო რესურსი	*სასწავლი ტექსტი* „ერთი გემი“. წესებისა *შფასების ცხრილები*: საუბრის წესები, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის შეფასება. *სახატავი მასალა:* ფორმატი და ფერადი ფანქრები; სლაიდშოუ გარემოს დაბინძურებაზე; *პლაკატის შესაქმნელი რესურსები:* ფორმატები; ფერადი მარკერები; ფოტოები, წებო. სოციალური ქსელი. ინტერნეტრესურსი: *გარემოს დანაგვიანება* /www.youtube.com/watch?v=x7aMEbeb63Q მულტიპლიკაცია – გარემოს დანაგვიანება www.youtube.com/watch?v=XYsbDdunG5g.	

გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი №1		
	2.მთავარ პრობლემასთან დაკავშირებული გამოწვევის ფაზა; ა) ჩუმად წაიკითხეთ ტექსტი; ბ) უპასუხეთ შეკითხვებს: • მოგეწონათ თუ არა მოთხრობა? • რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი? ბ)თქვენც ხომ არ გქონიათ მსგავსი პრობლემა;	10წთ	ორგანიზება - საკლასო
	3.სიღრმისეული წვდომის ფაზა; ვაჩვენოთ ბავშვებს წინასწარ მომზადებული ვიდეომასალა გარემოს დაბინძურების შესახებ; დავფიქრდეთ, ვისაუბროთ, რა ზიანი მოაქვს ნაგვის დაყრას? ჩამოვწეროთ დაფაზე. • იწვევს მავნე ბაქტერიების გავრცელებას; • იწვევს მღრღნელებისა და ტარაკნების გამრავლებას, რომლებსაც დაავადებები გადააქვს. • იწამლება ჰაერი; • ქარის დროს ნაგავი ვრცელდება სხვა ტერიტორიებზეც; • ნაგავი შეიძლება შეჭამონ ცხოველებმა და ფრინველებმა და ამით მოიწამლონ (ქიმიური პროდუქტებისა და პლასტიკური შეფუთვებისგან)	10	
	4.შექმენით გამაფრთხილებელი პლაკატები დახატეთ ნახატი და მიუწერეთ: გაფრთხილება, დარიგება, მოწოდება.	10	ორგანიზება - ჯგუფური (3-4 ჯგუფი)
	5.ჯუფების ნამუშევრის წარდგენა-პრეზენტაცია. რჩევების გათვალისწინება და პლაკატის სრულყოფა		ინდივიდუალური
	6. მასწავლებელი აკრეფს პლაკატებს, გაკვეთილის შემდეგ გადაუღებს ფოტოებს და განათავსებს სოციალურ ქსელში ან სკოლის საიტზე, რუბრიკით „ვსწავლობთ და ვასწავლით ჩვენს თანატოლებს“.	2	
	2. მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში №1 და №2	5	
შეფასება	განმავითარებელი: ა) ჯგუფური მუშაობა; ბ) პრეზენტაცია	5	შესაბამისი შეფასების ცხრილების გამოყენება.
დავალება	ზეპირი: „ერთი გემი“ თხრობით;	2	
უკუკავშირი	შესაბამისი კითხვარის შევსება		მოსწავლეებს ურიგდებათ შესაბამისი ცხრილები
	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი №2		
გაკვეთილის მსვლელობა/ საკლასო მენეჯმენტი	1. **ტექსტის დამუშავება** ა)მოთხრობის მოყოლა ბ) წიგნში მოცემული მასალის დამშავება • კითხვების დამუშავება; • ტექსტში ეპიზოდის მოძებნა;	5	

	2. **შემოქმედებითი მუშაობა(ხატვა)** შენ როგორ გემს გააკეთებდი?	10	
	3. **მუშაობა მოკლე შინაარსზე** • კითხვების გამოყენებით მოკლე შინაარსის თხრობა • რით განსხვავდება ერთი ამბავი მეორისგან; რა გამოვტოვეთ მოკლე შინაარსის თხრობისას (მოსწავლეებს ევალებათ დაიმახსოვრონ ან მოინიშნონ ფურცელზე, რომელი დეტალები გამოტოვეს შინაარსის შემოკლებისას და დაასახელონ)	5	
	4 **საკლასო წერა #3:** დაწერე, როგორ გააკეთეს ბავშვებმა საერთო გემი	10	
	5. სოციალური თამაში: "ვთამაშობთ და ვსწავლობთ" წიგნში მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად „მეგობრობის პლაკატის" შექმნა		
საშინაო დავალების მიცემა	**დასაწერად:** „ჩემი ეზო"; ორი-სამი წინადადებით გადმოეცი, როგორია შენი ეზო.		
შეფასება	**ა) ზეპირმეტყველება** მოკლე და ვრცელი შინაარსის მოყოლა **ბ) წერა** (საკლასო სამუშაო #3)		ა)ინდივიდუალურად ბ)ინდივიდუალურად რვეულების გასწორების შემდეგ

რეფლექსია

ყურადღება მივაქციოთ:

ა) რამდენად ავლენს კლასი განსახილველი მასალისადმი ინტერესს;

ბ) თუ ერთ-ორ მოსწავლეს გაუჭიდა სამუშაო პროცესში ჩართვა, რა მოვიმოქმედეთ პრობლემის დასაძლევად.

ბ) რამდენად ორგანიზებულია სასწავლო პროცესი;

გ) რას ვაქცევ ყურადღებას და რას ვაფასებ:

1. სოციალური ცნობიერების განვითარებას;
2. ჯგუფური მუშაობის სწორად წარმართვას;
3. ინტერნეტ რესურსის აქტიურად და მიზანმიმართულად გამოყენებას;
4. პრეზენტაციას;
5. ვრცელსა და მოკლე შინაარსს
6. წერით საშინაო დავალებას, რომელიც გასწორდება

№	რუბრიკა „სასაუბროს" წესები:
1	ხელის აწევით გამოხატეთ აზრის გამოთქმის სურვილი; არ წამოიძახოთ ადგილიდან
2	მასწავლებლისგან დაელოდეთ საუბრის დაწყების ნებართვას;
3	ყურადღებით მოვუსმინეთ ერთმანეთს;
4	არ ჩაერიოთ სხვის საუბარში და არ შეაწყვეტინოთ კლასელს ლაპარაკი;
5	თუ არ ეთანხმებით მოსაუბრეს, აზრი გამოთქვით ისე, რომ არ მიაყენოთ შეურაცხყოფა.

ჯგუფური მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	ჯგუფის ყველა წევრს ეძლევა თავისი აზრის გამოთქმის და მუშაობაში ჩართვის საშუალება;			
2	ჯგუფმა შეძლო სამუშაოს გადანაწილება და თითოეული წევრის შესაძლებლობის გამოყენება;			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

სამუშაოს წარდგენის (პრეზენტაციის) შეფასება

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	მოსწავლეს გააზრებული აქვს საპრეზენტაციო მასალა;			
2	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საპრეზენტაციო თემის მიმართ;			
3	პრეზენტაციისას იყენებს თვალსაჩინოებას;			
4	მასალის წარდგენისას მეტყველებს ნელა, შესაბამისი ინტონაციისა და პაუზების დაცვით.			
5	მოსწავლე იყენებს ნაცნობ ლექსიკას და მართლმეტყველების საბაზო ნორმებს.			

3. სცენარები

შემოგთავაზებთ რამდენიმე სცენარს, შევეცდებით სხვადასვა ტიპის გაკვეთილი წარმოგიდგინოთ.

„სიტყვის კაცი" – 2 სთ.

მიზანი:

1. **კითხვის უნარის გავარჯიშება** – მოსწვლემ შეძლოს მხატვრული ტექსტის წაკითხვა და გაგება.
2. **ლექსიკური მარაგის გამდიდრება** – შეძლოს სიტყვისთვის შესაფერისი განმარტების შერჩევა; შეძლოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
3. შეძლოს **ტექსტზე მუშაობა** – აღწერითი ტექსტისა და ანდაზის დაფიქსირება-გამოყოფა, კითხ-ვებზე პასუხის გაცემა;
4. შეძლოს თანამშრომლობა – ჯგუფური მუშაობა;

5. შეძლოს **კარნახით ტექსტის ჩაწერა**.

შედეგი:

- მოსწავლემ წაიკითხა და გაიგო მხატვრული ტექსტი.
- შეძლო ტექსტის ცოდნის გამოყენება: მოძებნა და წაიკითხა აღწერითი ტექსტი, დააფიქსირა და შინაარსის გათვალისწინებით ამოიცნო ანდაზა. უპასუხა კითხვებს. შეძლო ტექსტის ცალკეული ეპიზოდის ილუსტრირება.
- გაიმდიდრა ლექსიკური მარაგი და ყურადღება გაამახვილა სიტყვის მნიშვნელობაზე, დაინახა განმარტების საჭიროება, ლექსიკონის მნიშვნელობა.
- გამოავლინა თანამშრომლობის უნარი და დისციპლინა;
- მოახერხა ყურადღების კონცენტრაცია, გამოავლინა წერის უნარი და შეძლო კარნახით ტექსტის ჩაწერა.

სტანდარტთან შესაბამისობა: 1, 2, 6, 8, 12, 15

II-ქართ.დაწყ.(I).1. ***მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.***

- მიზნის შესაბამისად გადმოსცემს კონკრეტულ ინფორმაციას;
- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას ნაცნობ თემაზე;
- მონაწილეობს ინტერაქციაში ნაცნობ თემატიკაზე;

II ქართ. დაწყ. (I). 2. ***მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.***

- სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესანტს (ვინ ლაპარაკობს), ადრესატს (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემას;

II ქართ.დაწყ.(I).6. ***მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.***

- თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს;
- დამარცვლით კითხულობს უცნობ სიტყვებს;
- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას;
- სათანადო ინტონაციით გამოხატავს წინადადების მოდალობას (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი წინადადებების);
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან;
- პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს;
- კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით.

II ქართ.დაწყ.(I).8.***მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.***

- ირჩევს პერსონაჟს / რომელიმე მოქმედებას / მოქმედების ადგილს და ქმნის ნახატს საკუთარი ინტერპრეტაციით, ფანტაზიით;

II ქართ.დაწყ.(I).12. ***მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.***

- ბრუნდება წაკითხულს კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად, ტექსტის უკეთ გასააზრებლად;
- სვამს კითხვებს ტექსტში მოცემული ინფორმაციის დასაზუსტებლად;
- იყენებს სათაურს ტექსტის შესაძლო შინაარსის ამოსაცნობად;
- უცნობი სიტყვების მნიშვნლობის ამოსაცნობად აკვირდება კონტექსტს, იყენებს ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს, ან მიმართავს მასწავლებელს/მშობელს.

II ქართ.დაწყ.(I).15. ***მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.*** კითხულობს საკუთარ ნაწერს და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს;

- ამოიწერს მასწავლებლის მიერ ჩასწორებულ ფორმებს ან მთლიან წინადადებას;

სცენარი №1

გამოწვევის ფაზა 15 წთ.

მოტივაცია

აქტივობა – გონებრივი იერიში.

ორგანიზება – ინდივიდუალური და საკლასო.

ძირითადი ამოცანის განსაზღვრა – მოთხრობას, რომელსაც დღეს შევისწავლით, ჰქვია „სიტყვის კაცი“.

– ვიდრე ამ მოთხრობას შევისწავლიდეთ, დავფიქრდეთ – რა არის სიტყვა. ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, ჩვენ ერთი სახალისო დავალება უნდა შევასრულოთ. თქვენ გაქვთ ფურცლები, რომელზედაც რაღაც წერია. ყურადღებით წაიკითხეთ და გადახაზეთ ყველა ის ნაწერი, რომელიც არ არის სიტყვა. ამისთვის გაქვთ 5 წუთი.

ბარათებზე ჩამოწერილია სიტყვები: ბარგი, კარადა, აბრგა, კურდღელი, კაბადა, ბუდღლი, მგელი, დარაგი, კალათა, მაგიდა, დურკა, ლათკი, დრგუ, კლდე, ქოთანი და ა. შ.

– ახლა ყურადღება მიაპყარით დაფას. მასზე მოცემულია ორი სვეტი, ერთს აწერია სიტყვა, მეორეს – არ არის სიტყვა. თითომ თითო სიტყვა მიკარნახოს, მითხრას რომელ გრაფაში ჩავწერო და მე ჩამოვწერ.

თუ მოსწავლე წაიკითხავს ბგერათა კომპლექსს, რომელიც სიტყვა არ არის, მასწავლებელი სთხოვს დაზუსტებას, სად ჩაწეროს იგი. ამით დააფიქრებს შეცდომაზე და მისცემს გასწორების საშუალებას,

– ახლა ის ნაწერები ამომიკითხეთ და მიკარნახეთ, რომელიც არ არის სიტყვა.

– ჩვენ გვაქვს ორი ჩამონათვალი. ვინ იტყვის, რა განსხვავებაა მათ შორის? მოსწავლეები უნდა მივახვედროთ: სიტყვები რაღაცას ნიშნავს, სხვადასხვა საგნების სახელებია, მეორე სვეტში მოცემული ნაწერები კი არაფერი არ არის, არაფერს არ ნიშნავს.

– ე.ი. სიტყვას აქვს თავისი მნიშვნელობა, თავისი შინაარსი. ქართული ენა ძალიან მდიდარია,ჩვენ ძალიან ბევრი სიტყვა გვაქვს

– ახლა დავფიქრდეთ, რატომ უნდა ერქვას ამ მოთხრობას სიტყვის კაცი?

- ბევრი სიტყვები იცის;
- ყველა სიტყვა იცის;
- ბევრი ენა იცის;
- თავის სიტყვას ყოველთვის ასრულებს და ა.შ.

სიღრმისეული წვდომის ფაზა 15 წთ.

ა) *ძირითადი მასალის ლექსიკური დამუშავება 10 წთ.*

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და ამუშავებს მას ლექსიკურად.

– ყურადღებით მომისმინეთ და დაიმახსოვრეთ, თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ იცით. – ფურცელზე ჩამოწერეთ, ვის რომელი სიტყვის მნიშვნელობა გაინტერესებთ.

მასწავლებელი ჯერ განმარტავს იმ სიტყვებს, რომლებიც მოსწავლეებს აინტერესებთ. ჯერ მოსწავლეები შეეცდებიან განმარტონ სიტყვები, შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ დააზუსტებს მათ მნიშვნელობას.შემდეგ იგი სვამს კითხვებს იმ სიტყვების შესახებ („რას ნიშნავს“), რომლებიც შესაძლოა ბავშვებმა არ იცოდნენ – ჯერ მოსწავლეებს აძლევს პასუხის გაცემის საშუალებას, შემდეგ თავად ერთვება.

ბ) *დამოუკიდებელი მუშაობა*

– ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები ჯერ მთლიანად, შემდეგ – გაგრძელებებით, პოულობენ ტექსტში და კითხულობენ, როგორ არის აღწერილი სიტყვის კაცი (რუბრიკა მოძებნე და წაიკითხე).

ასრულებს №2 დავალებას საკლასო სამუშაოს რვეულიდან, ადგენს რომელია ანდაზა.

რეფლექსიისა და შეჯამების ფაზა 15 წთ.

– ვინ არიან ამ მოთხრობის მოქმედი პირები?

– სიტყვის კაცი და ზაქარია.

– რა აქვს და რა ჰყავს სიტყვის კაცს?

– სკივრი და უცხო ფრინველი.

– რა უწყვია სკივრში?

– სიტყვები.

— დავაკვირდეთ, რა წერია პირველ ჩარჩოში?
— ეს საინტერესოა.
— ეს ჩვენი სახელმძღვანელოს სიახლეა. ამ ჩარჩოში საინტერესო ამბები იქნება მოთავსებული. რა სათაური აქვს ჩარჩოში მოთავსებულ ტექსტს?
— სიტყვის კაცის სკივრი.
— წავიკითხოთ, რა წერია სიტყვის კაცის სკივრის შესახებ. ახლა ვნახოთ შემდეგი ჩარჩო. რა აწერია მას?
— სიტყვის სკივრი.
— წაიკითხეთ, რომელი სიტყვებია გამოყოფილი სიტყვის სკივრში?
— ნაზუქი, კვერი, წამსვე.
— მოძებნეთ და წაიკითხეთ, სად შეგვხვდა ჩვენ ეს სიტყვები?
— (წაიკითხონ შესაბამისი წინადადება).
— რა ყოფილა ნაზუქი, კვერი? რას ნიშნავს სიტყვა წამსვე?
— რა წავიკითხეთ ჩვენ დღეს?
— მოთხრობა „სიტყვის კაცი“.
— რა შევიტყვეთ სიტყვის შესახებ?
— სიტყვას აქვს მნიშვნელობა.
— სად უნდა მოვძებნოთ ჩვენთვის უცნობი სიტყვის განმარტება?
— სიტყვის სკივრში.
შემდეგ მოსწავლეები შეასრულებენ სამუშაოებს საკლასო რვეულიდან.

საშინაო დავალება
— სახლში წაიკითხეთ მოთხრობა „სიტყვის კაცი“, ყურადღება გაამახვილეთ სიტყვის სკივრზე. დახატეთ სიტყვის კაცი.

საშინაო დავალებას მაწავლებელი ასახავს ინტერნეტ ჟურნალში ან გაიზერის ჯგუფში, თუ ამის საშუალება არ არის დავალება იწერება დაფაზე და მოსწავლეები იწერენ რვეულში.
სცენარი №2
გამოწვევის ფაზა
გაკვეთილი დავიწყოთ სიტყვის კაცის ნახატების განხილვით.
მოსწავლეებმა წარმოადგინონ მათ მიერ დახატული სიტყვის კაცი. რამდენიმე მოსწავლემ აღწეროს თავისი ნახატი და იმსჯელოს, რატომ დახატა ასე (5 წუთი).
— სიტყვის კაცის მოსვლის შემდეგ რა შეიცვალა ზაქარიასთვის.
— ყველა დავიწყებული სიტყვა გაახსენდა.
— ახლა გარშემო მიმოვიხედოთ, დავათვალიეროთ საგნები, ნახატები, პლაკატები, აქვს თუ არა ყველაფერს თავისი სახელი, იცით თუ არა ყველა მათგანი?
დაასახელეთ თითო სიტყვა, რომელსაც გარემოში მყოფი საგნები მოგაგონებენ.
— ჩვენ უკვე ვიცით, რა არის სიტყვა. რაში ვიყენებთ სიტყვებს? ერთმანეთს ველაპარაკებით.
— ყურადღება მივაქციოთ დაფას. რა წერია?
— წერია: დაიმსახურა კარგი გიორგი დღეს შეფასება. ეს სიტყვებია თუ არა?
— სიტყვებია.
— თუ გავაგებინებთ ამ სიტყვებით მოსაუბრეს, რისი თქმა გვინდა?
— ვერა; ძნელად; შეიძლება მიხვდეს.
— ახლა ასე დავწეროთ: „დღეს გიორგიმ კარგი შეფასება დაიმსახურა“. რა შევადგინე ამ სიტყვებით?
— წინადადება.
სიღრმისეული წვდომის ფაზა
სამუშაო საკლასო რვეულიდან №1.
ტექსტის თანმხლები კითხვების დამუშავება.
— ახლა წავიკითხოთ ტექსტის ქვემოთ დაწერილი კითხვები და თქვენ გაეცით პასუხები, მხოლოდ არაერთი სიტყვით, არამედ წინადადებით.
ჩასატარებელი სამუშაო — „ვთამაშობთ და ვსწავლობთ„

– ახლა დააკვირდით სავარჯიშოს (მიუთითებს წიგნში ადგილს); გვეკითხებიან – რას რა ჰქვია?

რეფლექსია

მასწავლებელი ჩამოაყალიბებს მოსწავლეების ჯგუფებს (თითო ჯგუფში არა უმეტეს ოთხი მოსწავლისა). ერთ ჯგუფს გადასცემს ბარათზე დაწერილ სიტყვას. სიტყვა უნდა აღნიშნავდეს კონკრეტულ საგანს. მაგალითად: მაგიდა, კარადა, ხე და ა. შ. პირველ ჯგუფს აძლევს დავალებას, რაც შეიძლება ზუსტად აღწერონ ეს საგანი. მეორე ჯგუფს ეძლევა დავალება, გამოიცნოს ჩაფიქრებული სიტყვა. თამაშში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მოსწავლემ. ამგვარი მუშაობა მოითხოვს ორგანიზმებისა და ჩატარების წესებს. გამარჯვებისთვის საჭიროა არა მარტო სიტყვის კარგად ახსნა ან მეორე ჯგუფის სიტყვის გამოცნობა, არამედ ორგანიზებულობა და წესების დაცვა.

ვიდრე ბავშვები სიტყვებს წერენ, მასწავლებელი მაგიდაზე დგამს პატარა მუყაოს სკივრს. (რომლის ყიდვაც შეიძლება და დამზადებაც) და ბავშვებს ეუბნება, რომ ეს მათი კლასის სიტყვის სკივრი იქნება, რომ ისინი ახალ სიტყვებს შეინახავენ და ზოგჯერ კიდეც გამოიყენემენ მათ.

წერითი უნარების გავარჯიშება – კარნახი

შეჯამება და დავალების მიცემა – 3 წთ.

შევისწავლეთ მოთხრობა „სიტყვის კაცი“;

ვიფიქრეთ და მივხვდით რა არის სიტყვა;

სიტყვებისგან ავაწყეთ წინადადება;

გავიგეთ, რა არის სიტყვის სკივრი და განვმარტეთ სიტყვები;

ვივარჯიშეთ წერაში.

მასწავლებელი ამ ჩამონაწერით არიგებს ფურცლებს და სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ შესაბამისიცხრილი (ცხრილის ნიმუში მოცემულია შეფასების ცხრილებში).

საშინაო დავალება

მოთხრობა თხრობით; დასაწერად – სახელმძღვანელოს წერითი დავალება.

(მასწავლებელი იყენებს ინტერნეტ კავშირებს მშობლებთან).

„ლომი და თაგვი“ – 2 სთ.

მიზანი:

ა) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება – მოსწავლემ შეძლოს საუბარი ცხოველებზე. გარეული ცხოველები, მტაცებელი ცხოველები. შეძლოს პერსონაჟების დახასიათება და მთავარი აზრის გამოყოფა. შეძლოს მსჯელობა ანდაზის მიმართებაზე იგავთან.

ბ) **კითხვის უნარის გავარჯიშება** – შეძლოს იგავური ტექსტის წაკითხვა და გაგება.

გ) **ლექსიკის გამდიდრებაზე ზრუნვა**– შეძლოს ჩამოთვლილი სიტყვების მსგავსი (სინონიმი) სიტყვების მოძებნა და დაწყვილება

დ) **კოგნიტური უნარის გავარჯიშება** – შეძლოს სიდიდეების შედარება, მათი შეფარდებითი დიდ-პატარაობის დაფიქსირება. შეძლოს მსჯელობა პრობლემურ თემაზე და დასკვნის გამოტანა;

ე) **შეძლოს თანამშრომლობა** და ჯგუფში მუშაობა.

ე) **მართლმეტყველებისა და მართლწერის ელემენტების შესწავლა** – შეძლოს მყარი სიტყვათშეთანხმებების სწორად გამოყენება, კითხვებზე პასუხის გაცემა.

შედეგი:

- მოსწავლემ გამოავლინა კარგი სამეტყველო აქტივობა შეძლო საუბარი ცხოველებზე. გარეული ცხოველები, მტაცებელი ცხოველები. შეძლო პერსონაჟების დახასიათება და მთავარი აზრის გამოყოფა. შეძლო მსჯელობა ანდაზის მიმართებაზე იგავთან. შეძლო მსჯელობა პრობლემურ თემაზე და დასკვნის გამოტანა;
- კითხვის უნარის გავარჯიშება – შეძლო იგავური ტექსტის წაკითხვა და გაგება.
- შეძლო ლექსიკური სავარჯიშოს შესრულება: ჩამოთვლილი სიტყვების მსგავსი დაწყვილება.
- შეძლო სიდიდეების შედარება, მათი შეფარდებითი დიდ-პატარაობის დაფიქსირება.
- შეძლო თანამშრომლობა და ჯგუფში მუშაობა.
- შეძლოს მყარი სიტყვათშეთანხმებების სწორად გამოყენება

სტანდარტთან მიმართება:

II ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- მოსწავლე მიზნის შესაბამისად გადმოსცემს კონკრეტულ ინფორმაციას;
- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას ნაცნობ თემაზე;
- მონაწილეობს ინტერაქციაში ნაცნობ თემატიკაზე;
- გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს / მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან.

II ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათ გარეგნობას, ნიშან-თვისებებს);
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას სათანადო ადგილიდან.

II ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან (იხსენებს მსგავს შემთხვევას, პერსონაჟს უდარებს თავის მეგობარს და სხვ.);

II ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- ამბის გადმოცემის, ნაცნობი საგნის თვალსაჩინო ნიშნებით აღწერა-დახასიათების დროს იყენებს მართებულ სიტყვა-ფორმებსა და მარტივ წინადადებებს;

II ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

II ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამო-კიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხ-ების შეფასება.

- აფასებს მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის საქციელს;
- გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი ან პერსო-ნაჟისადმი;

II ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- იყენებს სათაურსა და ილუსტრაციას ტექსტის შესაძლო შინაარსის ამოსაცნობად;

სცენარი №3 (1 სთ.)

გამოწვევის ფაზა: 10წთ.

დავყოთ კლასი ოთხ ჯგუფად და დავურიგოთ თითო ფურცელი. I-II ჯგუფი პატარა თაგუნას მეგობრები არიან; III-IV ჯგუფი – ლომის. მოილაპარაკეთ ერთმანეთში და თითოეულმა დაწეროს ფურცელზე სიტყვები, როგორია თაგვი (I-II ჯგუფის წევრებმა) და როგორია ლომი (III-IV ჯგუფის წევრებმა).

ამის შემდეგ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი კითხულობს ჯგუფის მიერ ჩამოწერილ სიტყვებს. დაფა გაყოფილია ორ გრაფად, ერთს აწერია ლომი, მეორეს – თაგვი.

დაფაზე ჩამოიწერება:

ლომი: ძლიერი, საშიში, მტაცებელი, ღონიერი, დაუნდობელი, დიდი, უშიშარი.

თაგვი: პატარა, სუსტი, მშიშარა, უსუსური, უძლური.

– რა აქვთ მათ საერთო, გარდა იმისა, რომ ცხოველები არიან?

– არაფერი.

– შეუძლია თუ არა სუსტ თაგვს ძლიერი ლომის დახმარება?

– არა.

– ახლა ვნახოთ, ჩვენს მოთხრობაში რა მოხდება. გადაშალეთ წიგნები და ნახეთ, რა არის მოთხ-რობის სათაური.

– „ლომი და თაგვი“.

– ვინ იქნებიან ამ მოთხრობის მოქმედი პირები?

– ლომი და თაგვი

სიღრმისეული წვდომის ფაზა:

ძირითადი მასალის დამუშავება

ტექსტის წაკითხვა; ჯერ მოსწავლეები კითხულობენ (რადგან ტექსტი იოლია) მთლიანადაც და გაგრძელებებითაც. შემდეგ, გამთლიანების მიზნით, კიდევ ერთხელ წაიკითხავს მასწავლებელი.

დამოუკიდებელი სამუშაო

ახლა ვიმუშაოთ ჯგუფებად(4-5 მოსწ.): თქვენს ფურცლებზე ჩამოწერეთ, რა მოხდა, როგორ შეაფასებთ ლომისა და თაგვის საქციელს; რამ გააერთიანა ძლიერი ლომი და სუსტი თაგვი. (5 წუთი)

დამოუკიდებელი სამუშაოს შემოწმება.

შემდეგ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი კითხულობს თავის ჩანაწერს. შეჯამება და შეჯერებული აზრების დაფიქსირება დაფაზე:

დიდმა ლომმა სულგრძელობა გამოიჩინა პატარა თაგვის მიმართ. პატარა თაგვი დაეხმარა ლომს.

ისინი გააერთიანა სიკეთემ, გაჭირვებამ, მეგობრობამ (5 წუთი).

საკლასო რვეულში მუშაობა (№1):

1 – წავიკითხოთ ანდაზები. რომელი ანდაზა შეეფერება მოთხრობას?

– მეგობრობაში დიდპატარაობა არ არის.

– რატომ გავიხსენეთ ეს ანდაზა ამ მოთხრობასთან დაკავშირებით?

– დიდი ლომი დაეხმარა გასაჭირში ჩავარდნილ თაგვს. როდესაც ლომი გასაჭირში ჩავარდა, პატარა თაგვი დაეხმარა დიდ ლომს. მეგობრობაში დიდპატარაობა არ არის.

ვარჯიში მართლწერისა და მართლმეტყველების ერთ-ერთ საკითხზე.

მუშაობა გამონათქვამზე – მადლობა გადაუხადა.

დავურიგოთ ფურცლები, რომლებზედაც ერთი და იგივე გამონათქვამები ორგვარად წერია, ახლა მოიმარჯვეთ კალმები და გადახაზეთ ის ფორმები, რომელიც, ფიქრობთ, რომ არასწორია.

ამის შემდეგ დავადგინოთ სწორი ფორმა. სწორი ფორმები წითელი მარკერით ჩამოვწეროთ თეთრ ფორმატზე, რომელიც კედელზეა გაკრული. (ასეთი ფორმატი სასურველია არსებობდეს კლასში, სადაც დავწერთ მნიშვნელოვან ენობრივ მასალას, ან მოსწავლეების მიერ ხშირად დაშვებული შეცდომების სწორ ვერსიებს, გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება იგი შეიცვალოს ისევ ცარიელი ფორმატით და შეივსოს ახალი მასალით).

– მოვძებნოთ ტექსტში და წავიკითხოთ ის ეპიზოდი, რომელშიც ეს ფრაზაა გამოყენებული. შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს უსახელებს წინადადებას, რომელიც მან უნდა დაასრულოს.

დათუნიამ ზღარბს თაფლი უწილადა. ზღარბმა დათვს ...

ნიკა სანდროს დაეხმარა ბოსტნის დაბარვაში. სანდრომ ნიკას ...

დიდედამ მაიკოს კაბა შეუკერა. მაიკომ დიდედას ...

სოსო მეზობელს ბარგის ზიდვაში მიეხმარა. მეზობელმა სოსოს ...

რეფლექსია

საკლასო წერა №3

მოსწავლის რვეული, დავალება №3

შეჯამება

ნასწავლი მასალის შეფასება და თვითშეფასება. რა ვისწავლეთ დღეს?

– წავიკითხეთ ახალი მოთხრობა.

– გავიგეთ, რომ ხშირად ღონეს მოხერხებულობა და გონიერება სჯობია.

– შევისწავლეთ ახალი ანდაზა.

– დავიმახსოვრეთ სწორი გამონათქვამები.

– შევასრულეთ წერითი დავალება.

საშინაო დავალება – „ლომი და თაგვი“ თხრობით.

სცენარი №4 (1 სთ.)

გამოწვევის ფაზა

მოთხრობაში ხომ მართლა ლომი და თაგვი არ იგულისხმება. ამგვარი გამოცდილება შეიძლება თქვენც გქონდეთ; ვისაუბროთ თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, როცა თქვენზე უფროსს და ძლიერს დახმარებიხართ; ან პირიქით, როცა თქვენ დაგხმარებიათ თქვენზე პატარა და სუსტი.

ტექსტზე მუშაობა

ა) წინა გაკვეთილზე დამუშავებული მასალის გახსენება – ტექსტის მოყოლა.

ბ) კითხვების დამუშავება – კითხვებზე პასუხის გაცემა.

სახალისო კოგნიტური თამაშები:

– მოდით ვითამაშოთ „დიდია თუ პატარა“. მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს აძლევს კითხვებს:

– ფეხბურთის ბურთია დიდი თუ ჩოგბურთის ბურთი.

– ჩოგბურთის ბურთია დიდი თუ „პინგპონგის“ ბურთი?

– ნესვი უფრო დიდია თუ მსხალი?

– მსხალი უფრო დიდია თუ პანტა?

– სპილო უფრო დიდია თუ ცხენი?

– ცხენი უფრო დიდია თუ პონი?

– ჩოგბურთის ბურთი დიდია თუ პატარა?

– ფეხბურთის ბურთზე დიდია, მაგრამ „პინგპონგის“ ბურთზე პატარა, ე.ი. დიდიც არის და პატარაც.

– მსხალი დიდია თუ პატარა?

– ნესვზე პატარაა, მაგრამ პანტაზე დიდი, ე.ი. დიდიც არის და პატარაც.

– ცხენი დიდია თუ პატარა?

– სპილოზე პატარაა, მაგრამ პონიზე დიდი, ე.ი. დიდიც არის და პატარაც.

– რა გამოვიდა? გააჩნია, რას ვადარებთ. სიდიდე შედარებითია.

მიზნობრივი თამაში:

დავყოფთ მოსწავლეებს სამ-სამად. ერთი ასახელებს საგანს, მეორე ასახელებს ამ საგანზე დიდ საგანს, მესამე ასახელებს ამ საგანზე უფრო პატარას.

მაგალითად, ხარი – სპილო – ხბო. ქათამი – არწივი – წიწილა. სახლი – ქოხი – ცათამბჯენი.

ვიმსჯელოთ და ვისაუბროთ:

მასწავლებელი სვამს კითხვას: ლომი შინაური ცხოველია თუ გარეული მტაცებელი? პასუხის მოსმენის შემდეგ სვამს მაპროვოცირებელ კითხვას: – ცირკის გაწვრთნილი ლომი შინაურია თუ გარეული?

რომელი რომელ აზრს ემხრობა?

გაერთიანდით ჯგუფებად, ჩამოწერეთ მოსაზრებები, თუ რატომ ფიქრობთ ასე.

დაფა გაიყოფა ორ ნაწილად და ჩამოიწერება ორივე მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტები. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს თითო-თითო მოსწავლეს დაიცვას თავისი ჯგუფის პოზიცია მაგალითებით. გადაწყვეტილებას იღებს კლასი მასწავლებელთან ერთად.

საკლასო წერითი სამუშაო №2.

შეჯამება

ნასწავლი მასალის შეფასება და თვითშეფასება. რა ვისწავლეთ დღეს?

– ჩვენ გავარკვიეთ, რამდენად კარგად შევისწავლეთ ტექსტი, მოვყევით მოთხრობა და პასუხი გავეცით კითხვებს

– ჩვენ გავიგეთ, რომ სიდიდე და სიპატარავე დგინდება რაღაცასთან შედარებით.

– ვისწავლეთ მსჯელობა და ჩვენი აზრის დაცვა.

– დავაჯგუფეთ მსგავსი სიტყვები.

მასწავლებელი არიგებს ფურცლებს ამ ჩამონაწერით და სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ შესაბამისი ცხრილი (ნიმუში მოცემულია შესაბამის ცხრილებში).

ვფიქრობთ, ამგვარი ვრცელი სცენარი მასწავლებელს ნათლად დაანახვებს ავტორთა ჯგუფის პოზიციას სწავლების პრინციპების მიმართ. ჩვენ, ერთი შეხედვით, სრულიად მარტივი ტექსტები მოსაწყენი რუტინით კი არ შევთავაზეთ მოსწავლეებს, არამედ სახალისო, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები გამოვიყენეთ. საყრდენი მასალა, რა თქმა უნდა, სახელძღვანელოსა და რვეულში იყო, მაგრამ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამრავალფეროვნოს და შემოქმედებითი სული ჩაბეროს მასალას. ვერც ერთი წიგნი ვერ გაითვალისწინებს. ყველა იმ ამოცანას, რომელიც შეიძლება მასწავლებელმა მოიფიქროს.

ისიც უნდა ითქვას, რომ წინამდებარე წიგნში დეტალურადაა განხილული წიგნისა და რვეულის ყველა რუბრიკა, მოცემულია მიზნობრივი თამაშები, დამატებითი მასალა და შეფასების პრინციპები და რუბრიკები. ასე რომ, მასწავლებელს ისღა დარჩენია მოახდინოს ამ ყველაფრის კონსტრუირება პლუს ცოტა შემოქმედებითობა.

V. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ

შეგახსენებთ, რომ ესგ-ს თანახმად, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ანუ სწავლა-სწავლება, უპირველეს ყოვლისა, დადებით დამოკიდებულებას უნდა უყალიბებდეს მოსწავლეს, უნდა ემსახურებოდეს მის მრავალმხრივ განვითარებას, ხელს უწყობდეს წიგნიერების განვითარებას. ხოლო თუ გავიხსენებთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა). ერთი სიტყვით, ეს სხვა არაფერია, თუ არა სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდების, გამჭოლი კომპეტენციებისა და მეტაკოგნიციის (სწავლის სწავლა) გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში.

1. გამჭოლი კომპეტენციები

წიგნიერება. წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

- მედიაწიგნიერება. ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტმა, რომლიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მრავალგვარი ფორმის მულტიმედიატექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა.
- ციფრული წიგნიერება იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარს. ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც ციფრული წიგნიერება ეწოდება.
- რაოდენობრივი წიგნიერება. რაოდენობრივი წიგნიერება არის რაოდენობებით ოპერირების უნარი, რაც რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებასაც გულისხმობს.
- ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულებისა და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.
- მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის უნარი, დაეუფლოს ენას/ენებს და გამოიყენოს ეს ცოდნა.
- სემიოტიკური კომპეტენცია. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტეპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი.
- სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

გამჭოლი კომპეტენციების მთავარი აზრი ის არის, რომ ეს არ არის ერთი საგნის ამოცანა, ამიტომ გამჭოლი კომპეტენციების დაუფლება ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, მას არ უნდა უფრთხოდეს მასწავლებელი. თუმცა დაწყებით საფეხურზე ყველა ასპექტის თანაბარი სიხშირითა და სიძლიერით გამოყენება ვერ მოხერხდება. ჩვენთვის გამჭოლ კომპეტენციათა შორის მნიშვნელოვანია წიგნიერება. რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეს შეფასების, შეჯამების, დამოუკიდებელი აზრის გამოთქმის, წიგნიერების სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით გამოყენების, საკუთარი გამოცდილების ახალ იდეებზე მორგების საშუალებას, მით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ. ამის საშუალებას კი ჩვენ მიერ შედგენილი სახელმღვნელოების არაერთი ტექსტი და რუბრიკა იძლევა. მაგ.: „სასაუბრო„, „ეს საინტერესოა„, „სახალისო„ და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის მედიაწიგნიერება. ერთდროულად ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური მხარეების გამოყენება ძალიან აადვილებს ბავშვისათვის სასწავლო ამოცანის წვდომას, ჩვენ სახელმძღვანელოების ციკლში მივმართავთ ხოლმე მულტიმედიას – „ნახე„, „შეადარე„, „გვიამბე„ და ა.შ.

რაოდენობრივი წიგნიერება ალბათ მოგვიანებით შემოვა, მინი კვლევის, სტატისტიკური გათვლების სახით. მანამდე კი იმასაც შეიძლება დავჯერდეთ, რომ მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ თვლა, რამდენი ხმოვანი და თანხმოვანია სიტყვაში, რამდენი მარცვალია სიტყვაში, რამდენჯერ მეორდება სიტყვა და ა.შ.

ეკოლოგიურ წიგნიერებას შეგვიძლია პირდაპირ დავუკავშიროთ მასალა. ეს თემა ჩვენი სახელძღვანელოების ციკლში განსაკუთრებით გააქტიურებულია მე-3 კლასში.

სემიოტიკური კომპეტენცია საკმაოდ აქტიურად შეიძლება განვითარდეს დაწყებით კლასებში. სახელმძღვანელოებში ნახატმა მრავალგვარი ფუნქცია შეიძინა, რაც პირდაპირაა სახელძღვანელოში მოცემული. ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მოვასმენინებთ შესწავლილ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, სადღესასწაულო სიმღერებს და ისინი გამოხატავენ თავიანთ განწყობას, დახატავენ ნახატებს. დაწყებით კლასებში ასევე აქტიურად შეიძლება ცხრილების გამოყენება, დაფაზე, ფორმატზე და ინდივიდუალურად, მათ შორის ძალიან პოპულარულია ვენის დიაგრამა და ცხრილი „რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა ვიცოდე„

რაც შეეხება ციფრულ ანუ კომპიუტერულ წიგნიერებას, ეს ამ თაობის პრიორიტეტია, ამიტომ მასწავლებელმა, თუ ამის საშუალება არსებობს, აქტიურად უნდა გამოიყენოს იგი, მასალის მოძიებისათვის, თვალსაჩინოების მოპოვებისათვის, მინი ბროშურისათვის ტექსტის ასაწყობად და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელია ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, არა მარტო საგაკვეთილო პროცესის პრიორიტეტი უნდა იყოს, არამედ საერთოდ, აღმზრდელობითი პროცესისა. საგაკვეთილო პროცესში სამოქალაქო თემატიკა უნდა იქცეს, ერთი მხრივ, მასალასთან მიმართებაში მსჯელობის საგნად, მეორე მხრივ იგი უნდა ვაქციოთ სასკოლო ცხოვრების წესად. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ ბავშვის სკოლაში მოსვლის დღიდან, დაწყებით საფეხურზე ჯგუფური სამუშაოების სწორად ორგანიზებით, მოსწავლეების ჩართვით წესების შეუშავებასა და დაცვაში.

2. მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია ანუ სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის, სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. ეს მეტაკოგნიციის პროცესის პედაგოგიური ხედვაა.

მაინც რა არის მეტაკოგნიცია? მეტაკოგნიცია საკუთარი შემეცნების (უფრო ფართოდ კი საკუთარი ფსიქიკური პროცესების) შემეცნების საგნადვე (ობიექტად) გადაქცევაა. პედაგოგიური თვალთახედვით, ეს ნიშნავს მოსწავლის მიერ სწავლის ქცევის შემეცნებითი დაკვირვების საგნად, ობიექტად გადაქცევას. საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა გავაკეთე და როგორ? რას ვაკეთებ და როგორ? რას გავაკეთებ და როგორ?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს დასჭირდება, რომ დააკვირდეს უკვე შესრულებულ სასწავლო აქტივობას, მაგალითად, კრიტიკული დაკვირვების ობიექტად აქციოს უკვე შესრულებული სავარჯიშო: სწორად შეასრულა თუ არა იგი, რა შეცდომები დაუშვა და რატომ. შემდეგ კი საჭიროა დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება (ვთქვათ, „მე დავუშვი ასეთი და ასეთი შეცდომები, რადგან ...). დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება სასწავლო ქცევის ობიექტივაციის აუცილებელი ეტაპია.

კითხვაზე – რას ვაკეთებ და როგორ? პასუხი ფაქტობრივად ნიშნავს იმას, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე გამოცდილებას, გამოაქვს თუ არა სწორი დასკვნები უკვე მიღებული გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეტაკოგნიციის საკმარისი დონე. მთლიანი მეტაკოგნიტური ციკლის დასრულებისათვის საჭიროა პასუხი ბოლო კითხვაზე – რას გავაკეთებ და როგორ? ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი სასწავლო ქცევის წინასწარი განჭვრეტა – ანიციპაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე უკვე მიღებული და განზოგადებული გამოცდილების საფუძველზე დაგეგმავს შემდგომ სასწავლო ქცევას.

როგორც ვხედავთ, სწავლების სწავლა საკმაოდ რთული ფსიქიკური აქტივობაა. მასში ჩართულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესები, როგორიცაა დაკვირვება, უშუალო ან ხანგრძლივი მეხსიერება (შესრულებული სამუშაოს გასახსენებლად), კრიტიკული აზროვნება (შეცდომების და მათი გამომ-

წვევი მიზეზების აღმოჩენისათვის), ლოგიკური აზროვნება (შედეგების განზოგადებისათვის). საჭიროა აგრეთვე ყურადღების კონცეტრაციისა და ნებელობითი ქცევის განხორციელების უნარები.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან. ინტელექტის განვითარების ეს დონე ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელებას. განვითარებისეულად, ეს შესაძლებლობა მოსწავლეს გაუჩნდება ინტელექტის განვითარების შემდგომ სტადიაზე – ლოგიკური ოპერაციების სტადიაზე (12 წლის ასაკიდან). მაგრამ მეტაკოგნიციის განვითარების თვითდინებაზე მიშვება დიდი პედაგოგიური და მეთოდური შეცდომა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დაწყებით სკოლას აქვს კარგი საშუალებები ამ პროცესების მართვისათვის, კონკრეტული სასწავლო საგნების შინაარსისა და ზოგადად, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სახით.

სწავლის სწავლის უნარს მინიმალურ დონეზე გამოცდილება აყალიბებს. სკოლაში ამ უნარის გამოყენება სისტემატურ და სისტემურ სახეს უნდა იღებდეს. მეტაკოგნიციის გარეშე ვერ განხორციელდება ხარისხიანი სწავლება. ამას კი საფუძველი დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს. მეორე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა თავიდან უნდა გააცნოს სავარჯიშოებზე მუშაობის პრინციპები, მოგვიანებით უკვე მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორ იმუშაოს ამა თუ იმ სავარჯიშოზე; ასევე მასწავლებელი დაუგეგმავს მოსწავლეებს, თუ როგორ გაასწორონ საკუთარი ნაწერი დაფაზე მოცემული მოდელის მიხედვით; შემდგომში მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ნაწერის გასწორება ზეპირი განხილვის საფუძველზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი სამუშაოს თანმიმდევრობის განხილვა: ჯერ ეს საქმე კეთდება, მერე — ეს და ბოლოს – ეს. საჭიროა ჩატარებული სამუშაოს შეფასება. დავიწყოთ ჯგუფური მუშაობის შეფასებით, თუ რატომ იყო ჯგუფი წარმატებული ან წარუმატებელი. კარგია შეფასების ბარათების გამოყენებაც. კარგად დაგეგმილი განმავითარებელი შეფასებაც მოსწავლეს გააცნობიერებინებს, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ გამოასწოროს იგი.

3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

როგორც ცნობილია, მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ავტორებისათვის, გრიფირების წესების კრიტერიუმებში სხვა სიახლეებთან ერთად შინაარსის ბლოკში გაჩნდა საკითხები, რომლებიც სწავლების მიზნებს მდგრადი განვითარების პრინციპებს უკავშირებს. ეს გამართლებულიცაა, თუკი ვთანხმდებით, რომ სკოლას მხოლოდ ცოდნის მიღების ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს, მან უნდა იზრუნოს მოქალაქის აღზრდასა და მოზარდის ცხოვრებისათვის მომზადებაზე. 1.8 კრიტერიუმის თანახმად, შინაარსი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის სამოქალქო ცნობიერების განვითარებას, ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობდეს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად. იმავე პრინციპების გათვალისწინებით, სახელმძღვანელო უნდა ემსახურებოდეს ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის აღზრდას, რა თქმა უნდა, ნებსით თუ უნებლიეთ, არ უნდა შეიცავდეს მასალას(ტექსტს, ილუსტრაციას თუ მოწოდებას), რომელიც უარყოფითი ქმედებებისაკენ წაახალისებს მოსწავლეს. სახელმძღვანელოს შინაარსი საშუალებას უნდა იძლეოდეს კავშირი დაამყაროს მასწავლებელმა მდგრადი განვითარების პრინციპებთან, რასაც საფუძვლად შეიძლება დავუდოთ მდგრადობის ვარსკვლავი:

ბუნება;
ეკონომიკა;
საზოგადოება;
კეთილდღეობა.

ლიტერატურული მასალით შეიძლება მოსწავლეს ყურადღება გავუმახვილოთ: ეკოლოგიაზე, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებაზე, ბუნებრივი კატასტროფების მიზეზებზე, შრომის კულტურაზე, ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანებისადმი თანალმობის და თანადგომის სურვილის აღზრდაზე; ტოლერანტობის, ჰუმანიზმის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კულტურული მეობისა და მსოფლიო კულტურებთან კავშირის აღქმაზე; ბავშვთა უფლებების დაცვაზე, უფლებებისა და მოვ-

ალეობების თანაკვეთის პროცესის არსებობაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესებისა და ჯანსაღი კვების პრობლემებზე და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები შეიძლება რამდენიმე საგნის თემად ვაქციოთ. II კლასში შეტანილია მოთხრობა "ერთი გემი", მოქმედება ერთ ლოკალურ გარემოში ვითარდება, ბავშვების გულუბრყვილო თამაშმა დაანაგვიანა ეზოს შადრევანი, რეალურად კი ერთ გემზე მეტი არავის ჩაუშვია აუზში. ეს მოთხრობა შეიძლება გარემოს დანაგვიანების თემას დავუკავშიროთ და ინტეგრირებული სწავლების თემად ვაქციოთ.სასურველია საუბარი ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილზე გაგრძელდეს. როგორ მოვიქცეთ ეზოში, ქუჩაში, დასასვენებელ პარკში, ექსკურსიაზე, ტყეში, ნაკრძალში. "როგორ დავალაგოთ დედამიწა?" ამ პროცესში შეიძლება მათემატიკური ანგარიში ჩაერთოს და ქართულის გაკვეთილზე ნასწავლი მოთხრობის გათვალისწინებით შედგეს თემატური ამოცანები.

მნიშვნელოვან თემას ეძღვნება ჯანი როდარის მოთხრობა "ერთი და შვიდი"; იგი საინტერესოდ გვიმტკიცებს იმას, რომ მსოფლიოში ყველა ბავშვი, მიუხედავად ბევრი განმასხვავებელი ფაქტორისა, ერთმანეთს ჰგავს. ამ მოთხრობასთან მიმართებაში მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს სამუშაო: სიმბოლური სათაურით –"მე რომ ერთ-ერთ ამ ბიჭთან ჩავიდე სტუმრად" .წყვილებს გავუნაწილოთ ქვეყნები, წარმოიდგინონ როგორ იცხოვრებენ, რა ენაზე ისაუბრებენ, მშობლიური ენების გარდა, რომელი ენა შეიძლება გამოადგეთ. წარმოიდგინონ როგორ ცხოვრობენ ქალაქსა თუ სოფელში? როგორი კლიმატური პირობები არის იქ? როგორ ზრუნავენ იმ ქვეყანაში გარემოს დაცვაზე? იქნებ ამ ქვეყნების შესახებ ინტერნეტში მოიძიონ ინფორმაცია. ისაუბრონ, რით განსხვავდება საქართველოსგან? რომელ ენებზე მოსაუბრე ადამიანები ცხოვრობენ საქართველოში. რომელი ენა აერთიანებთ მათ. რომელი ენები აერთიანებს მსოფლიოს. როგორ შეიძლება გავიგოთ გამონათქვამი? – რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. საბოლოოდ, მივდივართ დასკვნამდე, რომ ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები ცხოვრობენ და მეგობრების შესაძენად მნიშვნელოვანია ერთმანეთის ენების შესწავლა. შესაძლეველია სხვა ქვეყნის თანატოლებთან სოციალური ქსელებით იურთიერთოთ და დამეგობრდეთ. ჩამოწერეთ, თქვენი აზრით, რა უყვართ, რა სურთ მსოფლიოს ბავშვებს. რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან. რა არის თქვენი საერთო სახლი, რას ეტყოდით თითოეულ მათგანს.

მოქალაქედ ჩამოყალიბება წვრილმანი და ყოველდღიური წესების დაცვით იწყება; მათ შორისაა ქუჩაში მოძრაობის წესები. სწორედ ამ თემას ეძღნება ლექსი "ქუჩაში". ბავშვმა უნდა გააცნობიეროს ის, რომ ადამიანთა უსაფრთხოებისათვისაა მოგონილი ქუჩაში მოძრაობის წესები. დავსვათ კითხვა – რატომ უნდა დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები? დავყოთ მოსწავლეები ჯგუფებად და მივცეთ სიტუაციური ამოცანები, სადაც ფეხით მოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევის გამო იქმნება სიცოცხლისათვის საშიში სიტუაცია. მაგალითად: ქუჩაში ბავშვები თამაშობდნენ, მოულოდნელად ერთ ბავშვს მეორე გამოეკიდა, ბიჭმა ქუჩა სირბილით გადაჭრა იქ, სადაც ზებრა არ იყო. მომავალმა მანქანამ ძლივს მოასწრო დამუხრუჭება, ვინც მისდევდა, შეშინდა, გამობრუნდა და უკან გადმოირბინა. მოძრაობის ამ ზოლში მომავალმა მძღოლმა იფიქრა ბავშვს ვეჯახებიო, ტროტუარზე შევარდა და გაზონები დააზიანა, დაზიანდა მანქანაც. იმსჯელეთ. რომელი წესები დაირღვა, რა ზიანი გამოიწვია ამან, ვის რა საფრთხე დაემუქრა. რა დავასკვნათ? -წესების დაცვა აუცილებელია. უბრალო წესის დარღვევამ შეიძლება ადამიანს დანაშაული ჩაადენინოს. დავიცვათ წესები და დავიცვათ ერთმანეთი. ჯგუფებმა შექმნან გამაფრთხილებელი წარწერები თავისი ნახატებით და განათავსონ სოციალურ ქსელში, რუბრიკით "ვისწავლოთ და ვასწავლოთ ჩვენს თანატოლებს".

ამავე კლასში არის წარმოდგენილი მასალა, რომელიც ცხოველთა დაცვას შეეხება. ესაა ნაწყვეტი ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობიდან "ბიულერბიუელი ბავშვები"– "როგორ იყიდა ულემ ძაღლი." ამ ტექსტში საუბარია არა მარტო ოთხფეხა მეგობრების სიყვარულზე, არამედ პასუხისმგებლობაზე მათ მიმართ. ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: როგორ მოვუაროთ იმ ცხოველებს, რომლებიც პატრონის მზრუნველობას მოკლებულია? გვაქვს თუ არა მათზე პასუხისმგებლობა და რაში გამოიხატება იგი? ვინ იცავს ქუჩაში მცხოვრებ ძაღლებს? რა შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?

მოვძებნოთ ინტერნეტში ინფორმაცია გადაშენებული ან გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესახებ, შემდეგ კი ჩამოწერეთ რა არის ამის მიზეზები, რით შეიძლება დავიცვათ ისინი. მოსწავლეებმა შექმნან ნახატები და დაურთონ მათ მოწოდებები ცხოველთა სამყაროს დასაცავად. განათავსონ მასალა ინტერნეტში, რუბრიკით – "ვისწავლოთ და ვასწავლოთ ჩვენს თანატოლებს".

4. დიფერენცირებული სწავლება

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას, ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა სწორად შეაფასოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. დიფერენცირებული სწავლება იგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მოსწავლეთა ცოდნის, უნარების და სწავლის სტილის განსაზღვრა; მასწავლებლის მოლოდინების რეალურ საფუძველზე დაყრდნობა; მოსწავლის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება; დაკვირვება, თუ რა ტიპის მასალის გაგება უფრო უადვილდება მოსწავლეს და რას ვერ იგებს; მოსწავლის შედეგების შემოწმება და ანალიზი; მასზე ადაპტირებული სასწავლო გეგმისა და სტრატეგიების შერჩევა;

დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობა იმაზეა გამოკიდებული, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს; რამდენად ითვალისწინებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლითაც იგი ოჯახსა და სოციალურ გარემოს უკავშირგება.

როდესაც მასწავლებელი სწავლების პროცესში მრავალფეროვან აქტივობებს იყენებს, მას უფრო ადვილად შეუძლია დაადგინოს მოსწავლეთა განსხვავებული უნარები და ინტერესები, განსაზღვროს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. იგი ასევე ადვილად შეძლებს მოსწავლეთა საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგებას.

დიფერენცირების ორი ტიპი არსებობს: 1. გარეგანი, როდესაც მასწავლებელი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ჯგუფებს ქმნის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2. შინაგანი, როცა მასწავლებელი ისე ახდენს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რომ ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ცნობილია, რომ არ არის ადამიანი ტალანტის გარეშე. თითოეული ადამიანი უნიკალური და განსხვავებულია თავისი შესაძლებლობებით, მისწრაფებებით და მიზნებით. დიფერენცირებული სწავლება იმას კი არ ნიშნავს, მხოლოდ აღმოვაჩინოთ რა შეუძლია და რა იცის, არამედ უნდა დავეყრდნოთ მის ძლიერ მხარეებს და მორგებული სისიტემით გავაუმჯობესოთ იგი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს თვითდამკვიდრებაში, მისი განსხვავებულობის დადებით კონტექსტში წარმოჩენას. დიფერენცირებული სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების აქტუალურად და მიზანმიმართულად გამოყენებას.

როგორც მასწავლებელთა პრიფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი „პედაგოგიური გამკვლევი – პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის" აღნიშნავს: „დიფერენცირებული მიდგომა სწავლების გზაა, ეს არ არის კონკრეტული მზა შეთავაზება." სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ავალებს მასწავლებელს კარად გაიცნოს მოსწავლე და შესთავაზოს მას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც გაუმჯობესებს სწავლების შედეგებს.

5. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე სკოლა ორიენტირებულია მარავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენებაზე. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ რესურსებს, რომლებიც გამჭოლ კომპეტენციებს განეკუთვნება და ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მედიაწიგნიერებაზე ზრუნვა ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ჩვენი სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის მასალას, რომელიც სპეციალური ლოგოთია აღნიშნული.

ძალიან საინტერესო აქტივობები შეიძლება შეიქმნას სემიოტიკური კომპეტენციის გააქტიურებით და ვერბალური თუ არავერბალური საშუალებით (სქემები, დიაგრამები, ნახატები, მელოდიები) გააზრების, განცდის და გამოხატვის უნარის განვითარების მიზნით. მათ შორისაა კოგნიტური ცხრილები და დიაგრამები. ცნობილია, რომ გრაფიკული მაორგანიზებელის გამოყენება ხელს უწყობას ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ზოგ შემთხვევაში ცხრილი კონკრეტული ამოცანისთვისაა შექმნილი, თუმცა არის ყველასთვის ცნობილი ვენის დიაგრამა, T დიაგრამა და ცხრილი „1, 2, 3". ისინი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ქართული ენის სწავლებაში. ხშირ შემთხვევაში სავარჯიშოში მოთხოვნაა შეტანილი მოსწავლემ შეავსოს ცხრილი, თუ რა ტიპის ცხრილი უნდა შეადგინოს მასწავლებელმა და დაურიგოს მოსწავლეებს ამას მასწავლებლის სახელმძღვანელოს ბოლოს მივუთითებთ. სახელმძღ-

ვანელოში ჩართულია ხატვის და მუსიკის მოსმენის სასწავლო ამოცანებიც, რომლებიც ასევე თავისი ლოგოთია მინიშნებული.

ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტის გამოყენებას, კომპიუტერი თანამედროვე ბავშვისთვის ყველაზე ახლობელი სათამაშოცაა და შრომის იარაღიც. ამიტომ ისტის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება 21-ე საუკუნის ბავშვის უნარებსა და მოთხოვნილებებს. განათლების სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა „ბუკის" კომპუტერული პროგრამა "ისწავლე ხალისით", თავისი შესანიშნავი საგანმანათლებლო თამაშებით, რაც ორგანულად შეერწყა სახელმძღვანელოს კონცეფციასა და ამოცანებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ისტის გამოყენებით მრავალფეროვანი სამუშაო. სასწავლო ანიმაციებისა და ლიტერატურულ მასალაზე შექმნილი ფილმების ყურება, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მასალების მოძიება და სხვ.

VI. შეფასება

I-IV კლასებში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. თუ მასწავლებელმა კარგად არ გაიაზრა განმავითრებელი შეფასების მიზნები და, აქედან გამომდინარე, პრინციპები, მოსწავლისა და მშობლისათვის ბუნდოვანი დარჩება მოსწავლის შედეგები. ამიტომაა, რომ მშობელთა ნაწილი ფიქრობს, რომ უფრო მოსახერხებელი იყო განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხშირად სტრესში აგდებს ბავშვს. მოსწავლე პირველივე მარცხის შემთხვევაში დაბალი მოსწრების ჯგუფში ინაცვლებს.

1. განმავითარებელი შეფასების მიზნები, საგანი, მეთოდები და უკუკავშირი

შეგახსენებთ, რომ ესგ ნათლად აყალიბებს განმავითარებელი შეფასების მიზნებს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, ემსახურებოდეს და ხელს უწყობდეს: სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, წინსვლისა და განვითარების შფასებას, წინარე ცოდნის დადგენას, ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასებას. უნდა შეფასდეს მეტაკოგნიციის უნარი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი.

განმავითარებელი შეფასების საგანია სწავლის პროცესი. ეს სწავლის პროცესის შეფასებაა და არა შედეგის, მაგალითად: ტექსტის შესწავლის პროცესის, რაიმე თემის დამუშავების, პროექტზე მუშაობის რომელიმე ეტაპის შეფასება, რჩევების მიცემა და არა თავად ნამუშევრის შეფასება.

განმავითარებელი შეფასების მეთოდებია: მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასება, მოსწავლის თვითშეფასება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება.

განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი გულსხმობს წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევას, სწავლის სტრატეგიის შეცვლას, რჩევა-დარიგების გათვალისწინებით შედეგზე გასვლას (რა დონე ჰქონდა და რა დონეს მიაღწია).

განვიხილოთ ერთი მარტივი ცხრილი, რომელსაც გაკვეთილის ბოლოს იყენებს მასწავლებელი.

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ცხრილს და უხსნის, იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ შეასრულა სამუშაო, ვერ გაიგო მასალა, გრაფაში არაფერს არ ჩაწერს. ამ ცხრილის საშუალებით და დაკვირვების საფუძველზე ბევრი რამ შეიძლება გამოიკვეთოს, რაც სპეციალური სამუშაოების დაგეგმვას მოითხოვს.

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	შ ე ფ ა ს ე ბ ა	
	რა ვისწავლე დღეს?	შევასრულე სამუშაო	კარგად შევასრულე
1	წავიკითხე ახალი მოთხრობა.	+	
2	ვისაუბრეთ და გავიგე, რომ ხშირად ღონეს მოხერხებულობა და გონიერება ჯობია.	+	
3	ვიმსჯელეთ და მივხვდი, რომ მეგობრობაში დიდ-პატარას მნიშვნელობა არ აქვს.		+
4	შევისწავლე ახალი ანდაზა.		+
5	დავიმახსოვრე სწორი გამონათქვამები და შევასრულე სავარჯიშო.	+	
6	შევასრულე წერითი დავალება.	+	

ანალოგიური თვითშეფასების კითხვარი ერთ კონკრეტულ საკითხზეც შეიძლება გაკეთდეს. მაგალითად:

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	შ ე ფ ა ს ე ბ ა	
	რა შემთხვევაში ვსვამთ „ვინ?“ და „რა?“ კითხვებს.	შევასრულე	კარგად შვასრულე
1	შესწავლილ ტექსტში სიტყვებს დავუსვი კითხვები.	+	
2	გავარკვიე, რა შემთხვევაში ვსვამთ „ვინ?“ კითხვას და რა შემთხვევაში – „რა?“ კითხვას.		+
3	ვივარჯიშეთ ზეპირად – დავასახელე მაგალითები.	+	
4	შევასრულე სავარჯიშო.		

ამგვარი თვითშეფასების ცხრილით შესაძლებელია სამუშაოების ტიპებიც შევაფასოთ, რომელი უფრო მოეწონათ მოსწავლეებს. კარგია, როდესაც მოსწავლე მხოლოდ თავის მიერ შესრულებულ სამუშაოზე კი არ გამოთქვამს აზრს, არამედ იმაზეც, რაც მასწავლებელმა დაგეგმა – რომელი მათ-განი უფრო მოეწონა, თუ არ მოეწონა, არ ჩაწერს პლუსს.

მაგალითად:

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	შ ე ფ ა ს ე ბ ა	
	შევისწავლეთ ტექსტი	მომეწონა	ძალიან მომეწონა
1	ვისაუბრეთ პერსონაჟების შესახებ.	+	
2	გავითამაშეთ როლები.		+
3	მოვაწყვეთ კონკურსი მხატვრულ კითხვაში.		+

სხვათა შეფასებაც მეტაკოგნიციის განვითარებას უწყობს ხელს, ამოტომ ერთმანეთის ზეპირი, მოკლე წერილობითი, ან ცხრილით შეფასება კარგია, თან თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაც არის.

2. აქტივობის ორგანიზება და წესები

№	**რუბრიკის „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“ წესები**
1	დაიცავით თამაშის წესები;
2	არ შეუშალოთ ხელი მეორე გუნდს ან მოთამაშეს;
3	ობიექტურად შეაფასეთ თამაში;
4	ღირსეულად შეხვდით გამარჯვებასაც და დამარცხებასაც

№	**რუბრიკა „სასაუბროს” წესები:**
1	ხელის აწევით გამოხატეთ აზრის გამოთქმის სურვილი; არ წამოიძახოთ ადგილიდან
2	მასწავლებლისგან დაელოდეთ საუბრის დაწყების ნებართვას;
3	ყურადღებით მოვუსმინეთ ერთმანეთს;
4	არ ჩაერიოთ სხვის საუბარში და არ შეაწყვეტინოთ კლასელს ლაპარაკი;
5	თუ არ ეთანხმებით მოსაუბრეს, აზრი გამოთქვით ისე, რომ არ მიაყენოთ შეურაცხყოფა.

3. შეფასების ცხრილები

ანალოგიური ცხრილები მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლის შესაფასებლადაც გამოიყენოს. მაგალითად:

ჯგუფური მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	ჯგუფის ყველა წევრს ეძლევა თავისი აზრის გამოთქმის და მუშაობაში ჩართვის საშუალება;			
2	ჯგუფმა შეძლო სამუშაოს გადანაწილება და თითოეული წევრის შესაძლებლობის გამოყენება;			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

წყვილებად მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	შეძლეს თანამშრომლობა ორივე წევრი გამოთქვამს თავის აზრს და ჩართულია სამუშაოში;			
2	საწინააღმდეგო აზრის წარმოქმნის შემთხვევაში, ასაბუთებენ თავიანთ აზრს და შეუძლიათ შეთანხმება.			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

სამუშაოს წარდგენის (პრეზენტაციის) შეფასება

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	მოსწავლეს გააზრებული აქვს საპრეზენტაციო მასალა;			
2	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საპრეზენტაციო თემის მიმართ;			
3	პრეზენტაციისას იყენებს თვალსაჩინოებას;			
4	მასალის წარდგენისას მეტყველებს ნელა, შესაბამისი ინტონაციისა და პაუზების დაცვით.			
5	მოსწავლე იყენებს ნაცნობ ლექსიკას და მართლმეტყველების საბაზო ნორმებს.			

	მოსწავლის გვარი, სახელი				
	ს ა მ უ შ ა ო	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**			
	უცხო ტექსტის კითხვა და გაგება	წარმატე-ბით	უშვებს რამდენიმე მარტივ შეცდომას	უშვებს შეცდომებს, მაგრამ გარკვეულ შედეგს აღწევს	ასრულებს დახმარებით
1	კითხულობს;				
2	ყურადღებას აქცევს უცნობ ლექსიკურ ერთეულებს და არკვევს მათ მნიშვნელობას;				
3	პასუხს სცემს კითხვებს;				
4	აფასებს პერსონაჟების ქცევას;				
5	იგებს ტექსტის მთავარ სათქმელს;				
6	უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.				

კითხვისა და ზეპირმეტყველების აქტივობების შეფასების ცხრილი

	მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი							**შევსების თარიღი**
	აქტივობის სახე და შეფასების ინდიკატორები	**აქტივობის სიხშირე**			**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		ყოველთვის	**ხშირად**	**იშვიათად**	**წარმატებით ასრულებს**	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**ტექსტების კითხვა**							
1	მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტი პის ტექსტის უშეცდომოდ, მთლიანი სიტყვებით, თანაბარი ტემპით, სწორი ინტონაციით კითხვა;							
2	მოსწავლეს შეუძლია გაგრძელებით კითხვა;							
3	მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მითითებით, კონკრეტული ეპიზოდის პოვნა, არეული ტექსტის დალაგება და წაკითხვა.							
II	**ლექსიკონის დამუშავება**							
1	მოსწავლემ იცის,სად უნდა ეძებოს უცნობი სიტყვის განმარტება;							
2	მოსწავლეს შეუძლია განმარტებული სიტყვის გამოყენება მნიშვნელობის ადეკვატურად;							
3	მოსწავლე იგებს განმარტებული სიტყვის ნიუანსს კონტექსტის მიხედვით.							
III	**მართლწერაზე დაკვირვება**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სიტყვის მართლწერის რუბრიკის დამუშავებაში;							
2	მოსწავლეს შეუძლია სწორად დაწერილი სიტყვის გარჩევა მისი არამართებული ფორმისგან;							
3	მოსწავლე პოულობს მითითებულ სიტყვას ტექსტში.							
IV	**კითხვებზე პასუხის გაცემა**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს კითხვებზე პასუხის გაცემაში;							
2	მოსწავლე იძლევა შინაარსობრივად სწორ პასუხებს;							
3	მოსწავლე იყენებს სრული პასუხების ფორმას							
V	**ზეპირი, ლიტერატურული, ლექსიკური, გრამატიკული და სააზროვნო სავარჯიშოები**							

1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სავარჯიშოების შესრულებაში;							
2	მოსწავლე აკეთებს სავარჯიშოებს სწორად;							
3	მოსწავლეს შეუძლია მითითებული შეცდომის გასწორება.							
VI	**თხრობა**							
1	მოსწავლე თანმიმდევრულად გადმოსცემს სხვადასხვატიპის ტექსტის შინაარსს;							
2	იგებს და გადმოსცემს ნაწარმოების დედააზრს, გამოარჩევს დედააზრისათვის მნიშვნელოვან დეტალებს მეორეხარისხოვანისაგან;							
3	მოსწავლე მოყოლისას მეტყველებს უშეცდომოდ, ხანგრძლივი პაუზების გარეშე, შეუძლია განყენებულ თემაზე საუბარი.							
VII	**თავისუფალი მეტყველებითი აქტივობა – სასაუბრო, პრეზენტაციები და სხვ.**							
1	სწორად რეაგირებს სამეტყველო სიტუაციაზე;							
2	სათქმელს ალაგებს სწორად, აზრს გადმოსცემს გასაგებად;							
3	მეტყველებს გამართულად და გაბმულად, არ უშვებს ბევრ ენობრივ შეცდომას;							
4	საჭიროების შეთხვევაში მოიხმობს ადეკვატურ ფაქტებს;							
5	ადეკვატურად იყენებს სამეტყველო როლს.							
VIII	**ჯგუფური თამაშები**							
1	მოსწავლეს აქვს ჯგუფში მუშაობის მაღალი მოტივაცია, აქტიურია ჯგუფში							
2	მოსწავლე პასუხისმგებლობით ეკიდება ჯგუფში მუშაობას;							
3	მოსწავლე უსმენს ჯგუფის წევრებს, გამოთქვამს თავის აზრს კონსტრუქციულად, შეუძლია დათმობაზე წასვლა ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე.							
IX	**შეჯამება–კომენტარი**							

წერითი აქტივობების შეფასების ცხრილი

	მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი							**შევსების თარიღი**
	აქტივობის სახე და შეფასების ინდიკატორები	**აქტივობის სიხშირე**			**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		ყოველთვის	ზშირად	იშვიათად	წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს	ასრულებს დახმარებით
I	**წერის ტექნიკა**							
1	სწორად ხაზავს ასოებს;							
2	იცავს სათანადო მანძილს სიტყვებსა და წინადადებებს შორის;							
3	იცავს ბადეში ასოების განლაგების პრინციპს.							
II	**მართლწერა**							
1	წინადადების ბოლოს სვამს მისთვის ნაცნობ ნიშანს;							
2	სწორად წერს მისთვის ნაცნობ სიტყვებს;							
3	წინადადებაში წორად იყენებს კავშირებს;							
4	სწორად ამყარებს მარტივ სინტაქსურ კავშირებს;							
5	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სიტყვის მართლწერის რუბრიკის დამუშავებაში და შეძლებისდაგვარად იყენებს.							
III	**წერითი მეტყველება**							
1	წერილობით პასუხობს კითხვებს;							
2	წერს კარნახს;							
3	წერს მარტივი ტექსტის მოსმენილის შინაარსს;							
4	წერს ნასწავლი ტექსტის ან ეპიზოდის მოკლე შინაარსს;							
5	აგებს მარტივ წინადადებებს და შეუძლია ნაკლული ტექსტის შევსება;							
6	წერს მცირე ზომის ტექსტს ნაცნობ თემაზე;							
7	მოკლედ გადმოსცემს წერილობით თავის მოსაზრებას.							

შეუძლებელია ყველა სასწავლო ამოცანის შეფასების მატრიცის განხილვა, მთავარი ისაა, რომ მასწავლებელმა იცოდეს ამგვარი ცხრილების შედგენის პრინციპი.

დაბოლოს, გთავაზობთ წლიური შეფასების მატრიცას, რომლის პრინციპი მარტივია, მასწავლებელმა უნდა დაადგინოს სტანდარტის ყოველ პუნქტთან მიმართებაში როგორ დაძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმა.

	წლიური შეფასება				
№	**მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი**				**შევსების თარიღი**
	ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართულებები და სტანდარტის შედეგები	**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		წარმატებით ასრულებს	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**ზეპირმეტყველება**				
1	მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.				
2	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.				
3	მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.				
4	მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.				
5	მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
	კითხვა				
6	მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.				
7	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.				
8	მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.				
9	მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.				
10	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.				
11	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.				

12	მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
	წერა				
13	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.				
14	მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.				
15	მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
კომენტარი და რეკომენდაციები					

VII. ინკლუზიური განათლება

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ავლენს სსსმ მოსწავლეების მიმართ, ამიტომ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური მატერიალური თუ საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლის დაცვაც ევალება სკოლას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების განსაზღვრის საქმეში ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი: მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სპეცმასწავლებელი. პირველ რიგში, კვალიფიციური დიაგნოსტიკის მეშვეობით განისაზღვრება, რა კონკრეტულ საჭიროებასთან გვაქვს საქმე. ამის შესახებ ვრცლადაა საუბარი ესგ-ს VIII თავში. გარდა ამისა, არსებობს მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ცხრილები, რომლებსაც თქვენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტებზე მოიძიებთ.

ყოველ სსსმ მოსწავლეს თავისი შესაფერისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემოკლებით – ისგ) სჭირდება. ამჯერად ჩვენ ინკლუზიური განათლებისადმი მიდგომის მთავარ პრინციპებს ჩამოვთვლით:

1. სსსმ მოსწავლე უნდა იყოს სასწავლო პროცესში ჩართული;
2. იგი კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს სოციალურ გარემოში და გრძნობდეს კლასელებისა და პედაგოგების მზრუნველობას;
3. სსსმ მოსწავლე მხოლოდ სპეცმასწავლებელთან არ უნდა მუშაობდეს;
4. ისგ ისე უნდა შედგეს, რომ იგი უკავშირდებოდეს საგაკვეთილო პროცესს;
5. მასწავლებელი თემატურად უნდა გეგმავდეს, როგორ გაუმარტივოს სსსმ მოსწავლეს სამუშაო ან რით ჩაანაცვლოს იგი;

6. სსსმ მოსწავლე, შეძლებისდაგვარად, ჩართული უნდა იყოს კლასგარეშე ღონისძიებებში;

7. სსსმ მოსწავლე უნდა მონაწილეობდეს ჯგუფურ მუშაობაში და ასრულებდეს მისთვის დაძლევად დავალებებს და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი ხედავს და აღიარებს ბავშვის პრობლემებსა და საჭიროებებს, როდესაც იგი თანამშრომლობს სკოლასთან, გონივრული შედეგიც სახეზე იქნება; თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. კლასში ზოგჯერ გვეყოლება არაღიარებული სსსმ მოსწავლე, ან, უბრალოდ სწავლის სიძნელეების მქონე ბავშვი. მასწავლებელს არ აქვს უფლება მშობლის თანხმობის, სპეციალური დასკვნის გარეშე რომელიმე მოსწავლე აღიაროს ინკლუზიურად, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა დავტოვოთ, რადგან ეს გამოიწვევს მოსწავლის უფრო მეტ ჩამორჩენასა და იზოლირებას. როგორც ვიცით, I-IV კლასებში შეფასება მხოლოდ განმავითარებელია. ამიტომ მასწავლებელმა უნდა სტანდარტის მოთხოვნების მინიმუმის გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებში, გაუმარტივოს მოსწავლეს პროგრამა და არ დატოვოს საგაკვეთილო პროცესის მიღმა. მის მიმართაც დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, იყოს ობიექტური, მშობელს ხშირად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის ძლიერი მხარეების შესახებ, რა დაძლია და რისი დაძლევა გაუჭირდა, მისცეს რეკომენდაციები; შეფასებისას იყოს ჰუმანური, მოზომილი, მაგრამ ობიექტური. შესაძლოა ამგვარმა დამოკიდებულებამ მშობელი განაწყოს თანამშრომლობისაკენ. ეს არ იქნება იმ ტიპის პროგრამა, რასაც სსსმ მოსწავლეს უდგენენ, მაგრამ ეს იქნება დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენი სასწავლო საგნიდან (ქართული ენა და ლიტერატურა) გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც მოსწავლეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესში შეიძლება გაუჩნდეს.

ზოგადად, წერა-კითხვის დაუფლების სერიოზულ და მნიშვნელოვან დარღვევაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ მოსწავლე კლასის დონეს ორი სასწავლო წლით ჩამორჩება. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა საქმე გვქონდეს ან მნიშვნელოვან გონებრივ ჩამოჩენასთან ან ისეთ დარღვევასთან, როგორიცაა დისლექსია. დისლექსია ნაწერ ნიშანთა სისტემის კოდირება-დეკოდირების უუნარობაა (ეს პრობლემა რაოდენობრივ წიგნიერებაშიც იჩენს თავს დისკალკულიის სახით). დღესდღეობით მისი გამომწვევი მიზეზები ბოლომდე დადგენილი არ არის.

ხშირად წერა-კითხვის დაუფლების პრობლემები ზედაპირზე დევს და ადვილად შესამჩნევია. ასეთი პრობლემების „დადებითი მხარე„ ის არის, რომ ისინი, დროული და სწორი ჩარევის მეშვეობით, ადვილად დაძლევადია.

პირველი, რაც წერა-კითხვის ათვისების შეფერხების შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ, ბავშვს საფუძვლიანად უნდა შევუმოწმოთ მხედველობა და სმენა. მხედველობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა შორსმხედველობა, ახლომხედველობა, სიელმე, ასტიგმატიზმი, თვალის კუნთის მოდუნება და სხვ., მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წერა-კითხვის პროცესებზე. რაც შეეხება სმენას, სმენის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ფონოლოგიური ცნობიერების შეფერხება; ხოლო ფონოლოგიური ცნობიერება საფუძველია წერა-კითხვის ათვისებისა.

მეორე და მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც ადვილად განხორციელებადია: არ დავაძალოთ ცაცია ბავშვებს მარჯვენა ხელით მუშაობა! ჩვეულებრივ, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობისათვის წამყვანი ხელია მარჯვენა. ასეთი ადამიანების ტვინი გარემოდან მიღებულ აღქმით ინფომციას (მხედველობით, სმენით, შეხებით და სხვ.) მარცხენა ჰემისფეროს მეშვეობით გადაამუშავებს. ცაციების ცენტრალური ნერვული სისტემის თავისებურება კი ის არის, რომ გარემოდან მიღებული აღქმითი ინფორმაციის გადამუშავება მათი ტვინის მარჯვენა ჰემისფეროთი ხდება. ჩვენ რომ ცაციებს მარჯვენა ხელით აქტივობა დავაძალოთ, შემეცნებით დისონანსში ჩავაგდებთ მათ. ეს მაშინვე აისახება წერისა და კითხვის ათვისებაზე, მთლიანად ბავშვის ქცევაზე.

არსებობს წერა-კითხვის ისეთი შეცდომები, რომლებსაც სწავლების დაწყებით საფეხურზე ხშირად ვხვდებით და რომლებიც, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, ადვილად ექვემდებარება გამოსწორებას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი და შევეხოთ მათი გამოსწორების გზებსაც.

ყველაზე გავრცელებულია ე.წ. პედაგოგიური მიშვებულობა. ამის მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეს ეზარება კითხვა, არ ერთვება აქტიურად გაკვეთილის მსვლელობაში. შესაძლოა მასწავლებელმა და მშობელმა ეს გვიან შეამჩნიონ და პრობლემა გაღრმავდეს.

ამ პრობლემის თავი და თავი მოტივაციის უქონლობაა – ბავშვი პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში, კარგავს კითხვისა და წერის მოტივაციას. ასეთი პრობლემის დაძლევის კარგი საშუალებაა პატარა, ადვილი ტექსტების განმეორებითი კითხვა. მაგრამ განმეორებითი კითხვა უნდა გავა-

ძლიეროთ დამატებითი მოტივით. ამის საუკეთესო საშუალებაა წამზომით დროის მონიშვნით კითხვა. ტექსტის ყოველი შემდეგი წაკითხვა წინაზე უფრო სწრაფად მოხდება. ბავშვიც ჩართული იქნება საკუთარ თავთან ამ ერთგვარ შეჯიბრში (მიაქციეთ ყურადღება, ხომ არ დაიზეპირა ბავშვმა ტექსტი?!).

ფონოლოგიური ცნობიერების განუვითარებლობა. ჩვეულებრივ, 6 წლის ასაკისათვის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია გაბმული მეტყველებიდან ცალკეული ბგერების გამოყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლე ვერ შეძლებს კონკრეტულ ბგერას კონკრეტული გრაფიკული ხატი – ასო დაუკავშიროს. არის შემთხვევები, როდესაც ამ უნარის ჩამოყალიბება ფერხდება და ბავშვს სპეციალური დახმარება სჭირდება. ჩვენ გთავაზობთ მთელ რიგ ფონეტიკურ ვარჯიშებს, რაც წერა-კითხვის სწავლების ჩვენი მეთოდით არის გათვალისწინებული და ამგვარ პრობლემას თავიდან აგვაცილებს. ეს ვარჯიშები შედის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში. ესენია: ფონეტიკური წყვილების შედარება-განსხვავება, ერთ ბგერაზე დაწყებული სიტყვების დასახელება, ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება. ამას შეიძლება დავუმატოთ სიტყვების ბგერებად დაშლის ამოცანაც.

ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება შეიძლება შეფერხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვს მეტყველების სპეციფიკური პრობლემები აქვს. აქ საქმეში ლოგოპედი უნდა ჩავრთოთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ აგრეთვე ისეთი ტიპური შეცდომები, როგორიცაა სიტყვის გამთლიანებით ამოკითხვის პრობლემა, სარკისებრი ასოების აღრევა და ბადეში ასოების არასწორად ჩაწერა (გამომწვევი მიზეზი – ჩამოუყალიბებელი სივრცითი მიმართებები), გამოცნობით კითხვა (გამომწვევი მიზეზი – კითხვაში გაუმართლებელი აჩქარება), კითხვისას ასოების გამოტოვება (მიზეზი – თვალის არათანმიმდევრული მოძრაობა) და სხვ.

ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით,პირველი და მეორე კლასის მოსწავლის სამუშაო რვეულებში შეტანილია სპეციალური სავარჯიშოები.

წერა-კითხვის სწავლება-სწავლის სწორად წარმართვის შემთხვევაში მოსწავლეები მეოთხე კლასის დასასრულისათვის კითხულობენ და წერენ გამართულად და თავისუფლად იყენებენ ამ უნარებს სხვა სასკოლო საგნების დასაუფლებლად.

VIII. მეორე კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენაში

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	**II კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.	**მოსწავლე:** 1. მიზნის შესაბამისად გადმოსცემს კონკრეტულ ინფორმაციას; 2. ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას ნაცნობ თემაზე; 3. მონაწილეობს ინტერაქციაში ნაცნობ თემატიკაზე; 4. გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს / მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან.
ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.	**მოსწავლე:** 1. ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესანტს (ვინ ლაპარაკობს), ადრესატს (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემას; 2. სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით; 3. ასათაურებს ტექსტს; 4. ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათს გარეგნობას, ნიშან-თვისებებს); 5. საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის ეპიზოდის შინაარსს (ილუსტრაციების, სხვა საყრდენების გამოყენებით); 6. აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას სათანადო ადგილიდან.
ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.	**მოსწავლე:** 1. გამოხატავს პირად დამოკიდებულებას მხატვრული ტექსტების პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს / არ მომწონს, კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.); 2. ისმენს ტექსტს და ასახელებს შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს; იხსენებს მსგავსსა და განსხვავებულ ადგილებს ამ მულტფილმებიდან და საბავშვო ფილმებიდან; 3. აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან (იხსენებს მსგავს შემთხვევას, პერსონაჟს უდარებს თავის მეგობარს და სხვ.); 4. გამოხატავს კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (მაგ., გამაკვირვა, შემეცოდა და ა. შ.).

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** 1. ამბის გადმოცემის, ნაცნობი საგნის თვალსაჩინო ნიშნებით აღწერა-დახასიათების დროს, იყენებს მართებულ სიტყვაფორმებსა და მარტივ წინადადებებს; 2. განარჩევს წინადადების მოდალობებს (თხრობას, კითხვას, თხოვნას, ნატვრას, ბრძანებას) და წარმოთქვამს მათ შესაბამისი ინტონაციით; 3. სათანადოდ იყენებს კავშირებს (ან, მაგრამ...); 4. ადრესატის გათვალისწინებით წარმართავს ეტიკეტურ დიალოგებს ნაცნობ თემებზე (მიპატიჟება, თავაზიანი თხოვნა ან უარი და ა. შ.), შეარჩევს მართებულ გამონათქვამს სამეტყველო სიტუაციისა და ადრესატის გათვალისწინებით (მაგ., როგორ ხარ? / ბრძანდებით?); 5. სწორად ხმარობს კითხვით სიტყვებს (ვინ? რა?), უარყოფით ნაწილაკებსა (არ, ვერ) და ნაცვალსახელებს (პირის, კუთვნილების) სათანადო კონტექსტში.
ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** 1. იყენებს საყრდენებს (მაგ., ილუსტრაციებს, სურათებს, ნახატებს და სხვ.); 2. იყენებს არავერბალური მეტყველების საშუალებებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- მინიდიალოგების მოსმენა და შესაბამისი სამეტყველო სიტუაციის ამოცნობა;
- მინიდიალოგების გათამაშება ნაცნობ თემაზე; ინფორმაციის პრეზენტაცია (მაგ., წინასწარ შეთავაზებული მარტივი მოსაწვევი ბარათის და/ან აფიშის მონაცემების საფუძველზე, ზეპირი განცხადების გაკეთება დაგეგმილი ღონისძიების რაობის, ჩატარების დროის, ადგილისა და სხვა.);
- ილუსტრაციებზე დაყრდნობით უცნობი ტექსტის თემის ამოცნობა; ვარაუდის გამოთქმა ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
- ნაცნობი ტექსტის ცალკეული ეპიზოდის ილუსტრირება და ილუსტრაციების დასათაურება;
- მოსმენილი ტექსტის დასათაურება;
- ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- პერსონაჟის, ობიექტის ან მოვლენის ჯგუფური დახასიათება;
- მინიინტერვიუს მოწყობა მეწყვილესთან და მიღებული ინფორმაციის თანაკლასელთათვის გაზიარება (მაგ., ინტერვიუ თემაზე: ,,საცხოვრებელი გარემო,,: *(მეწყვილის სახელი)* ცხოვრობს ძნელაძის ქუჩაზე, ცხრასართულიან სახლში, სახლს აქვს დიდი ეზო...,,);
- სხვადასხვა მოდალობის მიხედვით წინადადებების შედგენა და გამოთქმა შესაბამისი ინტონაციით;
- წინადადების მოდალობების მართებულად გამოყენება იმიტირებულ სიტუაციაში;
- იმიტირებული სიტუაციის ორგანიზება ეტიკეტური მეტყველების ენობრივი ფორმულების გამოყენებით და სხვა.

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგები	**II კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.	**მოსწავლე:** 1. თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს; 2. დამარცვლით კითხულობს უცნობ სიტყვებს; 3. ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს; 4. ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას; 5. სათანადო ინტონაციით გამოხატავს წინადადების მოდალობას (თხრობითი, კითხვითი ბრძანებითი წინადადებების); 6. აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან; 7. პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს; 8. კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით.
ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.	**მოსწავლე:** 1. განარჩევს თხრობასა და დიალოგს,მოიძიებს რეპლიკების ავტორებს; 2. ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვას/ წინადადებას, (მაგ., პერსონაჟთა სახელებს, ცხოველს, სათამაშოს და სხვ.); 3. ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., რომელ დღეს და რომელ საათზეა ესა თუ ის მულტფილმი, კვირაში რამდენჯერ არის ჭადრაკის წრე და სხვ.); 4. აჯგუფებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშნების მიხედვით (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად) (მაგ., შინაური და გარეული ცხოველები, ხილი და ბოსტნეული, ზამთრის თემატიკის ამსახველი ლექსიკა, სხვ.); 5. თანამიმდევრულობის დაცვით, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს წაკითხული ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსს; 6. პოულობს ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში ილუსტრაციის შე-საბამის ეპიზოდს; 7. ილუსტრაციის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ.

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.	**მოსწავლე:** 1. ქმნის წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ან მისი ფრაგმენტის სიუჟეტურ ნახატს; 2. ირჩევს პერსონაჟს / რომელიმე მოქმედებას / მოქმედების ადგილს და ქმნის ნახატს საკუთარი ინტერპრეტაციით, ფანტაზიით; 3. ქმნის ნახატს, რომელშიც გადმოცემულია მოსმენილი / წაკითხული ამბის გაგრძელება; 4. ასათაურებს საკუთარი ინტერპრეტაციით ან ფანტაზიით შექმნილ ნახატს / წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის საფუძველზე დამოუკიდებლად შექმნილი ამბის გაგრძელებას და ხსნის, რატომ შეურჩია ნახატს ასეთი სათაური; 5. გამოძერწავს პერსონაჟ(ებ)ს; 6. ნასწავლი მუსიკალური მელოდიით აფორმებს (მიუსადაგებს) ტექსტის მონაკვეთს.
ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.	**მოსწავლე:** 1. აფასებს მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის საქციელს; 2. გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი/პერსონაჟისადმი; 3. ასახელებს წაკითხული ტექსტის შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს, ასახელებს მსგავს / განსხვავებულ ადგილებს.
ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** 1. გამოყოფს ტექსტის მაორგანიზებელ ნაწილებს/ელემენტებს (სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორს); 2. ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე დაკვირვებით ამოიცნობს, რა ტიპის ინფორმაციაა მოცემული კონკრეტული სახის ტექსტში (მაგ., ტელეპროგრამაში – გადაცემის ტიპი, დღე, საათი; კულინარიულ რეცეპტში – მასალის ჩამონათვალი, რაოდენობა, მომზადების წესი და სხვ.); 3. ასახელებს ან მიუთითებს, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს კონკრეტული ინფორმაცია (მაგ., გაკვეთილების ცხრილში სად არის განთავსებული საგნების ჩამონათვალი, სად – კვირის დღეები).
ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.	**მოსწავლე:** 1. განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის, პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვებს, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...); 2. აკავშირებს ერთმანეთთან საგნისა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; 3. ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს).

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** 1. უბრუნდება წაკითხულს კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად, ტექსტის უკეთ გასააზრებლად; 2. სვამს კითხვებს ტექსტში მოცემული ინფორმაციის დასაზუსტებლად; 3. იყენებს სათაურსა და ილუსტრაციას ტექსტის შესაძლო შინაარსის ამოსაცნობად; 4. შემუშავებული აქვს მარტივი წესი, რომლის მიხედვით წიგნში იოლად ჩაინიშნავს ან მოძებნის კონკრეტულ ადგილს; 5. ყურადღებას აქცევს და იყენებს წიგნის სარჩევს, სახელმძღვანელოში მოცემულ პირობით ნიშნებს; 6. იყენებს მარტივ გრაფიკულ სქემებს, გრაფიკულ მაორგანიზებლებს ინფორმაციის დასაჯგუფებლად; 7. უცნობი სიტყვების მნიშვნლობის ამოსაცნობად აკვირდება კონტექსტს, იყენებს ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს, ან მიმართავს მასწავლებელს/მშობელს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მითითებული სიტყვების მოძიება (მაგ., პერსონაჟთა სახელების, ცხოველების, რეპლიკის ავტორის/ადრესატისა და სხვ.);
- არეული რიგით მოწოდებული წინადადებების სწორი თანამიმდევრობით წარმოდგენა წაკითხული ტექსტის შინაარსის აღდგენის მიზნით;
- დიალოგის კითხვა წყვილებში;
- მხატვრული ტექსტის პერსონაჟთა ამოცნობა მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისების მიხედვით; პერსონაჟთა გარეგნობის, ჩაცმულობის აღწერა;
- ილუსტრაციების მიხედვით (შესაძლოა კომპიუტერის, პროექტორის გამოყენება) ნაწარმოების გამოცნობა;
- ილუსტრაციის მიხედვით ტექსტის შინაარსის ამოცნობა;
- წაკითხული ტექსტის ამბის გაგრძელება;
- პერსონაჟის ალტერნატიული საქციელის მოფიქრება;
- პერსონაჟთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებების რუკის შევსება;
- ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნა;
- პრაგმატული ტექსტების (გაკვეთილის ცხრილის, დღის განრიგის, აფიშის, მოსაწვევი/მისალოცი ბარათის და ა. შ.) გაფორმება;
- ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის ხმამაღლა კითხვა;
- წინადადებების შედგენა ახლად ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით

  და სხვა.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	**II კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.	**მოსწავლე:** 1. ადგენს პრაგმატულ ტექსტებს, სათანადოდ აფორმებს მათ მოდელის შინაარსობრივი და სტრუქტურულ-კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით; 2. ადგენს პირადი გამოცდილების ამსახველ ტექსტს მითითებების/ საყრდენების გათვალისწინებით.
ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** 1. წერს აკურატულად, იცავს ტექსტის გრაფიკულ სტრუქტურას; 2. სათანადოდ ათანხმებს რიცხვში სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; 3. კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ზმნის დროებს (წარსულს, აწმყოს, მომავალს); 4. იყენებს მაერთებელ კავშირებს სიტყვათა და სიტყვათა ჯგუფების დასაკავშირებლად წინადადებაში; 5. მართებულად იყენებს თხრობით, ბრძანებით და კითხვით წინადადებებს (სწორად იყენებს ზმნურ ფორმებს) და წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს); 6. იყენებს ნაცნობ ლექსიკას; 7. სათანადოდ იყენებს ეტიკეტური მეტყველების ფორმებს პრაგმატული ტექსტების (მაგ., მოსაწვევი ბარათის) შედგენისას; 8. მართებულად იყენებს მრავლობითი რიცხვის ფორმებს პრაგმატული ტექსტების შედგენისას.
ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** 1. საჭიროებისამებრ, იყენებს საყრდენებს (მოდელს, მარტივ მითითებებს და სხვ.); 2. შედგენილ ტექსტს ადარებს მოდელს და, საჭიროებისამებრ, შეაქვს შესწორებები; 3. კითხულობს საკუთარ ნაწერს ხმამაღლა და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს; 4. ამოიწერს მასწავლებლის მიერ ჩასწორებულ ფორმებს ან მთლიან წინადადებას; 5. ასწორებს სხვის (მაგ., თანაკლასელის) ნაწერს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- შეთავაზებული კონკრეტული სიტუაციის (კონკრეტულად, ვის იწვევენ, რასთან დაკავშირებით, სად, როდის და სხვ.) შესაბამისი მოსაწვევი ბარათის შედგენა, სათანადო მაორგანიზებელი ელემენტების გამოყენებით (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა);
- შეთავაზებული კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი წერილის დაწერა მეგობრისადმი (მაგ.,შთაბეჭდილების გაზიარება ახალ მულტფილმზე, წაკითხულ წიგნზე; ახალი ამბის/სამომავლო გეგმის გაზიარება, სხვ.), ორგანიზების სათანადო წესების დაცვით (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა); ხელნაწერი და/ან ელექტრონული სახით;
- შეთავაზებული კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი გამაფრთხილებელი აბრებისა და განცხადებების შედგენა (მაგ., „ფრთხილად, ეზოში ძაღლია“, „ნუ შეეხებით“ „დაიკარგა ძაღლი“ და ა. შ.);
- პირადი გამოცდილების ამსახველი მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა საყრდენების დახმარებით ან მათ გარეშე (მაგ., „ჩემი დაბადების დღე“, „როგორ შევხვდი ახალ წელს“ და სხვ.);
- მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა საყრდენების დახმარებით (მაგ., ამბის გადმოცემა შეთავაზებულ ხუთ მარტივ შეკითხვაზე: „ვინ?“, „სად?“, „რა?“, „როდის?“, „რატომ?“ პასუხის გაცემის გზით);
- კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით და/ან ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით;
- კარნახით წერა (ფრაზების, აბზაცების, მცირე ზომის ტექსტების);
- მცირე ზომის ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის (ფრაზების, აბზაცების) გადაწერა წიგნიდან, დაფიდან

და სხვა.

IX. საგნის სწავლების მიზნების, ამოცანების, სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი								
		კითხვა					ენობრივი მასალა წერა			
		ლექსიკონი	კითხვები	მოძებნე, წაიკითხე	ეს საინტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.	დაიმახსოვრე	დააკვირდი როგორი იწერება	ენობრ. საკარჯიში
გილოცავთ ახალ სასწავლო წელს	დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის გამოწვევა – შეძლოს თხრობა, როგორ გაატარა ზაფხულის არდადეგები, რა ელოდება სკოლაში, რას გააკეთებს სასწავლო დღეებში. სასკოლო-სოციალური ჩვევების გახსენება, შეძლოს ჯგუფურ თამაშში ჩართვა. გააქტიუროს მოსმენისა და ყურადღების უნარი.									
ყოჩაღი ბიჭი გამოცანა	ზეპირმეტყველების უნარის განვითარება – შეძლოს საუბარი თემაზე: რით გაახარებს მშობლებს. ფონეტიკური ცნობიერების გავარჯიშება – ანბანზე მუშაობა. წერითი მეტყველების უნარის გავარჯიშება: შეძლოს საკუთარი გამოცდილების წერილობით გადმოცემა.									X
გიორგის ერთი დღე	კითხვის უნარის გავარჯიშება – შეძლოს შინაარსობრივად დატვირთული ტექსტის წაკითხვა და გაგება. ენობრივ მასალაზე დაკვირვება – შეძლოს საკუთარი და კნინობითალერსობითი სახელების გამოყოფა. წერის უნარის გავარჯიშება – შეძლოს მოკლე თავისუფალი თემის დაწერა: თემაზე „ჩემი ერთი დღე“.			X				X		X

შინაარსი														

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი								
		კითხვა					ენობრივი მასალა წერა			
		ლექსიკონი	კითხვები	მოძებნე, წაიკითხე	ეს სიტყვებია	სავ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.	იმუშავეთ წყვილ. ჯგუფებად	ვთამაშობთ და ვსწავლობთ	ენობრ. სავარჯიშო
ტყუპები	ზეპირმეტყველების განვითარება: შეძლოს მსჯელობა თითოეულ ეპიზოდში პერსონაჟების საქციელის შესახებ; იმსჯელოს მათ ხასიათზე. შეძლოს პრობლემურ კითხვებზე პასუხის გაცემა. კითხვის უნარის გავარჯიშება — შეძლოს მოკლე ტექსტების წაკითხვა და გაგება. შინაარსობრივი ამოცანის შესაბამისად შეძლოს მოვლენის დაკავშირება შესაბამის საგნებთან. ენობრივ მოვლენებზე დაკვირვება — წინადადებების დასრულება, ზმნების შერჩევა კონტექსტის გათვალისწინებით. წერითი უნარების გავარჯიშება — შეძლოს პერსონაჟთა დახასიათება. მითითებული ტექსტის შემოკლება.		X	X				X		X
ჩვენი მხარე	ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება — შეძლოს ლექსის სტროფებად დაყოფა და დასწავლა. ლექსის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა. წერითი უნარის გავარჯიშება — შეძლოს ტექსტში ენობრივი ამოცანის შესაბამისი ერთეულების მოძებნა და გამოყოფა. ზეპირმეტყველების გავარჯიშება — ლექსიკური მარაგის გამდიდრება — მსგავსი სიტყვების დაძებნა და დაჯგუფება.			X				X		X

	შინაარსი													შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
	წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები						
	წერ. დავალ,			საკლ. სამუშაო რვეული										
	ტექსტთან დაკავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველ.	ტექსტთან დაკავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველ,	სასუბრო	იმუშავეთ წყვილებად და ჯგუფებად	ვთამაშობთ და ვსწავლობთ	სახალისო	კოგნიტური საკ.	მიზნობრივი თამაშები	საათების რაოდენობა	
	X			2	1	3		X						2.2; 2.5; 2.6; 3.1; 3.2; 6.1; 6.3; 6.4; 6.7' 6.8; 7,4; 9,1; 9,2; 10.1; 13.1; 15.1.
				2	1 3							№ 3	2	6,7; 6.8; 7.3; 7.4; 11.1; 12.1; 15,1..

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი								
		კითხვა					ენობრივი მასალა წერა			
		ლექსიკონი	კითხვები	მოძებნე, წაიკითხე	ეს სანტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.	დაიმახსოვრე	დააკვირდი როგორ იწერება	ენობრ. სავარჯიშო
დამოუკიდებლად საკითხავი მასალა №1	დამოუკიდებლად კითხულობს ტექსტს და ავსებს ტესტს. (შემოხაზე სწორი პასუხი)									
დახუჭობანა	ზეპირმეტყველება: – შეძლოს საუბარი საბავშვო თამაშზე. კითხვა: – შეძლოს მხატვ. ტექსტის წაკითხვა, შეძლოს თანამშრომლობა, სურათის მიხედვით ამბის შედგენა. წერის უნარის გავარჯიშება – შეძლოს მოკლე შინაარსის გადმოცემა		X					X		
ნუციკო	ზეპ.: შეძლოს სასკოლო თემასთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილების გადმოცემა. ტექსტის გაგება, იუმორის დაფიქსირება. წერა: შეძლოს საკუთარი გამოცდილების წერილობით გადმოცემა. ლექსიკური სავარჯიშოს შესრულება ენობრივი უნარის გააქტიურება – წინადადებების შედგენა.		X							
კეთილი ბერიკაცი	ზეპ:. – შეძლოს მსჯელობა მოთხრობის დედააზრზე, შეძლოს ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაცია. თანამშრომლობის უნარის გამოვლენა – სურათის მიხედვით ამბის შედგენა. თემის მიხედვით სააზროვნო სამუშაოს შესრულება. წერა: – კარნახის დაწერა.		X				X			
ცხელი დღე ქალაქში	კითხვა: კითხულობს და იგებს შინაარსსა და ენობრივ ფორმას ტექსტისას. ზეპირმეტყველება: აკვირდება და აღწერს ილუსტრაციას.							X		

	შინაარსი													შედეგების შესაბამი-სობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
	წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები						
	წერ. დავალ,			საკლ. სამუშაო რვეული										
	ტექსტთან დაკავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველ.	ტექსტთან დაკავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველ,	სასაუბრო	იმუშავეთ წყვილებად და ჯგუფებად	ვთამაშობთ და ვსწავლობთ	სახალისო	კოგნიტური საკ.	მიზნობრივი თამაშები	სათების რაოდენობა	
														7
			X	2	1	3	X	X					3	2.1; 3.3; 6.4; 6.5; 6.8; 7.5; 7.7; 12.1; 15;1 15;2
			X		123		X						2	1.1; 1.2; 1.3; 1,4. 6.1' 6.2' 6.3; 6.8; 9.1;13,1; 13,2; 14.1; 14;2 14.3 14.6.
				2	1	3	X	X					2	3.1; 3,4; 6,8; 12.3; 12,4.
				2	1 3								2	5.1; 6,3; 6,4; 6,8; 7.6; 9.1.

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი								
		კითხვა					ენობრივი მასალა წერა			
		ლექსიკონი	კითხვები	მიბმენ, წაიკითხე	ეს საინტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.	დაიმახსოვრე	დაკვირდი როგორ იწერება	ენობრ. სავარჯიშო
დამოუკიდებლად საკითხავი მასალა №2	წაკითხულ ტექსტში აფიქსირებს მთავარ დეტალებს.									
პატარას ანდაზა	შეძლოს ლექსის ნიუანსებში წვდომა, მხატვრული სახეების გაგება; გაიაზროს ანდაზის მიმართება ლექსთან. დაწეროს თემა საკუთარ გამოცდილებასთან მიმართებაში. ენობრივი უნარების გააქტიურება, სწორი ფორმების ჩასმა კონტექსტში.		X				X			
აფრინდა, აფრინდა	შეძლოს: ტექსტის ხასიათის აღქმა; სულიერი და უსულო სახელების დიფერენცირება; შეძლოს თანამშრომლობა და თამაშის წესების ჩამოწერა. შეძლოს რიცხვში მონაცვლე ზმნების სწორად გამოყენება.		X					X		X
თბილი ქვეყნებისაკენ	შეძლოს არამხატვრული, საინფორმაციო, ტექსტის გაგება. შეძლოს ცხრილზე მუშაობა – რა ვიცოდი, რა გავიგე, კიდევ რა მინდა ვიცოდე. შეძლოს კოგნიტური სავარჯიშოების შესრულება და მოკლე შინაარსის დაწერა.		X		X					
ერთი გემი	შეძლოს: საუბარი პერსონაჟთა საქციელზე; ტექსტის შინაარსის გაგება და დეტალების დაფიქსირება; საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით თემის დაწერა; ჯგუფურ მუშაობაში ჩართვა; გამოკრებითი შინაარსის დაწერა.		X	X			X			

	შინაარსი													
	წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები						შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
	წერ. დავალ,			საკლ. სამუშაო რვეული										
	ტექსტთან დაკავ.	ენობრ. საკვანძ.	წერითი მეტყველ,	ტექსტთან დაკავ.	ენობრ. საკვანძ.	წერითი მეტყველ,	სასაუბრო	იმუშავეთ წყვილებად და ჯგუფებად	ვთამაშობთ და ვსწავლობთ	სახალისო	კოგნიტური საკ.	მიზნობრივი თამაშები	სათების რაოდენობა	
														7
		X		2	1 3									1.5; 1.8; 12.1; 13.1; 14.1; 14.2; 14.7.
		X			1 2 3		X	X	X					1.1; 1.2; 1.3; 6.5; 7.3; 11.2
				2	1.		3							4.1; 4.3; 6.1; 6;2 7.5; 12..3; 12,6; 15.1.
	X			2	1		3		X					8.1; 9.1; 19.2; 10;3; 12.1; 13.2; 13.1; 14.1; 14.2; 14.6.